საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიტრა მედია

ლომი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 მაისი **სამშაბათი** 2011
№ 125 (13422) ფასი 60 თეთრი

რევიშვილი მჭკივანი თითით და ჯანო ჯანზე

2

ჯანო ანანიძე

ნუკრი რევიშვილი

მონპელიეს ქართველობა სჯად დე ფრანსზე

13

იქნება ჩემპიონობა?

ბარსას 777

რა ალალია ფიესტა მათზე, ვისთვისაც თავად თამაშია ფიესტა



„ეს იყო უძლიერესი გუნდი მათ შორის, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ“ — შთამბეჭდავი ნათქვამია, ოღონდ, გააჩნია ვინ იტყვის, ხომ მართალია?! და თუ ამ სიტყვების ავტორი, არც მეტი, არც ნაკლები, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი სერ **ალექს ფეგიუსონია?...**

„ბარსელონა“, რომელსაც ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად უწოდებენ ფეხბურთის ისტორიაში უდიადეს გუნდს, სამშობლოში დაბრუნდა და ჩემპიონთა თასით ხელში ათასობით გულშემატკივარს მიესალმა.

საოცარი სტატისტიკაა: „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ტრიუმფალურ შეხვედრაში „ბარსამ“ 777 პასი შეასრულა. მის ფონზე ინგლისის ჩემპიონთა 357 გადაცემა, რად უნდა თქმა, უფერულია.

ესპანეთში „ბარსელონას“ გამარჯვებას უდიდესი ზეიმი მოჰყვა. ზღვარგადასულმა სიხარულმა ტრაგიკული შემთხვევაც კი მოიტანა: ქალაქ სანტა კომბაში 17 წლის გოგო შადრევნიდან ჩამოვარდა და დაიღუპა.

წარსულის დიდმა ფეხბურთელებმა „ბლაუგრანას“ ქებისას ეპითეტები არ დაიშურეს. ორი მაგალითი მოვიყვანოთ. ინგლისის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **გლენ ჰოდლმა** თქვა:

„ფეხბურთში „ბარსელონაზე“ მაღლა არაფერია. ის ერთი თავით აღემატება ყველა დანარჩენს. მასზე ძლიერი ნაკრებიც კი არ მინახავს. „მანჩესტერ იუნაიტედი“ უძლიერესი გუნდია, მაგრამ „ბარსელონამ“ ის გააცამტვერა“.

1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, არგენტინელი **ოსვალდო არდილესი**: *„ბარსელონა“ ჯადოსნურია, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი. დღეს ჩვენ წინაშეა ფეხბურთის ისტორიაში უდიადესი გუნდი“.*

წვიმიან მანჩესტერში კი „ბარსელონასგან“ ძლეულმა „იუნაიტედმა“ მოაწყო მსვლელობა — ნუ დაგვავიწყდება, რომ სერ ალექსის შეგირდებმა მეცხრამეტედ მოიგეს ინგლისის ჩემპიონის ტიტული. **პატრის ევრა** იმდენად კარგ გუნებაზე გახლდათ, რომ გაითამაშა, თითქოს თასი მადრიდელი **სერხიო რამოსივით** გაუვარდა ხელიდან.

ილია ბაბუნაშვილი

ქარი ფეხბურთი

● ეროვნული ნაკრები

ნუკრი რევიშვილი

სამწუხაროდ, თითქმის ითქმის:

ურევიშვილოდ და უგელაშვილოდ

ჯანო თბილისშია და ჯანზეა

ეროვნული ნაკრების შეკრება მშვიდობიანად კი დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, სიმშვიდე მალე დაირღვა და „ბასადან“ ერთიმეორის მიყოლებით გამოდის უსიამოვნო ამბები. გუშინწინ **უჩა ლობჟანიძის** თამაში გამოირიცხა, გუშინ კი გაირკვა, რომ სპლიტში საქართველოს ნაკრებს, ალბათ, ვერც **ნუკრი რევიშვილი** და **ნიკოლოზ გელაშვილი** დაეხმარებიან.

ცხადია, განსაკუთრებით მძიმე დანაკლისი რევიშვილია. „ანჟის“ მეკარემ მიმდინარე შესარჩევი ტურნირის ყველა მატჩი შეუცვლელად ჩაატარა და უაღრესად საიმედო იყო. მოსკოვის „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში მას ხელის თითი ამოუვარდა. ის თამაში კი ჩაამთავრა, მაგრამ თბილისში ჩამოსულს თითის იოგის განწყვეტა დაუდგინეს. ნუკრი ვერ ვარჯიშობს, მისი საკითხი დღეს გაირკვევა, მაგრამ ხორვატთა წინააღმდეგ თამაშის უმცირესი შანსი აქვს.

გელაშვილი ნაკრებისთვის შეუცვლელი არ არის, მაგრამ მისი ტრავმა უსიამოვნო ამბავია. საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა გუშინდელ ვარჯიშზე კოჭი დაიზიანა და მისი ხორვატიაში გამგზავრებაც თითქმის გამოირიცხა.

სანაკრებო ბანაკში კარგი ამბავიცაა: გუშინ გუნდს **ჯანო ანანიძე** შეუერთდა და, რაც მთავარია, სრული დატვირთვით ივარჯიშა.

ლევან ჯანეზაშვილი

● მეტოქე

ხორვატებმა გოლებში ნაივარჯიშეს

ხორვატიის ეროვნულმა ნაკრებმა სპლიტთან ახლოს მდებარე ქალაქ ბრაჩში ადგილობრივ გუნდთან სპარინგმატჩი ჩაატარა და 8:1 გაიმარჯვა. **მანჯუკიჩმა** და **პერიშიჩმა** დუბლი შეასრულეს, თითო გოლი კი **იელავიჩმა, ედუარდომ, ჩორლუკამ** და **ტომეჩაკმა** გაიტანეს.

სლავენ ბილიჩმა ასეთი ძირითადი შემადგენლობა დააყენა: **რუნიე – სრნა, ჩორლუკა, შიმუნიჩი, პრანიჩი – ვუკოიევიჩი, მოდრიჩი – მანჯუკიჩი, იელავიჩი – პერიშიჩი, ედუარდო.**

შეცვლაზე შევიდნენ: **პლეტიკოშა, ვრშალკო, შილდენფელდი, ბარტულოვიჩი, ბადელი, ტომეჩაკი, კალინიჩი, ვუკუშიჩი.**

ლევან ჯანეზაშვილი

● დინამო

დინამო ბარსას მოდელზე აეწყობა

ბარსელონელები 1 ივნისს ჩამოდიან

ალექს გარსია

თბილისის „დინამოს“ კატალონიელი სპეციალისტები განწვრთნიან. ეს გუშინ კლუბის გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** განაცხადა.

მისი თქმით, ევროპის საკლუბო ჩემპიონის, „ბარსელონას“ სამწვრთნელო შტაბის წევრი **ალექს გარსია** თბილისელთა მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

„დინამოში“ იმუშავებს „ბარსელონას“ სამწვრთნელო სკოლის კიდევ ორი წარმომადგენელი: **მარკ ჰუგეტი** კატალონიური კლუბის ფიზმომზადების მწვრთნელია და ამ სფეროში ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება.

თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიას კი **ანდრეს კარასკო** უხელმძღვანელებს. კარასკო ბარსელონაშიც ახალგაზრდა ტალანტებს ეძებდა. იგივეს შეეცდება საქართველოშიც, იგეგმება საკლუბო სტრუქტურის სრული შეცვლა და მისი „ბარსელონას“ მოდელის მიხედვით აწყობა.

ახალ მწვრთნელს კლუბის ხელმძღვანელები 1 ივნისს წარადგენენ და კატალონიელი მწვრთნელი კლუბის დაკომპლექტებას დაიწყებს.

ალექს გარსიაზე ბევრი ინფორმაცია არ მოიპოვება. ის 2009 წლამდე მუშაობდა „ბარსელონას“ იუნიორთა „ა“ გუნდის მთავარ მწვრთნელად, მის ხელში გაუვლიათ **ლიონელ მესის, ბოიან კრკიჩს** და **სერხიო ბუსკეტსს,** ცნობილია როგორც გუნდის მეთოდური მომზადების ძლიერი სპეციალისტი.

მერაბ მამულაშვილი

● ინტერვიუ

დავით კვირკველია:

ბერძნები თბილისურ მატჩს უფრთხიან

დავით კვირკველია (მარცხნივ)

დავით კვირკველია საბერძნეთის სუპერლიგის „პანიონიოსში“ შარშან ზამთარში გადავიდა. ეროვნული ნაკრების შეკრებაზე გამოძახებული ფეხბურთელი გველაპარაკება ხორვატია-საქართველოს 3 ივნისის სანაკრებო შეხვედრაზე, რას ფიქრობენ ბერძნები საქართველოს ნაკრებზე და როგორ წარიმართა „პანიონიოსში“ მისი კარიერა.

- საბერძნეთსა და ახალ კლუბს როგორ შეეწყვე?

- ადაპტაცია არ გამჭირვებია, რადგან ძალიან მეგობრული გუნდი დამხვდა. თითქოს გუნდში კი არა, ოჯახში მოვხვდი, ასეთი რამ იშვიათად მინახავს. ისე კარგად მიმიღეს, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვიყავით.

- „პანიონიოსი“ საბერძნეთის სუპერლიგაში მეათე ადგილზე გავიდა. შენი აზრით, მეტი არ შეგეძლოთ?

- ჩემი მისვლისას გუნდი გასავარდნ ზონაში, მეთოთხმეტე ადგილზე იყო. ამის გათვალისწინებით, მეათე ადგილი ურიგო შედეგი არ არის. თანაც ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი ძალიან კარგად ვითამაშეთ, ბოლო შვიდი ტური არ წაგვიგია. საერთოდ კი, მეათე ადგილით კმაყოფილი მაინც ვერ ვიქნებით, ალბათ, მეტიც შეგვეძლო.

- საბერძნეთის ჩემპიონატი 17 აპრილს დასრულდა, ფორმის შენარჩუნება თუ მოახერხე?

- ჩვენ არ გავჩერებულვართ, ვვარჯიშობთ და ამხანაგურ შეხვედრებს ვატარებთ, ასე რომ, ფორმა არ დაგვიკარგავს.

- ჩემპიონატი ასე ადრიანად რატომ მთავრდება?

- აპრილის ბოლოდან საბერძნეთში საშინლად ცხელა და თამაში არასასურველია. 17 აპრილიდან 20 მაისამდე ოთხი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ საკვალიფიკაციო პლეი ოფებს თამაშობს.

- „პანიონიოსში“ რა პოზიციაზე გათამაშებენ?

- დაცვაში, ნახევარდაცვაში, საყრდენადაც კი.

- საყრდენად?

- დიახ, რა უცნაურად უნდა მოგეჩვენოთ, ასეა.

- როგორც მახსოვს, საყრდენად ბოლოს ივო შუშაკმა გათამაშა თბილისის „დინამოში“ ჯანი კარნევალეს „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ. მას შემდეგ, მგონი, საუკუნე გავიდა.

- არ მეგონა, ეს ვინმეს თუ ახსოვდა. სხვათა შორის, ეროვნულ ნაკრებში პირველად სწორედ „ვიტ ჯორჯიასთან“ იმ მატჩის შემდეგ გამომიძახა ალექსანდრე ჩივაძემ, როდესაც საყრდენად ვითამაშე.

- საყრდენ ნახევარმცველობას მწვრთნელი ხშირად გავალებს?

- ეს იძულებითი გადაადგილება ორჯერ მოხდა, რადგან ჩვენი ორი ნახევარმცველი დისკვალიფიცირებული იყო და მწვრთნელმა პოზიცია შემიცვალა. უმთავრესად, ფლანგზე მაყენებს.

- ყაზანის „რუბინში“ უთამაშებლობა ძალიან ცუდად დაგეტყო ნაკრების თამაშების დროს, ძველი კვირკველიას აჩრდილი იყავი. ფორმა თუ აღიდგინე?

- უთამაშებლობის პერიოდში ნაკრებში ჩემი გამოსვლით თავადაც უკმაყოფილო ვიყავი, ვგრძნობდი, რომ მეტი შემეძლო, მაგრამ სასურველ კონდიციებში არ ვიყავი. ასეთ დროს სანაკრებო დონეზე თავის გამოჩენა ძალიან ძნელია. ახლა კი, რა თქმა უნდა, სათამაშო პრაქტიკამ მიშველა.

ეგაა, თავიდან ვერ ვთამაშობდი, რადგან სატრანსფერო ფურცლის გამო პრობლემა შემექმნა. სეზონში სამ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება არ შეიძლება, მე კი გასულ სეზონში ყაზანის „რუბინმა“ მახაჩყალის „ანჟიში“ გამანათხოვრა, შემდეგ დავუბრუნდი და მეგონა, რუსეთში სეზონის დასრულებასთან ერთად ლიმიტის ვადაც დასრულდა. ამიტომ საბერძნეთში დაუფიქრებლად წავედი, მაგრამ „პანიონიოსში“ გადასვლა მესამე ტრანსფერად ჩამითვალეს და თამაშის უფლება არ მომცეს. მხოლოდ სამი ტურის შემდეგ მივიღე სატრანსფერო ფურცელი. არადა, ამ დროს აქ იწერებოდა, თითქოს არ მათამაშებდნენ, უბრალოდ, ვერ მათამაშებდნენ.

ამის შემდეგ სულ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი, თანაც 90 წუთი და ფორმაც აღვიდგინე.

- საბერძნეთისა და რუსეთის ჩემპიონატებს შორის დიდი განსხვავებაა?

- საკმაოდ დიდი, რადგან რუსებმა ბოლო წლებში ფეხბურთში იმხელა ფული ჩადეს, ბერძნებს კი არა, სხვა ბევრ ქვეყანას გაუსწრეს და დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ლიგა აქვთ. რუსეთის წლევანდელი პრემიერლიგა ისე დაიწყო, ველარ გაიგებ, ვინ ლიდერია, ვინ - აუტსაიდერი. თუნდაც ის რად ღირს, რომ რუსებისთვის მაღალი კლასის ფეხბურთელების მინვევა უკვე ჩვეულებრივია, ბერძნებს ინფრასტრუქტურითაც სჯობიან. საბერძნეთში კი ორი გამოკვეთილი ლიდერია, „ოლიმპიაკოსი“ და „პანათინაიკოსი“, ზოგჯერ მათ აეკი-ი თუ შეებრძოლება, თორემ ყველამ წინასწარ იცის, რომ ჩემპიონი მათ შორის ერთ-ერთი გახდება.

- საქართველოს ნაკრები მნიშვნელოვანი შეხვედრისთვის ემზადება. რას ფიქრობ მატჩზე და ჩვენს შანსებზე?

- ხორვატებთან თამაში ნებისმიერ ნაკრებს უჭირს, ისინი ყველანაირად ეცდებიან, სასურველ შედეგს მიაღწიონ.

- საბერძნეთიც ჩვენი მეტოქეა და საინტერესოა, ათენში ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩვენი ნაკრების მიმართ?

- არ დაგავინყდეთ, ათენში ფრის შემდეგ თბილისში ხორვატიას რომ მოვუგეთ. ამ ორმა შეხვედრამ მათი დამოკიდებულება აბსოლუტურად შეცვალა და პატივისცემით განეწყვნენ. ხვდებიან, რომ ჩვენ აღარ გვყავს დაუძლურებული ნაკრები, ისეთი, ადრინდელი თამაშებიდან რომ ახსოვთ. ამბობენ, რომ საქართველოს უკვე ჯგუფის ნებისმიერ ფავორიტთან მოგებაც შეუძლია, ერთგვარად შეშინებულნიც კი არიან.

- ანუ საბერძნელის ნაკრებს საქართველოსთან უეჭველ ფავორიტად აღარ მიიჩნევენ?

- რა თქმა უნდა, აღარ მიიჩნევენ. კლუბში ბიჭებს რომ ველაპარაკები, ვხვდები, ძველებურად თავდაჯერებულები არ არიან და ამბობენ, რომ საქართველოს, ისრაელს და საბერძნეთს ერთნაირი შანსები გვაქვს. მათ ორი ქულით ჩამოვრჩებით და თავი ქუდში ნამდვილად არ აქვთ. ბერძნებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა კი სურთ, მაგრამ ბოლო შეხვედრას თბილისში ვატარებთ და ეს ადარდებთ. არავინ იცის, როგორ დასრულდება ეს მატჩი.

მერაბ მამულაშვილი

ქარი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეძდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართული ფეხბურთი

● ტორპედო

ცნობილი ჯერ ერთია: ევროპა!

რა ცვლილებები მოხდება ახალი სეზონის დაწყებამდე ქუთაისის „ტორპედოში“? ლაპარაკია, რომ კლუბში იქნება ერთი-ორი ხმაურიანი ტრანსფერი, მაგრამ ახალწვეულებისა და გაშვებულების ვინაობას კლუბის ხელმძღვანელობა ჯერ არ ამხელს.

„ტორპედოს“ აღმასრულებელი დირექტორის **გიორგი პაპიაშვილის** თქმით, გუნდი ქუთაისში 6 ივნისს შეიკრიბება. ქუთაისელთა ხელმძღვანელობა შეკრებას უცხოეთში გეგმავს, ევროტურნირზე თამაშის შემთხვევაში კონკრეტული მოსამზადებელი გრაფიკიც ჰქონდათ, მაგრამ ახლა მისი შეცვლა მოუწევთ და ფიქრობენ, შეკრება სად მოაწყონ – სლოვენიაში, გერმანიაში თუ ავსტრიაში.

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონი

უემბლიზე დამსხვრეული ოცნება

ზურაბ ხიზანიშვილმა ხელიდან გაუშვა შანსი, კარიერა ისევ ინგლისურ პრემიერლიგაში გაეგრძელებინა - გუშინ მისმა „რედინგმა“ პლეი ოფის ფინალში, რომელიც „უემბლიზე“ გაიმართა, 2:4 წააგო უელსურ „სუონსისთან“ და მომავალ სეზონშიც ჩემპიონშიპში ითამაშებს. პირველი ტაიმი კატასტროფული გამოდგა როგორც „როიალსისთვის“, ასევე მისი ქართველი მცველისთვის, რომელმაც ყვითელი ბარათი მიიღო, წითელს სასწაულებრივად გადაურჩა, პენალტი „აიკიდა“ და მეტოქეს „საგოლე პასი“ გაუკეთა. მეორე ტაიმში ჩვენებურმა გაცილებით უკეთ ითამაშა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ზურაბ ხიზანიშვილი

თეთრაძე: ვოლგას ბალასტისგან გავწმენდ

ასეთი სიტყვები თქვა პრესკონფერენციაზე „ვოლგას“ თავკაცმა **ომარ თეთრაძემ** მას შემდეგ, რაც მისი გუნდი პერმში „ამკართან“ 0:1 დამარცხდა. **გია გრიგალავამ, ლაშა სალუქვაძემ** და **ოთარ მარცვალაძემ** შეუცვლელად ითამაშეს, მაგრამ თავი დიდად ვერ დაგვამახსოვრეს, **მათე ვანაძე** პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. ჩვენებურებმა „ჩემპიონატისგან“ 5,5 ბალი მიიღეს (ვანაძის გარდა, ის 5 ბალს დააჯერეს). **გოჩა ხოჯავა** კვლავ ტრავმირებულია. „ვოლგა“ 10 ქულით მე-14 ადგილზეა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ომარ თეთრაძე

● საქართველოს ჩემპიონატი — პლეი ოფი

ნამიც და, რაჟამაშვილი მეორე გოლს გაიტანს სამტრედიელთა კარში — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დილა მშვიდობისა!

26.05. თბილისი. ბ. პაიჭაძე.
4 000 მაყურებელი

დილა	2
სამტრედია	0

1:0 რაჟამაშვილი (45. ახალკაცის პასით), რაჟამაშვილი (47. ახალკაცის პასით).

დილა 4-1-4-1	სამტრედია 4-1-4-1
შეყრილაძე	ჯინჭარაძე
ლეგიძე	ა. დვალიშვილი
ქარქუზაშვილი	თ. შალიკაშვილი
ბაძრაძე	ხუმარაშვილი
ჭითანავა	ჩხიკვაძე
ჯოჯუა	ცხადაია
რაჟამაშვილი	ალავერდაშვილი
ტლაშაძე	მიქაბერიძე
ნ. ნოზაძე	ლომაშვილი
გოგინაშვილი	ბურჯანაძე
ახალკაცი	ბაკარანძე
მწვრთნელი:	**მწვრთნელი:**
გ. ცეცაძე	ლ. ანჯაფარიძე

დილა

56. გოგინაშვილი - **სადაღაშვილი**
66. ტლაშაძე - **ცარიელაშვილი**
79. ახალკაცი - **ბარამიძე**
სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, სირბილაძე, შათირიშვილი, თედიაშვილი.

სამტრედია

46. ალავერდაშვილი – **რუხაია.**
69. ბურჯანაძე - **ხვადაგიანი.**
სათადარიგოები: ბანძავა, ნინუა, ხაჭაპურიძე, ენდელაძე, რუხაია, კერძეკაძე.

გაფრთხილება: **ლომაშვილი (28), ბაკარანძე (35), ცხადაია (66), სადაღაშვილი (90).**
არბიტრი: **მ. ბეუქლიშვილი**

ეროვნული სტადიონი ორი დღე უმაღლესი ლიგის საპლეიოფო მატჩებს მასპინძლობდა. ამჯერად უმაღლესის საგზურის ბედს პირველი ლიგის მესამეადგილოსანი გორის „დილა“ უმაღლესი ლიგის აუტსაიდერ „სამტრედიასთან“ არკვევდა.

პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მე-11 წუთზე **გიგა ბურჯანაძის** ჩაწოდებული ბურთი გორელთა მცველ **დავით ბაქარაძეს** ხელზე მოხვდა და სამტრედიელები პენალტს ითხოვდნენ. როგორც ჩანს, არბიტრმა ჩათვალა, რომ ბურთმა მოძებნა ხელი და არა პირიქით.

თამაში პირველი ტაიმის ბოლოს გამწვავდა. კვლავ ბურჯანაძემ იაქტიურა, როდესაც მის მიერ შესრულებული ჯარიმის შემდეგ ბურთი ბადეს გარედან მოხვდა. რეალური საგოლე მომენტი კი სამტრედიელებმა 39-ე წუთზე შექმნეს, როდესაც **გიორგი ალავერდაშვილმა** მარჯვენა ფლანგზე **გიორგი მიქაბერიძესთან** სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშა, ეს უკანასკნელი პენალტის ნიშნულთან მარტო დარჩა, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმა ხაზზე მდგომმა მცველმა ბაქრაძემ მოიგერია და „დილა“ გადაარჩინა.

ტაიმის ბოლო წუთზე **რომან ახალკაცი** მარჯვენა ფლანგზე მეურვეს გასცდა და ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, ერთმანეთის მოიმედე „სამტრედიას“ მეკარესა და მცველებს კი **დავით რაჟამაშვილმა** დაასწრო და ბურთიანად კარში შევარდა - 1:0.

ეს ახალგაზრდა საკმაოდ კარგად თამაშობდა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი ისევ ახალკაცთან გაითამაშა ლამაზი კომბინაცია, საჯარიმოში შეიჭრა და მეკარეს ბურთი შორეულ კუთხეში თავზე გადაუგდო - 2:0.

ამით, ფაქტობრივად, თამაშმა აზრი დაკარგა, ფიზიკურად და მორალურად გამოფიტულმა სამტრედიელებმა ერთი ბურთის გაქვითვაც ვერ მოახერხეს. არადა, ერთ ეპიზოდში კარის წინ მარტო დარჩენილ **ტარიელ რუხაიასა** და **პაატა ბაკარანძეს** ეს შეეძლოთ - პირველი ბურთს ვერ შეწვდა, მეორემ კი კარს ააცილა.

შეხვედრის შემდეგ სამტრედიელ გულშემატკივარს მოწინააღმდეგის ღირსეული ნარმატება ეჭვქვეშ არ დაუყენებია და სტადიონი მდუმარედ და დიდი ტკივილით დატოვა.

უმაღლეს ლიგას ერთი საფეხბურთო ქალაქი დააკლდა, რომელიც, გულშემატკივართა მეტისმეტი ემოციურობის მიუხედავად, ჩვენს ჩემპიონატს აცოცხლებდა. სამწუხაროა, რომ ასეთი ქალაქის გუნდი გასავარდნად გაინირა.

„დილამ“ კი დამსახურებულად გაიმარჯვა და რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა.

ამგვარად, მომავალი სეზონის უმაღლესი ლიგის მონაწილეთა ვინაობა გაირკვა. თუმცა, იმედია შემოსულ გუნდებს დააფინანსებენ და „სამტრედიასავით“ ფეხბურთს არ შეაჯავრებენ.

მერაბ მამულაშვილი

● ინტერვიუ ბიზნესმენთან

მერანი - პრა მხოლოდ მარგვილისთვის

მარტვილის „მერანმა“ დიდ წარმატებას წინა სეზონშიც მიაღწია, როცა საქართველოს თასის ნახევარფინალამდე მივიდა, წლეულს კი მთავარი მიზანი შეასრულა და პირველად მოიპოვა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება. გვესაუბრება გუნდის მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჟვანია.

- რამდენად რთული იყო „მერანისთვის“ პირველ ლიგაში წარმატების მიღწევა?

- პირველი ლიგა ხელწამოსაკრავი ტურნირი არ არის და გამარჯვება აქაც ძნელია. სეზონის პირველი ნახევარი მაღალ დონეზე ჩავატარეთ, საგაზაფხულო ეტაპზე კი ხარვეზები გვქონდა. საბედნიეროდ, ყველა სიძნელე დავძლიეთ და უმაღლეს ლიგაში გადავედით.

- სეზონის მეორე ნახევარი რატომ ჩაატარეთ შედარებით დაბალ დონეზე?

- მიზეზი კლიმატური პირობებია, მარტვილში ზამთრის შეკრების სრულფასოვნად ჩატარება შეუძლებელია. საბედნიეროდ, ჩვენმა შემართებამ თავისი გაიტანა და ამოცანის შესრულებაში ხელი ვერაფერმა შეგვიშალა.

- არის თუ არა „მერანი“ მზად უმაღლესი ლიგის მოთხოვნებისთვის?

- ლიცენზირების პირობებს ვაკმაყოფილებთ. მარტვილში ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად სამუშაოები მიმდინარეობს, მალე ჩვენი სტადიონი გაცილებით კომფორტული იქნება ფეხბურთელებისთვისაც და ქომაგებისთვისაც. მომავალ სეზონში ჯერ ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვითამაშებთ, მერე კი ბალახის საფარსაც მივხედავთ. მარტვილში ფეხბურთი ჩვენი სპონსორის, ფრიდონ ინჯიას მონდომებით ვითარდება და ამისთვის მას ქალაქის ყველა მკვიდრი ემადლიერება.

მალხაზ ჟვანია

- „მერანის“ შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვლება?

- არა, რადგან ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელები გვყავს, მათ შორის მარტვილელებიც. შეიძლება, უმაღლეს ლიგაში თავიდან ცოტა გაუჭირდეთ, მაგრამ თავის სათქმელს აუცილებლად იტყვიან. უმაღლეს ლიგაში, ცხადია, სხვა მოთხოვნებია და ამიტომ, ალბათ, რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს დავიმატებთ.

- თქვენი მიზანი მომავალ სეზონში?

- უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონს ჩავატარებთ და ამიტომაც ამბიციური მიზნები ვერ გვექნება. იქ ჯერ ფეხი კარგად უნდა მოვიკიდოთ, შემდგომ სეზონებში კი უფრო სერიოზულ ამოცანებსაც დავისახავთ. „მერანი“ ერთნლიანი კლუბი ნამდვილად არ არის, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

- ჩემპიონატის ახალ ფორმატზე რას იტყვით?

- კარგია, რადგან მეტი უმაღლესლიგური კლუბი ქართულ ფეხბურთს აუცილებლად ნაადგება. მთავარია, საამისო ინფრასტრუქტურა მოენყოს და საქმე სწორედ აქეთკენ მიდის. „მერანი“ უმაღლეს ლიგაში საკუთარი დამსახურებით მოხვდა, მაგრამ ჩვენი პოზიცია მაინც ასეთია. ჩვენი გუნდის მაგალითზე გეტყვით. მარტვილელების გარდა, „მერანის“ საქმაგოდ სენაკიდან, ნალენჯიხიდან და აბაშიდან ჩამოდიან. უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემდეგ ჩვენი ქომაგების რაოდენობა ერთიორად გაიზრდება, ასე ნელ-ნელა უნდა გამოცოცხლდეს ფეხბურთი სხვა რეგიონებშიც.

ლევან ჯანეზაშვილი

● ოლიმპი

რუსთავში დიდი ცვლილებებია

გაიამ ქოგალია ოლიმპში გაანათხოვრა

რუსთავის „ოლიმპი“ სეზონის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვლება. გუნდი უკვე დატოვეს მცველებმა **რევაზ ქემოკლიძემ, გიორგი რეხვიაშვილმა** და თავდამსხმელმა **სანდრო იაშვილმა**.

ჯერ უცნობია, სად ითამაშებს ქემოკლიძე, იაშვილი თბილისის „დინამოში“ გადავიდა, რეხვიაშვილთან კონტრაქტის გაფორმება კი თბილისის „დინამოს“, „ზესტაფონსა“ და ერთ-ერთ უცხოურ კლუბს სურთ, მაგრამ ეროვნული ნაკრების 23 ნლის მცველს თანხმობა ჯერ არც ერთისთვის უთქვამს.

თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი ყოფილა. კლუბის ნამატიც საკმაოდ სოლიდურია. სიახლეებზე „ოლიმპის“ დირექტორი **თორნიკე მაისურაძე** გველაპარაკება.

„უკვე ხუთი მოთამაშე დავიმატეთ: „სამტრედიადან“ თავდამსხმელი გიორგი მიქაბერიძე, რომელიც რუსთავშია გაზრდილი, აგრეთვე ბოლნისის „სიონის“ მცველები დავით ლომაია და სერგო ორბელაძე, ფოთის „კოლხეთიდან“ კი მიხეილ მახვილაძე. რაც შეეხება ზუგდიდის „ბაიას“ თავდამსხმელ ირაკლი ქობალიას, ის ევროთასებისთვის იჯარით მოვიწვიეთ“ – გვითხრა მაისურაძემ.

არ არის გამორიცხული, კლუბში მალე სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც მოხდეს, თუმცა ამის თაობაზე რუსთაველი კლუბის დირექტორი ჯერ არაფერს ამბობს.

„ოლიმპი“ ევროპის ლიგაზე პირველ შეხვედრას 30 ივნისს გამართავს, გუნდი სეზონისთვის მზადებას 2 ივნისს რუსთავში დაიწყებს, 9 ივნისს სლოვენიაში, მარიბორში მეორე შეკრებას გეგმავს, სადაც 21 ივნისამდე დაჰყოფენ, 22-ში კი ევროპის ლიგის კენჭისყრა გაიმართება.

გიორგი რეხვიაშვილი

მერაბ მამულაშვილი

სეზონის ნომინანტები

ტროფეული ბიბლიოთეკა

გუშინ 2010-11 წლების ქართული საფეხბურთო სეზონი ნამდვილად დამთავრდა! ჩემპიონატიც მორჩა, თასის ფინალიც ჩატარდა და პლეი ოფის ორი შეხვედრაც; მოკლედ, ახლა იმის დროც მოვიდა, გასული სეზონი რომ შევაჯამოთ და უახლოეს დღეებში უმაღლესი ლიგის თითოეული გუნდის ასპარეზობაზეც ვისაუბრებთ. ისე, გარკვეულწილად სეზონის შეჯამება უკვე დაწყებულიც გვაქვს: წინა კვირაში, ჯერ ყველა ის ფეხბურთელი ვახსენეთ, უმაღლეს ლიგაში გოლი ვისაც ჰქონდა გატანილი, შემდეგ კი სეზონის განმავლობაში ტურისა და თვის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრილი ასევე ყველა ფეხბურთელისა და მწვრთნელის „მონაგარიც“ შემოგთავაზეთ. სწორედ ტურისა და თვის სიმბოლური ნაკრებების მიხედვით შევადგინეთ კიდეც XXII ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები; ანუ, მაშინაც აღვნიშნეთ და დღესაც გავიმეორებთ, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი პრინციპით ვიხელმძღვანელეთ: კონკრეტულ ამპლუაში ვინც უფრო ხშირად იყო ტურისა თუ თვის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრილი, უპირატესობა სწორედ იმათ მივანიჭეთ. აი, დღეს კი „ლელო“ კიდევ ერთ ტრადიციულ რუბრიკას გთავაზობთ — „სეზონის ნომინანტებს“! თანაც, ამ შემთხვევაშიც ამა თუ იმ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენისთვის გარკვეული კრიტერიუმით ვიხელმძღვანელეთ; უფრო ზუსტად, ეროვნული ჩემპიონატის გარდა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ნაკრების „ფაქტორიც“ გავითვალისწინეთ; რაც მთავარია, კონკრეტულ ნომინაციაში გამარჯვებული ესა თუ ის ფეხბურთელი ერთი, კონკრეტული ჟურნალისტის არჩევანი კი არ ყოფილა, არამედ გაზეთ „ლელოს“ ქართული ფეხბურთის განყოფილების თანამშრომელთა შორის გამოკითხვის შედეგები შეჯამდა და ყველაფერი ხმათა უმრავლესობით გადაწყდა...



მწვრთნელი — გია გეგუჩაძე (ზესტაფონი)

ამ ნომინაციაში, აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა და ვფიქრობთ, ყოველივე ეს მოულოდნელი არავისთვის იქნებოდა: საქართველოს ახალი ჩემპიონის, „ზესტაფონის“ თავკაცი გია გეგუჩაძე სეზონის საუკეთესო მწვრთნელი დამსახურებულად გახდა! ანუ - ისე, როგორც „ზესტაფონის“ ტრიუმფი იყო კანონზომიერი და ლოგიკური, ასეთივე შეფასება გვინდა მივცეთ ამ ნომინაციაში გამარჯვებულ **გია გეგუჩაძესაც** — ფაქტია, რომ ამ კვალიფიციურმა სპეციალისტმა უდიდესი როლი შეასრულა იმერული გუნდის წარმატებაში.

... ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ამ სეზონში უმაღლესი ლიგის მწვრთნელებიდან სწორედ გეგუჩაძე გახლდათ, ერთსა და იმავე გუნდში ყველაზე დიდხანს რომ მუშაობდა; ჩვენთან ხომ რატომღაც ყველაფერი ერთი-ორ თვეში უნდათ და კლუბების ხელმძღვანელთა თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამაც, სეზონის განმავლობაში, ლამის არის, სამი-ოთხი მწვრთნელი გამოიცვალოს. საბედნიეროდ, სასიამოვნო გამონაკლისიც არსებობს და ეს, უპირველეს ყოვლისა, „ზესტაფონის“ პრეზიდენტზე, **ილია კოკაიაზე** ითქმის: გეგუჩაძემ იმერული კლუბი 2008 წლის ნოემბრის ბოლო დღეებში ჩაიბარა და მისი ხელმძღვანელობით „ზესტაფონი“ ყოველ სეზონში აუმჯობესებდა თავის შედეგს. და აი, ნანატრი ოქროს მედლებიც, გეგუჩაძის სამწვრთნელო კარიერაში (დამოუკიდებელ მოღვაწეობას ვგულისხმობთ) პირველი რომ იყო...

... ვიდრე „ზესტაფონში“ მივიდოდა, გეგუჩაძემ თბილისის „დინამოშიც“ წარმატებით იმუშავა: 2004 წელს საქართველოს თასი მოიპოვა, იმავე წლის შემოდგომაზე კი პირველად დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა! სხვათა შორის, გეგუჩაძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ზესტაფონმა“ შარშანაც და შარშანწინაც სავსებით ღირსეულად იასპარეზა ევროტურნირებზე; ჰოდა, ქართველ გულშემატკივრებს ახლაც გვეიმედება, რომ „ზესტაფონს“ ჩემპიონთა ლიგაზეც ღირსეული დებიუტი ექნება...

ლეგიონერი — ოვონიკოკო (ბაგრა)

შარშან ჩვენს ჩემპიონატში ანდერსონ აკინო ასპარეზობდა, იმის წინ **დიდიე ოვონო, პოლ კესანი, მილომ კრშკო, ნედ ზელიჩი, ჟილვან ვიეირა** და ასე შემდეგ; ანუ, ბოლო წლებში. სულ მცირე, ექვსი-შვიდი მართლაც მაღალი დონის ლეგიონერი ამშვენებდა ჩვენს ჩემპიონატს და საერთოდაც, ყოველი სეზონის ბოლოს ლეგიონერებისგან შემდგარ სიმბოლურ ნაკრებსაც ვადგენდით ხოლმე... ამ სეზონში კი ლეგიონერთა რაოდენობამაც იკლო და ხარისხმაც! თავად განსაჯეთ: სეზონი სრულად მხოლოდ ხუთმა ლეგიონერმა (**რობერტინიომ, ჯუისმა, ედნილსონმა, ბოიომომ, კლოვისმა**) ჩაატარა; მეორე ეტაპიდან „დინამოში“ 4 უცხოელი ფეხბურთელი გამოჩნდა, თუმცა გულახდილად რომ ვთქვათ, ვერც ერთზე ვერ ვიტყოდით, ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბი გააძლიერა-თქო, - **ჰომოლა, მაროვიჩი, ჰაჯიბულიჩი** და **იელიჩი** მართლაც „ჩვეულებრივი“ დონის ფეხბურთელები აღმოჩნდნენ. სამაგიეროდ, მართლაც გამორჩეული ლეგიონერი ... პირველ ლიგაში გვყავდა: „გაგრას“ ნიგერიელმა შემტევმა **აბაიომო ოვონიკოკომ** განსაკუთრებულად შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარა და უდიდესი როლი შეიტანა ამ გუნდის ტრიუმფში. 18 წლის ოვონიკოკო პირველი ლიგის მატჩებშიც ჩინებულად გამოიყურებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სათასო პაექრობებზე; ბოლოს და ბოლოს, „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩატარებული ორივე ნახევარფინალური შეხვედრის ბედი სწორედ ოვონიკოკოს სუპერშედეგიანმა და, საერთოდაც, შთამბეჭდავმა თამაშმა გადაწყვიტა!

ფეხბურთელი — ბუბა დაუშვილი (ზესტაფონი)

წინა ჩემპიონატში ამ ნომინაციის უპირობო ფავორიტი ჰყავდა: „ოლიმპის“ ბრაზილიელმა ლეგიონერმა **ანდერსონ აკინომ** სეზონი შთამბეჭდავად ჩაატარა და საუკეთესო ბომბარდირიც დამსახურებულად გახდა და ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც. ამ სეზონში კი საუკეთესოს გამოვლენა, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა; უფრო ზუსტად, არჩევანი ორ კანდიდატს შორის უნდა გაგვეკეთებინა და, ალბათ, არავისთვის იქნებოდა გასაკვირი, რომ ორივე ფეხბურთელი ჩემპიონი გუნდიდან იყო: **ბუბა დაუშვილი** და **ნიკოლოზ გელაშვილი.** შეგახსენებთ, რომ ნიკოლოზ გელაშვილი 18 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა; ამას გარდა, უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთაგან „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“ ყველაზე მეტჯერ (ცამეტჯერ) სწორედ გელაშვილი მოხვდა. რაღა თქმა უნდა, 22 წლის ბუბა დაუშვილსაც შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა და ამ ახალგაზრდა საყრდენმა ნახევარმცველმა ლომის წილი შეიტანა „ზესტაფონის“ წარმატებაში. საერთოდაც, ბოლო ორი წლის განმავლობაში დაუშვილი „ზესტაფონის“ შეუცვლელ ფეხბურთელად იქცა და გია გეგუჩაძის გუნდში უმნიშვნელოვანესი ფუნქციები აკისრია. რაც მთავარია, ამ უშიშარი და მოუღლელი ნახევარმცველის აზრიანი თამაში შეუმჩნეველი არ დარჩენია **თემურ ქეცბაიას** — დროის სულ მოკლე პერიოდში ბუბა დაუშვილი საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად იქცა! სხვათა შორის, დაუშვილის საუკეთესობა სწორედ სანაკრებო ფაქტორმაც განაპირობა; ისე, ეტყობა, რომ არც ისეთი დაბალი დონის ჩემპიონატი გვაქვს და ამას დაუშვილის მაგალითიც ადასტურებს — ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა საქართველოს ნაკრებში დამსახურებულად და ღირსეულად დაიკავა თავისი ადგილი...

აღმოჩენა — ირაკლი მაისურაძე (ოლიმპი)

მეორე ეტაპის დაწყების წინ „ოლიმპის“ ახალგაზრდა თავკაცმა, დებიუტანტმა სპეციალისტმა **თორნიკე მაისურაძემ** გუნდში რამდენიმე ისეთი ახალწვეული მოიწვია, რომელთა გვარ-სახელიც ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის უცნობი იყო; ერთ-ერთი მათგანი გახლდათ **ირაკლი მაისურაძე,** ვინც მანამდე ბელარუსის ჩემპიონატში ასპარეზობდა. 22 წლის მაისურაძემ უპრობლემოდ დაიკავა „ოლიმპის“ ძირითადში ადგილი და სულ მოკლე დროში ქომაგების სიმპათიაც დაიმსახურა; მაისურაძის თამაშში, უპირველესად, უნივერსალურობას გამოვარჩევდით: ნახევარდაცვაში ორივე ფლანგზე ერთნაირი წარმატებით ასპარეზობდა და ამას გარდა, საყრდენადაც ჩინებულად წარმოაჩინა თავი. სწრაფმა და ენერგიულმა ნახევარმცველმა უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონში ორი გოლი გაიტანა: ქუთაისში ეფექტური თავურით, ხოლო 23 თებერვალს რუსთავში სწორედ მისი ზუსტი დარტყმით შეძლო „ოლიმპმა“ თბილისის „დინამოს“ დამარცხება. მაისურაძის საზრიანი თამაში არც თემურ ქეცბაიას გამორჩენია და XXII ჩემპიონატის აღმოჩენა საქართველოს ნაკრებში მიიწვია!..

დებიუტანტი — ირაკლი ქობალია (ბაია)

გასულ ჩემპიონატში რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა, უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონში ჩინებულად რომ წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები; თუმცა საუკეთესო დებიუტანტად ზუგდიდის „ბაიას“ ცენტრფორვადი, **ირაკლი ქობალია** მივიჩნიეთ! აღსანიშნავია, რომ ქობალია ჩემპიონატის მეორე ეტაპიდან გამოჩნდა უმაღლეს ლიგაში - მანამდე მეორე ლიგის გუნდის, „ეგრისის“ (სენაკი) ღირსებას იცავდა. სხვათა შორის, მეორე ეტაპის დაწყებამდე „ლელოსთან“ საუბარში „ბაიას“ მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან **ლევან ჯანეზაშვილთან** ინტერვიუში თავისი გუნდის ახალწვეულებზე რომ ისაუბრა, საგანგებოდ გაუსვა ხაზი ირაკლი ქობალიას სამომავლო პერსპექტივას, — დაიმახსოვრეთ, ეს ბიჭი ამ ჩემპიონატის ნამდვილი აღმოჩენა იქნებაო! ასეც მოხდა: 18 წლის ქობალიამ სადებიუტო შეხვედრაშივე გოლით გამოიჩინა თავი და საერთოდაც, თებერვალ-მარტში, ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო. მეორე ეტაპზე ქობალიამ 17 მატჩი ჩაატარა და 7 გოლით **ირაკლი ეხვაიასთან** ერთად „ბაიას“ საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. ათლეტური ტიპის ცენტრფორვარდს გარჯა არც **ოთარ გაბელიამ** დაუკარგა: „ლელოს“ ვერსიით XXII ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტი ირაკლი ქობალია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახა.

გვერდი მოამზადა
გია ტუხაშვილმა
გაგრძელება მომდევნო ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგა 1. ბოლო ტურის გამოხმაურება

ლორან ბანიდა

პიუელის სიხარული და მწუხარება

კლოდ პიუელს კვირას „მონაკოსთან“ გამარჯვების შემდეგ გაორებული გრძნობები ჰქონდა. ხარობდა იმით, რომ თავისი გუნდი მე-3 ადგილზე გაიყვანა და ჩემპიონთა ლიგაში გაძვრა („ლიონმა“ ზედიზედ მეთორმეტედ მოიპოვა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის საგზური! რედ.), მაგრამ წუხდა იმას, რომ ყოფილი (თანაც მშობლიური) კლუბი ლიგა 2-ის გზას გაუყენა. წინათქმაშიც ვწერდით, რომ 38 ტურს ინტრიგა პრაქტიკულად აღარ ჰქონდა შერჩენილი. ერთადერთი ღირებული მე-3 ადგილი და ლიგის საგზური იყო გასათამაშებელი, მაგრამ „მონაკოს“ „ლიონთან“ მოგების იმდენად მცირე შანსი ჰქონდა, რომ ამაზე ყურადღება აღარც გაგვიმახვილებია. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ამას ფეხბურთის სპეციალისტები ელოდნენ – საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონებმა უპრობლემოდ მოიგეს და 2004 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი პირველად 34 წლის განმავლობაში რანგით დააქვეითეს.

სიტუაცია მონეგასკებისთვის მაქსიმალურად ცუდი სცენარით განვითარდა – კლოდ პიუელის გუნდმა **ლისანდრო ლოპესისა** და **პაპა დიაკატეს** გოლებით 2:0 იმარჯვა. მატჩის შემდეგ მუსიე კლოდის კომენტარებში აშკარად ჩანდა გულისტკივილი, რომ სწორედ მან მოუსწრაფა სიცოცხლე გუნდს, რომელიც მწვრთნელის რანგში 1999-2000-ის სეზონში ჩემპიონი გახადა, ხოლო როგორც ფეხბურთელი, 500-ზე მეტ მატჩში ემსახურა: *„მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ვწუხვარ იმაზე, რაც „მონაკოს“ დაემართა,* - აღნიშნა 49 წლის სპეციალისტმა. – *იმისთვის, რომ მათ ელიტაში ადგილი შეენარჩუნებინათ, მრავალი ფაქტორი უნდა დამთხვეოდა ერთმანეთს. იმედს ვიტოვებ, რომ ისინი მაქსიმალურად მალე დაუბრუნდებიან ლიგა 1-ს. „ლიონს“ რაც შეეხება, ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ, რადგან ბოლო ხანს სანერვიულო დაგვიგროვდა და ეს ისევ და ისევ ჩვენი ბრალია. საქმე აქამდე ჩვენვე მივიყვანეთ, როცა ჩემპიონატის სტარტი ჩავაგდეთ* (სექტემბრის ბოლოს „ლიონი“ მე-18 ადგილზე იმყოფებოდა. მე-4 ტურიდან მოყოლებული ვიდრე მე-10-მდე გუნდი მე-17-14 ადგილებს შორის მონაცვლეობდა. რედ). *მიმიმე წნეხის პირობებში დაკავებული მესამე ადგილი ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის“.*

ზემოთაც მოგახსენეთ, რომ „მონაკო“ ელიტაში ზედიზედ 34 წელი თამაშობდა. საინტერესოა, რომ 1976 წელს გავარდნილი გუნდი უმაღლეს ლიგაში მომდევნო სეზონშივე დაბრუნდა და შვიდი საჩემპიონო ოქროდან მესამე დაბრუნებისთანავე მოიპოვა. შეიძლება ეს ისტორიული მაგალითი „მონაკოს“ დამრიგებელმა **ლორან ბანიდამაც** მშვენივრად იცოდეს, მაგრამ თავად წარმოგიდგენიათ, თუ როგორ „შვება“ შეიძლება იყოს ის გნებავთ მისთვის და გნებავთ გუნდის რიგითი გულშემატკივრებისთვის. 43 წლის მწვრთნელი ჟურნალისტების წინაშე აშკარად შემცბარი წარდგა. ყველა მიხვდა, რომ ის ცრემლებს ძლივს იკავებდა: „ამ წუთას მხოლოდ იმ ადამიანებზე ვფიქრობ, ვინც უკვე გამოთქვა მწუხარება კლუბის თავს დატრიალებული მოვლენების გამო. ვფიქრობ იმ ადამიანებზეც, რომელთაც უყვართ ეს კლუბი. შეძრწუნებული ვარ იმით, რაც მოხდა და ძლიერ ვიტანჯები. ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია ფრანგული ფეხბურთისთვის. ძნელია შევეგუოთ, რომ ლიგიდან გავვარდით მიუხედავად იმისა, რომ 44 ქულა დავაგროვეთ“.

ახლა კი ტრადიციას დავუბრუნდეთ და ტურის სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა:

ტურის გმირი

პასკალ ბერენჟეს სახელი და გვარი ალბათ ჩვენი გაზეთის მკითხველს ნაკლებად ეუბნება რამეს. ეს ფეხბურთელი „ნანსიში“ უკვე 8 წელია თამაშობს და ამ დროის განმავლობაში ყველა ტურნირზე ერთად გუნდის ღირსება 250-ზე მეტ მატჩში დაიცვა. მის ანგარიშზე აქამდე სულ 10 გოლი იყო და სწორედ მაშინ, როცა მისი გუნდის ბედი წყდებოდა, დუბლი შეასრულა და თავის გუნდს იმის მიუხედავად, თუ როგორ დამთავრდებოდა პარალელურად მიმდინარე „მონაკო“-“ლიონი“, გარანტია მისცა, რომ ელიტაში დარჩებოდა. ბუნებრივია, ტურის გმირის სტატუსი ღირსეულად მიიღო.

გთავაზობთ ტურის სიმბოლურ ნაკრებს:

რამე(ბორდო) – **მარანჟი**(ბორდო), **დიაკატე**(ლიონი), **ბერია**(ლილი) – **ჰაშუმა**(კაენი), **ბერენჟე**(ნანსი), **პაიე**(სენტ ეტიენი), **სამარიტანო**(ოსერი) – **პუჟოლი**(ვალანსიენი), **მ.სოვი**(ლილი), **პენტეკო**(ტულუზი)

ტურის მოვლენები

„სოშოს“ 20 წლის ფეხბურთელმა **რიად ბუდებუზმა** ლიგა 1-ის 38-ივე თამაში ჩაატარა და ბოლო ტურში „არლთან“ ალალად დაიმსახურა სტუმრების მიერ მოპოვებული პენალტის დარტყმის უფლება. 11-მეტრიანი მან მეკარეს დამაცირებელ სტილში გაუტანა: დაელოდა როდის გადახტებოდა და უკვე ძირს დაწვენილ გოლკიპერს მის კუთხეშივე საშუალო სიმაღლეზე ისე შეუგდო, რომ **მუსა იატარას** აღების შანსი არ მისცა.

კომიკური იყო „ბრესტი“-“ტულუზის“ მატჩის შემდგომი მოვლენები. მართალია, მასპინძლებმა წააგეს (0:2), მაგრამ მათთვის ამას ხელი არ შეუშლია, რომ გულიანად ეზეიმათ ლიგაში დარჩენა.

38-ე ტურის შემდეგ ბუნებრივია, რომ ძალიან ბევრმა ფეხბურთელმა ჩაატარა უკანასკნელი მატჩი თავისი კლუბის შემადგენლობაში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ტრანსფერები ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. თუმცა ერთი ფეხბურთელის გამოყოფა ნამდვილად შეიძლება. ეს არის **კევინ გამეირო**, თავდამსხმელი, ვინც „ლორიანი“ წელს პრაქტიკულად მარტომ „ათრია“. უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ ის ახალ სეზონს სხვა გუნდში დაიწყებს და პრაქტიკულად გარკვეულია ისიც, რომ ეს არ იქნება ფრანგული კლუბი. შესაბამისად, საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი მხოლოდ კლუბს კი არა, ლიგას და სამშობლოსაც ეთხოვებოდა. გამოთხოვებაც ასეთი უნდა – მორიგი გოლით.

სკანდალი ფიფაში

ბლატერი უნდა შევაჩეროთ!

ყატარს ბრალი დასდეს. აზიელები სასამართლოში მიდიან

ჯეკ უორნერი ფიფას ჯერ კიდევ მოქმედი ვიცე-პრეზიდენტი და კონკაკაფის პრეზიდენტია (მხოლოდ დროებით არის საქმიანობას ჩამოშორებული), თუმცა ის ბლატერის წინააღმდეგ სერიოზულ ბრალდებებს აყენებს. ადამიანზე, ვინც რამდენიმე დღის წინ თავად იყო სკანდალში გახვეული, ქვემოთ მოგითხრობთ, იქამდე კი მას მოვუსმინოთ. უორნერი მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებზეც ლაპარაკობს:

„მაიამიში ჩატარებულ კონკაკაფის კონგრესზე იოზეფ ბლატერმა დელეგატებს საერთო ჯამში მილიონი დოლარი გადასცა და განუცხადა, რომ მათ შეეძლოთ აღნიშნული თანხა საკუთარი სურვილისამებრ დაეხარჯათ. იქვე იმყოფებოდა მიშელ პლატინიც, ვინც ამით ძალზე გაღიზიანდა და ფიფას გენერალურ მდივან ჟერომ ვალკეს გადაულაპარაკა, რომ ბლატერს არ ჰქონდა უფლება ფინანსური კომიტეტისგან, ასეთი მსხვილი თანხა ქველმოქმედებისთვის დაეხარჯა, რაზეც ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ ეს პრობლემა არ იქნებოდა, რადგან ის მონახავდა ამ ფულს ბლატერისთვის. კარიბის ზღვის აუზის ფედერაციათა წარმომადგენლების შეხვედრაზე კი ბლატერმა ყველა მონაწილეს ნოუთბუქი და კინოპროექტორი აჩუქა. რაც შეეხება ფიფას ეთიკის კომისიის სხდომის მიერ ჩემ წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას: ჩემს გათავისუფლებაზე მხოლოდ მასმედიის საშუალებებიდან გავიგე. ჩემთვის ეს ნამდვილი შოკი იყო. სხდომის დასრულების შემდეგ მე სპეციალურად დავუტოვე რამდენიმე ადამიანს ჩემი კოორდინატები და ვთხოვე, რომ შედეგები ჩემთვის აუცილებლად ეცნობებინათ. თუმცა ოფიციალურად ჯერ არანაირი საბუთი არ მიმიღია. გამოძიებით იმედგაცრუებული ვარ. სხდომას რომ უნდა დავსწრებოდი ეს 24 საათით ადრე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რაც წესის დარღვევაა. ამას გარდა ეთიკის კომისიის სხდომას ხუთიდან ერთი წევრი არ ესწრებოდა. ჩემთვის ოფიციალური ბრალდების ქსეროასლიც კი არ გადმოუციათ და ის მხოლოდ ზეპირად გამაცნეს. ეს სამართლიანობისთვის ბრძოლის ყველაზე ცუდი ფორმაა. მათ გადაწყვეტილება წინასწარ ჰქონდათ მიღებული და ჩემი არგუმენტებისთვის ყურიც არავის მიუგდია. კომისიას ვუთხარი, რომ ბენ ჰამამს კარიბის ზღვის ფედერაციებისთვის 40-ათასდოლარიანი ჩეკები არ გამოუცია. მეტიც, ის ამ ფედერაციებს არასოდეს დახმარებია. ახლა ვხვდები, რომ კომისია იმ ბრძანებას ასრულებდა, რომელიც „ზემოდან“ მიიღო. ადრეც მითქვამს, რომ ფიფას ნამდვილი ცუნამი ელოდება. დამიჯერეთ, ეს მხოლოდ დასაწყისია და სანამ ძალიან გვიანი არ არის, ბლატერი უნდა შევაჩეროთ.

18 მაისს, როცა მივხვდი, რომ ბენ ჰამამსა და ბლატერს შორის პოლიტიკური ბრძოლა ყველა ჩარჩოს გადასცდა, სპეციალური წერილი მივწერე ჟერომ ვალკეს, სადაც მივუთითე, რომ არჩევნების შედეგებს შეიძლებოდა არაბული ქვეყნების ზედმეტი გაღიზიანება გამოეწვია და ვისურვე, რომ ბენ ჰამამი ბრძოლას ჩამოშორებოდა, რაზეც ჟერომმა წერილითვე მიპასუხა, რომ ვერ ხვდებოდა, რანაირად აპირებდა ბენ ჰამამი საპრეზიდენტო არჩევნების მოგებას. შეიძლება ამით ის ყველას ბლატერისადმი სიძულვილს უმტკიცებს ან იმავე გზით ცდილობს გამარჯვების ყიდვას, როგორც ყატარს 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა მოუპოვაო (უორნერის მიერ ამ წერილების გამოქვეყნების შემდეგ ვალკემ თავი იმით იმართლა, რომ ეს მხოლოდ წერილის ნაწილია და ის კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი. რედ).

ბატონი ბენ ჰამამისა და ჩემ წინააღმდეგ ბრძოლა პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. ეს კეთდება იმისთვის, რომ ჩვენ ორს მაქსიმალურად მტკივნეული დარტყმა მოგვაყენონ. ამ საკითხზე გაჩუმებას არ ვაპირებ. მყარად მაქვს გადაწყვეტილი, რომ ჩემი რეპუტაცია აღვიდგინო“.

აქვე გთავაზობთ იმ ადამიანის კომენტარს, რომელიც ზემოთ უკვე ძალიან ბევრჯერ ვახსენეთ. ბენ ჰამამმა ინტერვიუ „სქაი სპორტს“ მისცა: *„მე საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად სერიოზული არგუმენტები მქონდა, თუმცა კომიტეტმა ისინი არასაკმარისად მიიჩნია. იმის მაგივრად, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციისთვის პატივი ეცათ, მე საფეხბურთო სამყაროში საქმიანობა ამიკრძალეს. არადა, მეგონა, რომ ეთიკის კომისია მართლა დამოუკიდებელი ორგანო იყო, თუმცა სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ფიფას გენერალურმა მდივანმა გასაგებად მიგვანიშნა, რომ მას საკმაო გავლენა აქვს. მე თამაშის ასეთ წესებს პატიოსანს ვერაფრით ვუწოდებ. გარწმუნებთ, ჩემი უფლებების დასაცავად ბოლომდე ვიბრძოლებ“.*



ჯეკ უორნერმა ფიფას ირგვლივ არნახული სკანდალი გამოიწვია

ბუნებრივია, რომ როცა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების ყიდვაზე ფიფას გენერალური მდივანი ლაპარაკობს, საქმე იმაზე სერიოზულად უნდა იყოს, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით წარმოიდგინო. ინტერნეტში ამ ინფორმაციების გაჟონვის უმალ, ყატარულმა მხარემ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, სადაც საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა შემდეგი განცხადება გააკეთა: *„კომიტეტი „ყატარი 2022“ კატეგორიულად გამორიცხავს გამარჯვების მოსაპოვებლად მისი მხრიდან კანონის დარღვევის ერთ შემთხვევასაც კი. ველოდებით, რომ უკვე უახლოეს დღეებში ფიფა ოფიციალურად განგვიმარტავს, თუ რას გულისხმობდა ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი როცა ასეთი განცხადებას აკეთებდა. თუკი დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ მივიღებთ, მაშინ სასამართლოს მივმართავთ“.*

ორიოდე კვირის წინ ფიფას წინააღმდეგ ბრალდებები ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ყოფილმა თავკაცმა ლორდმა **დევიდ ტრისმენმაც** წამოაყენა. მან აღმასკომის რამდენიმე წევრის წინააღმდეგ გაილაშქრა და მათ ბრალი კორუფციაში დასდო. მათ შორის დასახელებული იყვნენ: ჯეკ უორნერი (ტრინიდადი), **ნიკოლას ლეოსი** (პარაგვაი), **რიკარდო ტეიშეირა** (ბრაზილია) და **ვორავი მაკუდი** (ტაილანდი). თუმცა ასოციაციის კომპეტენტური კომიტეტის გამოძიებამ ტრისმენის არგუმენტებში ხელჩასაჭიდი ვერაფერი იპოვა და საქმე დახურა. ჟერომ ვალკე გახარებულია და აცხადებს, რომ: *„ეს ადამიანები ბრალდებისგან თავისუფლები არიან. მე უკვე მივიღე ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის დასკვნა და იმედი მაქვს, რომ ფიფა მას აუცილებლად გამოაქვეყნებს. მოხარული ვარ, რომ ჩვენმა ინგლისელმა კოლეგებმა მხოლოდ ტრისმენს კი არა ინგლისი 2018-ის საორგანიზაციო კომიტეტის სხვა წევრებსაც მოუსმინეს და ბრალდებათა აბსურდულობამდე ამის შემდეგ მივიდნენ“.*

გვერდი მოამზადა
ლევან ბიგილაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● იტალიის თასი. ფინალის შემდეგ

ატირებული მიკოლი

სიცილიელებმა იღბალს შესჩივლეს

ლეონარდო: სეზონი ღიმილით დავასრულეთ

იტალიაში სეზონი თასის ფინალური მატჩით დასრულდა და ამის შესახებ გუშინდელ ნომერში გამცნეთ. „ინტერმა" 3:1 დაამარცხა „პალერმო" და მორიგი ტროფეი მოიპოვა, სიცილიელები კი უტიტულოდ დარჩნენ. პრინციპში, კუნძულელთა უტიტულობა ჩვეულებრივი ამბავია და ამად იყო, რომ **დელიო როსის** შეგირდები განსაკუთრებული მოტივაციით ელოდნენ „ნერაძურისთან" პაექრობას. **ფაბრიციო მიკოლიმ** ისიც კი განაცხადა, რომ მისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არასდროს ყოფილა ასეთი მოტივირებული. პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ მიკოლი „პალერმოს" დატოვებს და კარიერას სხვა გუნდში გააგრძელებს - შესაბამისად, ფაბრიციოსთვის თასის ფინალური მატჩი ორმაგად ამაღელვებელი და მნიშვნელოვანი გახლდათ. დაახლოებით ანალოგიურ ვითარებაში იყო გუნდის მთავარი მწვრთნელი, რომელიც ასევე დატოვებს სიცილიას და სავარაუდოდ, სერია A-ს რომელიმე სხვა გუნდს ჩაიბარებს. დელიო როსი ერთი ხანობა ინარჩუნებდა სიმშვიდეს, მაგრამ შემდეგ ველარ მოთოკა ემოციები და „ინტერის" ტრიუმფის ფონზე ბავშვივით ატირდა. უარეს დღეში იყო მიკოლი, რომელსაც ემოციების მოთოკვა არც კი უცდია და თანაგუნდელების დასაწყნარებელი გახდა.

მიუხედავად ასეთი მტკივნეული მარცხისა, სიცილიელმა გულშემატკივრებმა ფეხბურთელები ბოლომდე გაამხნევეს და ისე მიიღეს, როგორც გმირები - ამან ერთი მხრივ გაახარა დელიო როსი, მეორე მხრივ კი კიდევ უფრო დასნყვიტა გული: *„ძალიან დასანანი მარცხი იყო, რომელსაც ალბათ ვერასდროს დავივიწყებ. მთელი თამაში ტერიტორიული უპირატესობით წარვმართეთ და ნამდვილად შეგვეძლო „ინტერის" დამარცხება. ფეხბურთში იღბალიც საჭიროა და დღეს, სწორედ ეს დაგვაკლდა. „პალერმოს" ყველაზე საოცარი გულშემატკივრები ჰყავს და ძალიან მწყდება გული, რომ მათი გახარება ვერ შევძელით. მარცხის მიუხედავად, უდიდესი სითბო მოდიოდა მათგან, რამაც თან გამახარა, თან კიდევ უფრო გამაწბილა - ისინი იმსახურებდნენ თასის მოგებას, ჩვენ კი ეს ვერ შევძელით. ნებისმიერ შემთხვევაში, დიდი მადლობა მათ ყველაფერისთვის, რაც ერთად გადაგვხდენია თავს".*

ბუნებრივია, ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში იყო ფრაბრიციო მიკოლი, ფეხბურთელი, რომელიც ტოვებს „პალერმოს" და ჯერ ისიც არ ვიცით, სად გააგრძელებს კარიერას - მოვუსმინოთ მიკოლის: *„თამაშის წინ ვთქვი, რომ ასეთი მოტივირებული არასდროს ვყოფილვარ და ალბათ ხვდებით, რა ხასიათზე დამაყენა მარცხმა. უამრავი ადამიანი ჩამოვიდა რომში, რომ ჩვენთვის ექომაგა, ჩვენ კი მათი გახარება ვერ შევძელით. რას ვი ზამთ, ეს ფეხბურთია და ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. ვულოცავ „ინტერს" ამ გამარჯვებას, თუმცა ვთვლი, რომ თასს ჩვენც არანაკლებ ვიმსახურებდით. არაფერი დავუთმეთ ძლიერ მეტოქეს და ცოტა რომ გაგვმართლებოდა, აუცილებლად გავიმარჯვებდით".*

მოკლედ, სიცილიელებმა მარცხი დიდწილად იღბალს დააბრალეს, თუმცა არც მთლად ასეა საქმე - „ინტერმა" პირველ რიგში კლასის ხარჯზე გაიმარჯვა და თანაც დახარჯა ზუსტად იმდენი ენერგია, რამდენიც საჭირო იყო. ფაქტია, რომ ის, რაც ვერ შეძლო მაგალითად **აბელ ერნანდესმა**, გამოუვიდა **სამუელ ეტოოს** და თუ რატომ გამოუვიდა მაინც და მაინც ეტოოს, ამაზე ძალიან მარტივი პასუხი გვაქვს - კამერუნელი უბრალოდ უკეთესი ფორვარდია. სიცილიელებსაც ჰყავთ ერთი ახალგაზრდა, რომელსაც კოჭებში ეტყობა, რომ დიდი ფეხბურთელი შეუძლია გახდეს - ლაპარაკია **ხავიერ პასტორეზე**, რომელმაც არაერთხელ გაამწვავა თამაში მეტოქის კართან და პასიც უხვად არიგა, თუმცა იგივე **ერნანდესი, ილიჩიჩი** და სხვა თანაგუნდელები ფეხს ვერ უწყობდნენ. აპირებს თუ არა პასტორე „პალერმოს" დატოვებას? - ამაზე თავად არგენტინელი შემტევი უკეთესად იტყვის: *„ჩემთვის მთავარი სათამაშო პრაქტიკაა, რითიც სიცილიაში განებივრებული ვარ და ეს ყველაზე უფრო მეტად მახარებს. ამიტომ, ასეთ საკითხებს დიდი სიფრთხილით ვეკიდები და დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმას არ ვაპირებ. არ მსურს ისეთ გუნდში გადასვლა, რომელიც გუნდის შთაბეჭდილებასაც არ ტოვებს და იქ მხოლოდ მილიონებად ნაყიდი ფეხბურთელები იყრიან თავს. ასეთ გარემოში ძნელია გაიზარდო როგორც ფეხბურთელი და შესაბამისად, ფულს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. სხვა საქმეა, თუკი დავინახე, რომ ამა თუ იმ გრანდს სწორედ ჩემი პოზიციის ფეხბურთელი სჭირდება და თუ თავის წარმოჩენა შევძელი, ძირითადშიც აუცილებლად მოვხვდები. ამ შემთხვევაში შეიძლება სხვა გუნდში გადასვლაზე დაფიქრება და ამას ნამდვილად ვერ გამოვრიცხავ. თუმცა, დღეს მხოლოდ „პალერმოზე" ვარ კონცენტრირებული, რადგან რეალური წინადადება არავისგან მიმიღია".*

„ინტერის" ბანაკში გადავინაცვლოთ, სადაც ვერ ვიტყვით, რომ ნამდვილი ისტერიაა თასის მოგებასთან დაკავშირებით, მაგრამ არც მთლად ისეა საქმე, როგორც ჩვეულებრივ დღეებში. „ნერაძურიმ" იზეიმა თასის მოგება და იმ განწყობას, რომელიც დღეს მილანელთა ბანაკში სუფევს, **ლეონარდოს** სიტყვები ყველაზე კარგად ასახავს: *„ძალიან რთული სეზონი იყო, რომელიც ღიმილით დავასრულეთ. „პალერმოს" მხურვალე ქომაგობა ჰქონდა, მეტოქე მოტივირებული იყო, ასეთ გუნდთან ჭიდილი კი ყოველთვის ურთულესია. მიუხედავად ამისა, დამაჯერებლად გავიმარჯვეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სწორ გზას ვადგავართ. მჯერა, ეს წარმატება კიდევ უფრო აანთებს ფეხბურთელებს და ახალი ტროფეების მოგების სურვილს გაუღვივებს".*

„ინტერმა" მართლაც ღიმილით დაასრულა სეზონი, ლეონარდომ კი პირველი ტიტული მოიპოვა სამწვრთნელო კარიერაში - რა განცდა დაეუფლა ბრაზილიელ სპეციალისტს, ამაზე თავად მოგვითხრობს და უმჯობესია დავუბრუნოთ სიტყვა: *„პირველ რიგში, ბედნიერი ვიყავი იმის გამო, რომ გულშემატკივრები გავახარეთ, რომლებიც მთელი სეზონის განმავლობაში გვერდში გვიდგანან; შემდეგ ფეხბურთელების გამო, რომლებიც ყველაზე რთულ პერიოდშიც კი ერთმუშტად იყვნენ შეკრულნი და ბრძოლის შეწყვეტა აზრადაც არ მოსვლიათ; აი შემდეგ კი გავაცნობიერე, რომ პირველი ტიტული მოვიპოვე და ძალიან სასიამოვნო შეგრძნება დამეუფლა. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ სეზონი ძალიან რთული გამოვიდა, ბევრი ვიშრომეთ და კარგია, რომ ეს თასის მოგებით დაგვიფასდა".*

ლაშა ნიკლაური

● ● ●

● გერმანიის ნაკრები

იოგის კლოზეც გამოაკლდა

მიროსლავ კლოზე დაშავდა და გერმანიის ნაკრებს ვერ დაეხმარება

ამასობაში, მიროს მილანი და ლაციო უხმობენ

წამყვანი საყრდენი ნახევარმცველების შემდეგ, გერმანიის ნაკრებს თავდამსხმელიც დაუშავდა. კვირას ბუნდესგუნდმა ურუგვაის ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში 2:1 დაამარცხა და ამ მატჩში „ბაიერნის“ 32 წლის ფორვარდმა **მიროსლავ კლოზემ** ტრავმა მიიღო, ორშაბათს კი ცხადი გახდა, რომ მირო (109 თამაში ბუნდესგუნდში) გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში (3 ივნისს ავსტრიასთან, 7 ივნისს აზერბაიჯანთან) ვერ დაეხმარება.

„კლოზეს ტრავმამ ძალიან დამამწუხრა, თუმცა დამღლელი სეზონის შემდეგ ტრავმის მიღების რისკი ყოველთვის მაღალია ხოლმე და ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მიროს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ, ავსტრიას და აზერბაიჯანს კი მის გარეშეც უნდა მოვუგოთ,“ - განაცხადა ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

კლოზეს ტრავმა უთუოდ გაახარებდა მის კონკურენტ **მარიო გომესს**, რომელსაც ახლა ორივე შეხვედრაში თამაში გარანტირებული აქვს. ლიოვს კლოზეს შემცვლელი ჯერ არ გამოუძახია, რადგან ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე გომესის გარდა, სამი ვარიანტი აქვს. ამ პოზიციაზე თამაში ხომ **თომას მიულერს, ლუკას პოდოლსკის** და **ანდრე შიურლესაც** შეუძლიათ. თუმცა ეს ფეხბურთელები იოგის შემტევი ნახევარმცველების პოზიციებისთვის სჭირდება და დიდი შანსია, რომ ახალ ცენტრფორვარდს მაინც უხმოს.

ამასობაში, გერმანული პრესაც იუწყება, რომ კლოზეს იტალიური გრანდები ეპატიჟებიან. გუშინდელ ნომერში იტალიურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია გამოვაქვეყნეთ, გუშინ კი, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმაც დაწერეს, რომ მიროს გადაბირება რომის „ლაციოს“ და „მილანს“ სურთ. შეგახსენებთ, რომ 32 წლის კლოზეს „ბაიერნთან“ კონტრაქტი 1 ივლისს უმთავრდება და ჯერ ახალი ხელშეკრულება არ გაუფორმებია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ტრანსფერზე დათანხმდა, „ლაციო“ ან „მილანი“ მას ხელში უფასოდ ჩაიგდებენ.

● დორტმუნდის ბორუსია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინჯის მაღალი სინჯი

ახალი კონტრაქტი ნატვრის თვალ კაგავას

დორტმუნდის „ბორუსიას“ ტრანსფერებისთვის კიდევ 5 მილიონი ევრო აქვს გამოყოფილი, მაგრამ გერმანიის ჩემპიონის სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** ამბობს, სულ არაა აუცილებელი, რომ ეს ფული აუცილებლად დავხარჯოთო. უკვე გადაწყვეტილია, რომ „ბორუსია“ ახალი სეზონისთვის მზადებას მხოლოდ იმ ხუთი ახალწვეულით დაიწყებს, რომელთა გადორტმუნდელება უკვე გადაწყვეტილი ამბავია – საუბარია **პერისიჩზე, გიუნდოგანზე, ლიოვეზე, ლაიტნერსა** და **კოხზე**, რომლებსაც მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** მოსამზადებელ შეკრებაზე წაიყვანს. ცორკის თქმით, სწორედ შეკრების შემდეგ გადაწყდება, სჭირდება თუ არა BVB-ს კიდევ ახალი მოთამაშეები.

სამაგიეროდ, ცორკი მოქმედი შემადგენლობის გამყარებაზე მუშაობს და მისი უახლოესი გეგმა 22 წლის იაპონელ გამთამაშებელ **შინჯი კაგავასთან** ახალი კონტრაქტის გაფორმებაა. ეს უკანასკნელი „ბორუსიაში“ ზუსტად ერთი წლის წინ იაპონური „ოსაკადან“ გადავიდა და გუნდს მისი შეძენა სულ რაღაც 350 000 ევრო დაუჯდა. კაგავამ პირველი წრე ბრწყინვალედ ჩაატარა, 8 გოლი გაიტანა და 1 საგოლე გადაცემაც მიითვალა, იანვარში კი, აზიის თასზე უმძიმესი ტრავმა მიიღო და ბუნდესლიგის ბოლო ტურამდე ველარ გამოჯანმრთელდა.

კაგავას, რომელსაც დორტმუნდელები „ნატვრის თვალს“ უწოდებენ, „ბორუსიასთან“ მოქმედი კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ ცორკი და სხვა ხელმძღვანელები ხვდებიან, რომ თუ სწრაფად არ იმოქმედეს, შინჯის ძალიან ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდება. ცორკის თქმით, „დორტმუნდის“ პრიორიტეტი საკადრო საკითხებიდან ახლა კაგავასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაა. სულელები უნდა ვიყოთ, ამაზე რომ არ ვფიქრობდეთო, აცხადებს გერმანიის ჩემპიონის ერთ-ერთი შეფი. კაგავას მრჩეველი **თომას კოხი** კი ამბობს, რომ ცორკთან და მენეჯერ **ჰანს იოახიმ ვატცკესთან** პირველი მოლაპარაკება უკვე შედგა.

შინჯი კაგავას ახალ კონტრაქტს გაუფორმებენ

● ტრანსფერი

ივარგებს რაფინია ბაიერნში?

მიუნხენურ გრანდს ბრაზილიელი მარჯვენა მცველის ტრანსფერი 5.3 მილიონი ევრო უჯდება

გასულ უქმეებზე „ბაიერნმა“ ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხი გადაწყვიტა: რეკორდმაისტერმა მარჯვენა მცველი იყიდა. კანდიდატებზე ადრეც არაერთხელ დაგვინერია და მკითხველი კარგადაა ინფორმირებული, ფლანგის რომელი მცველების შეძენაზე ფიქრობდნენ ბავარიელები, ახლა კი უნდა გამცნოთ, რომ მიუნხენურ კლუბს ხელში ბუნდესლიგის მოყვარულთათვის კარგად ნაცნობი ფეხბურთელი, ბრაზილიელი **რაფინია** შერჩა. გეხსომებათ, 25 წლის მარჯვენა მცველი წლების მანძილზე „შალკეს“ ღირსებას იცავდა, ეს სეზონი კი იტალიურ „ჯენოაში“ გაატარა. ახლა კი, რაფინია „ბაიერნის“ რიგით მეორე ახალწვეულია – მანამდე ბავარიელებმა კონტრაქტი „კოტბუსის“ ფორვარდ **ნილს პეტერსენს** გაუფორმეს, რომელიც გასრულებულ სეზონში მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები რაფინიას სამწლიან კონტრაქტზე მოურიგდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიელი „ბაიერნს“ საკუთარ ბედს 2014 წლამდე დაუკავშირებს. მიუნხენელთა პრეზიდენტი **ული ჰაინესი** და ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** „ჯენოას“ შეფებსაც შეუთანხმდნენ – „ბილდის“ ინფორმაციით, იტალიური კლუბი რაფინიას სანაცვლოდ 5.3 მილიონ ევროს მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ „ბაიერნს“ რაფინიას ყიდვა 2009 წელსაც უნდოდა, თუმცა მაშინ ტრანსფერი იმის გამო ჩაიშალა, რომ ბრაზილიელზე უარი ბავარიელთა მაშინდელმა თავკაცმა **ლუის ვან გაალმა** თქვა – ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მიიჩნია, რომ ფლანგის ორივე მცველი დაბალი არ უნდა იყოს. რაკი **ფილიპ ლამი** სიმაღლეში 170 სანტიმეტრია, ხოლო რაფინია კი 172, ტრანსფერი არ შედგა. ახლა კი ვან გაალი „ბაიერნის“ დამრიგებელი აღარ არის, მომავალი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** კი, როგორც ჩანს, ფლანგის მცველებს სიმაღლის მიხედვით არ განსჯის. რაფინიას ტრანსფერი რეკორდმაისტერისთვის იმას ნიშნავს, რომ კაპიტანი ლამი დაცვის მარცხენა ფრთაზე გადაინაცვლებს, ბრაზილიელი კი მისთვის ჩვეულ პოზიციაზე, მარჯვნივ ისპარეზებს.

ახლა საკითხავი ის არის, რამდენად მოუხდება და შეესაბამება ბრაზილიელი მარჯვენა მცველი „ბაიერნს“. მართალია, სპორტული თვალსაზრისით მას არაფერი დაეწუნება და თავის ამპლუაში ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ რაფინიას სკანდალური ფეხბურთელის იმიჯი აქვს. „შალკეში“ თამაშის დროს (2005-2010) ის უდისციპლინობისთვის არაერთხელ დასჯა როგორც გერმანიის საფეხბურთო ლიგამ, ისე გელზენკირხენულმა კლუბმაც. ერთხელ კი მას კოლეგებმა „ბუნდესლიგის ყველაზე აუტანელი ფეხბურთელის“ წოდებაც კი მიანიჭეს. თუმცა მეორე მხრივ, რაფინია ყოველთვის მაქსიმალურად მოტივირებული და მონდომებული ფეხბურთელია, რომელიც ბოლომდე მედგრად იბრძვის ხოლმე.

● გლადბახი

ეფენბერგის რევოლუცია ჩაიშალა

იმედგაცრუებული შტეფანი მიონხენგლადბახიდან გაიძცა

შტეფან ეფენბერგი გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი ფეხბურთელი იყო. სწორედ ამიტომ გაოცდა მთელი საფეხბურთო გერმანია მის საქციელზე – ამბობენ, ეფეს ასეთი რამ არ ეკადრებაო. როგორც იცით, 42 წლის შტეფანი მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ სერიოზულ რევოლუციას გეგმავდა – მას სპორტული დირექტორობა სურდა, პრეზიდენტ **როლფ კიონიგისისთვის** და მოქმედი სპორტული დირექტორისთვის, **მაქს ებერლისთვის** კი იმპიჩმენტი უნდა მოეწყო. სწორედ ამ მიზნით ჩამოაყალიბა საინიციატივო ჯგუფი, რომლის მოთხოვნითაც, კვირას „ბორუსია პარკზე“ კენჭისყრა გაიმართა – კენჭისყრა, რომლის შედეგიც ეფენბერგისთვის კატასტროფული მარცხია.

4769 ხმიდან ეფემ მხოლოდ 335 მიიღო – მისი ინიციატივის წინააღმდეგ კი ხმა კლუბის 4269 წევრმა მისცა, 165-მა კი თავი შეიკავა. არადა, შტეფანს მინიმუმ ხმათა ორი მესამედი სჭირდებოდა. როცა სტადიონზე კენჭისყრის შედეგები გამოაცხადეს, ეფენბერგი იქ უკვე აღარ იყო – მას შედეგი შედარებით ადრე შეატყობინეს და ეფემ „ბორუსია პარკი“ ე.წ. უკანა გასასვლელიდან დატოვა – რბილად რომ ვთქვათ, გაიქცა!

„კენჭისყრის დროს ხალხის რეაქციას ვაკვირდებოდი და მივხვდი, რომ უმრავლესობა ცვლილებების წინააღმდეგი იყო. ეს ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია. ცეცხლზე ნავთის დასხმა ნამდვილად არ მინდოდა, უბრალოდ, მე ვფიქრობ, რომ კლუბში ყველაფერი შესაცვლელია და იმედი მქონდა, რომ წევრები მხარს დამიჭერდნენ. თუკი ფიქრობენ, რომ რევოლუცია საჭირო არ არის, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. „გლადბახი“ ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და ამ გუნდს წარმატებებს ვუსურვებ. რაც შეეხება იმას, თუ რატომ დავტოვე „ბორუსია პარკი“ ნაადრევად – როცა ვხვდები, რომ გარკვეულ ადგილზე ყოფნას აზრი არ აქვს, არც ვრჩები ხოლმე,“ - უთხრა ეფემ „ბილდს“.

რამდენჯერაც სტადიონზე შტეფანის გვარი გამოაცხადეს, იმდენჯერ გამაყრუებელი სტვენა გაისმა, მოქმედ პრეზიდენტ კიონიგსს კი უმრავლესობა ტაშს უკრავდა. რაკი „გლადბახი“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას გადაურჩა, როგორც ჩანს, კლუბის წევრები ამით კმაყოფილები არიან და ძირეულ ცვლილებებზე უარი ამიტომაც თქვეს. 63 წლის **ჰორსტ კიოპელი**, რომელიც ეფეს გამარჯვების შემთხვევაში კლუბის პრეზიდენტი უნდა გამხდარიყო, ამბობს, „ბოხუმთან“ მოგებული ორრაუნდიანი დუელის შემდეგ მოქმედ ხელმძღვანელებს უკვე ძალიან კარგი არგუმენტები ჰქონდათ და ვხვდებოდი, რომ ვერ გავიმარჯვებდითო. ეს კომენტარი ისე ჟღერს, თითქოს ეფენბერგსა და კომპანიას უნდოდა, რომ „ბორუსია“ პირველი ბუნდესლიგიდან გავარდნილიყო, რაც ეფეს მართლა არ ეკადრება...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



შტეფან ეფენბერგი კენჭისყრის დროს

უცხოური ფეხბურთი

ლა ლიგა. სტატისტიკური მიმოხილვა. II ნაწილი

პრიმეერული ამბები II

მესიშოუ სტატისტიკურ პრიზმაში

ვასრულებთ ესპანეთის ჩემპიონატის ზოგად სტატისტიკურ მიმოხილვას, რომელიც წინა ნომერში დავიწყეთ. ამის შემდეგ სტატისტიკას კიდევ ერთხელ მივუბრდებით., ოღონდ ცალკეული კლუბების გამოსვლას შევაფასებთ.

მაშ ასე, ფეხბურთის მშვენება გოლია - რიგით მე-80 პრიმერაში სულ 1042 გოლი გავიდა, რომელთაგან მხოლოდ 91-ია პენალტის ნიშნულიდან. 1042 გოლიდან 635 ფორვარდებმა გაიტანეს (62%), 296 - ნახევარმცველებმა (29%) და 107 მცველებმა (11%). ამ სეზონში 23 ავტოგოლი დაგროვდა. 91 პენალტიდან 50 ფორვარდებმა (55%) გაიტანეს, 34 - ნახევარმცველებმა (37%) და 7 მცველებმა (8%).

პრიმერას 2010/11 წლების სეზონის 27 მატჩი უგოლოდ დასრულდა, 69-ში 1 გოლი გავიდა, 80-ში - 2, 94-ში - 3, 56-ში - 4, 35-ში - 5, 8-ში - 6, 6-ში - 7, 3-ში - 8 და 2 მატჩში 9-9 გოლი ვიხილეთ.

გოლები (გუნდური)

გუნდი	გ	პ	ს	თ	სხ	მეგ
რეალი	101	11	6	7	77	12
ბარსელონა	94	5	1	7	81	15
ვალენსია	63	2	2	11	48	15
სევილია	62	10	1	14	37	13
ატლეტიკო	60	2	1	9	48	15
ბილბაო	57	7	5	17	28	13
ვილიარეალი	54	4	2	8	40	12
მალაგა	54	3	2	13	36	14
ხეტაფე	46	4	-	2	40	14
სოსიედადი	45	4	-	12	29	13
ოსასუნა	45	5	1	10	29	17
ესპანიოლი	44	6	1	4	33	10
მალიორკა	41	4	2	13	22	10
ლევანტე	41	2	2	9	28	11
სარაგოსა	39	6	3	5	25	13
რასინგი	38	1	3	8	26	14
ერკულესი	36	3	1	7	25	11
ალმერია	36	-	-	10	26	13
სპორტინგი	33	7	-	6	20	11
დეპორტივო	30	5	-	6	19	12
საკ. კარში	23	-	-	-	23	
სულ	1042	91	33	178	740	

შენიშვნა: გ - გოლი, პ - პენალტი, ს - საჯარიმო, თ - თავური, სხ - სხვა, მეგ - მეგოლეთა რიცხვი

გოლები (ფეხბურთელები)

ფეხბ	გუნდი	ს	პნ	ს	თ	პ
რონალდო	რეალი	40	8	5	4	11
მესი	ბარსელონა	31	4	1	1	18
აგუერო	ატლეტიკო	20	1	-	1	2
ნეგრედო	სევილია	20	4	-	3	5
ვილია	ბარსელონა	18	-	-	1	5
რუნი	ვილიარეალი	18	4	1	1	5
ფ. ლორენტე	ბილბაო	18	-	-	9	2
სოლდადო	ვალენსია	18	1	-	2	3
ბენზემა	რეალი	15	-	-	-	5
რონდონი	მალაგა	14	-	-	6	2
პედრო	ბარსელონა	13	-	-	-	7
ოსვალდო	ესპანიოლი	13	2	-	2	4
კაისედო	ლევანტე	13	1	-	1	2
ტრეზეგე	ერკულესი	12	2	-	1	-
კანუტე	სევილია	12	3	-	3	2
ვეგო	მალიორკა	11	-	-	6	6
ნილმარი	ვილიარეალი	11	-	-	1	3
ალურაინი	ვალენსია	10	-	-	5	2
გაგი	სარაგოსა	10	6	2	-	6
ლ. ფაგიანო	სევილია	10	3	-	1	1

შენიშვნა: ს - სულ, პნ - პენალტი, ს - საჯარიმო, თ - თავური, პ - პასი

საგოლე პასები

ფეხბ	გუნდი	პასი	გოლი
მესი	ბარსელონა	18	31
იოზილი	რეალი	17	6
დ. ალვეში	ბარსელონა	15	2
ჩ. პრიერო	სოსიედადი	13	7
მატა	ვალენსია	12	8
დი მარია	რეალი	11	6
რონალდო	რეალი	11	40
ალონსო	ვილიარეალი	9	5
ვალდო	ლევანტე	8	2
ბ. ვალერო	ვილიარეალი	8	3
ჩავი	ბარსელონა	7	3
ვერდიუ	ესპანიოლი	7	5
ლ. გარსია	ესპანიოლი	7	6
გავილანი	ხეტაფე	7	2
კალეხონი	ესპანიოლი	7	6
პედრო	ბარსელონა	7	13
რიეზი	ატლეტიკო	7	6
ელიზეუ	მალაგა	7	4
ხოსანინი	ვალენსია	7	4
ირაოლა	ბილბაო	7	4

ლა ლიგის ყველაზე გამტანი გუნდი „რეალია". აღსანიშნავია, რომ „სამეფო კლუბმა" ბოლო ტურებში გაასწრო „ბარსელონას", როცა უკვე გაირკვა ჩემპიონის ვინაობა. „რეალს" თამაშში საშუალოდ 2,68 გოლი გაჭქონდა, „ბარსას" - 2,50. სხვა გუნდები ახლოსაც კი არ არიან: მესამეადგილოსან „ვალენსიას" საშუალო მაჩვენებელი 1,68 აქვს, ანუ ზუსტად ერთი გოლით ნაკლები თამაშში, ვიდრე „რეალს"! საშუალოდ გოლზე ნაკლები გაჰქონდა 4 კლუბს, აქედან სამი დაემშვიდობა კიდეც პრიმერადივიზიონს. ყველაზე მეტად გოლის გატანა „დეპორტივოს" უჭირდა - 0,82, შემდეგ მოდის „სპორტინგი" - 0,92. ერთნაირი მაჩვენებელი (0,95) აქვთ „ალმერიასა" და „ერკულესს".

დაცვაში ყველაზე მაგრად თამაშობდა... „ბარსელონა"! - საშუალოდ 0,55 გოლი „ბარსას" კარში. გოლზე ნაკლებს კიდევ მხოლოდ ერთი გუნდი უშვებდა - „რეალი" - 0,87. მესამეადგილოსანი კი „სპორტინგია" 1,11. მოკლედ, ხიხონელებს ძალზე სუსტი თავდასხმა, მაგრამ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის ხაზი ჰყოლიათ, ამიტომაც შეინარჩუნეს ადგილი ელიტაში. კარის დაცვა ყველაზე მეტად „ალმერიას" უჭირდა, ანდალუსიური კლუბი საშუალოდ 1,84 გოლს უშვებდა თამაშში. რომ დავუკვირდეთ, ეს არც ისე ცუდი შედეგი იქნებოდა სხვა ლიგებისთვის, ოღონდ არა ესპანეთისთვის. საშუალოდ 1,79 გოლს უშვებდა თამაშში „მალაგა", 1,74-ს - „რეალ სოსიედადი". გავარდნილ „დეპორს" ლიგაში არცთუ ურიგო დაცვის ხაზი ჰყოლია (მე-7).

„ბარსელონას" საშუალოდ 32 წუთი სჭირდებოდა ანგარიშის გასახსნელად და საშუალოდ 69 წუთს ინახავდა კარს მშრალად. მაშინ, როცა „ალმერიას" საშუალოდ 56 წუთი სჭირდებოდა გოლის გასატანად, 33 წუთში კი უშვებდა.

ლიონელ მესიმ სეზონში 31 გოლი და 18 საგოლე პასი მიითვალა

ყველაზე მეტ მეტ ხანს წინ „ბარსელონა" იყო - სეზონის განმავლობაში კატალონიური გრანდი 1828 წუთის განმავლობაში იგებდა და მხოლოდ 160 წუთის განმავლობაში იყო მდევრის როლში! შთამბეჭდავია „რეალის" მონაცემებიც - „სამეფო კლუბი" 1696 წუთი იგებდა და მხოლოდ 294 წუთი იყო მდევრის როლში. საბრალო „ერკულესი" ამ მაჩვენებლებში ორივე მხრივ უარესი იყო ლა ლიგაში - 563 წუთის განმავლობაში იგებდა და 1392 წუთი აგებდა.

ყველაზე მეტი გოლი გავიდა მე-12 ტურში - 38. ასევე უხვგოლიანი იყო ბოლო (36 გოლი) და 35-ე ტურები (36). ყველაზე ცოტა გოლი გავიდა 24-ე ტურში - სულ 17. „ბარსელონამ" 19-ჯერ შეინახა კარი მშრალად, „რეალმა" - 16-ჯერ, 14-14-ჯერ კი „სპორტინგმა" და „ოსასუნამ". „ალმერიამ" სულ 3-ჯერ შეინახა კარი მშრალად. „ბარსელონა" 38 ტურიდან 32-ში დანინაურდა, 5-ში კი პირველმა გაუშვა გოლი (1 მატჩი 0:0 დასრულდა). 32 მატჩიდან, რომელშიც ჩემპიონი გავიდა წინ, მან 27 მოიგო, 4 ფრედ დაასრულა და 1 წააგო. ყველაზე მეტად უპირატესობის შენარჩუნება „ალმერიას" უჭირდა - 12-ჯერ დაწინაურდა და მხოლოდ 5-ჯერ მოიგო აქედან. ამ მხრივ „რეალს" აქვს ფანტასტიკური მაჩვენებელი - თუკი **ჟოზე მოურინიოს** გუნდი პირველი გაიტანდა გოლს (ეს კი 27-ჯერ მოხდა ჩემპიონატში), ის აუცილებლად იგებდა.

ყველაზე მეტი პენალტი (8) დაინიშნა მე-8 ტურში, 29-ე ტურში კი მსაჯებს საერთოდ არ დაუნიშნავთ პენალტი. თერთმეტმეტრიანი ყველაზე ხშირად „რეალმა" და „სევილიამ" დაარტყეს - 12-12. „სამეფო კლუბმა" 11 გამოიყენა, ანდალუსიურმა კი - ერთით ნაკლები. 11-ჯერ დაარტყა პენალტი „ბილბაომ", მაგრამ 4-ჯერ ვერ გაიტანა, თუმცა ყველაზე უშნოდ თერთმეტმეტრიანებს სანტანდერის „რასინგის" ფეხბურთელები ურტყამდნენ - მათ „მოახერხეს" და 6-დან 5 პენალტი ააცილეს! სულ ერთხელ დაარტყმევინეს პენალტი საბრალო „ალმერიას" და ისიც ვერ გაიტანა ანდალუსიურმა კლუბმა. სხვათა შორის, „ბარსელონას" სასარგებლოდ სულ რაღაც 5 პენალტი დაინიშნა (ხუთივე გამოიყენეს). ყველაზე ხშირად პენალტი „მალაგას" კარში ინიშნებოდა (11), შემდეგ მოდიან „რასინგი" (10) და „ხეტაფე" (10). ყველაზე მეტი პენალტი დანიშნა **მიგელ ანხელ გამესმა** (11), 10-ჯერ მიუთითა ნიშნულზე **კარლოს კლოს გომესმა**.

„ფეარ პლეის" პრინციპს ყველაზე უკეთ „ბარსელონა" იცავდა. მოკლედ, ესპანეთს სამაგალითო ჩემპიონი ჰყავს - კატალონიელებმა სეზონში სულ 2 წითელი ბარათი და 71 ყვითელი მიიღეს. მაშინ, როცა „სარაგოსას" ფეხბურთელებმა 9 წითელი და 121 ყვითელი ბარათი მიიღეს. ჰოლანდიელებს (7) და კოლუმბიელებს (5). ლა ლიგაში სულ 45 სახელმწიფოს წარმომადგენლები თამაშობენ და სამწუხაროა, რომ მათ შორის ქართველი არაა.

გასულ სეზონში 380 მატჩში (ანუ 760 განლაგებაში) ყველაზე ხშირად გვხდებოდა 4-2-3-1 ტაქტიკური სქემა - 415-ჯერ. 101-ჯერ შეგვხვდა კლასიკური 4-4-2; 66-ჯერ კი 4-3-1-2. გუნდებმა სულ 58-ჯერ ითამაშეს 4-3-3 განლაგებით, აქედან 32-ჯერ „ბარსამ" მიმართა ამ ტაქტიკას. „რეალის" საყვარელი განლაგება 4-2-3-1 იყო (32 შემთხვევა). კლასიკურ განლაგებას უპირატესობას უფრო „ვილიარეალი", „ატლეტიკო" (21-21) და „სევილია" ანიჭებდნენ (13). გუნდებმა სულ 18 ტაქტიკური სქემა მოსინჯეს.

ყველაზე მეტი მაყურებელი „ბარსელონას" საშინაო თამაშებს ესწრებოდა - 78 540 საშუალოდ. შემდეგ მოდის „რეალი" - 68 123. მესამე ადგილზეა „ატლეტიკო" - 41 842. გულშემატკივართა ნაკლებობას განიცდიდნენ „ხეტაფე" - 10 684, „ალმერია" - 11 109 და „ლევანტე" - 13 401. 90-ათასიან ზღვარს დასწრება ორჯერ გადასცდა და ორჯერვე „კამპ ნოუზე" (სხვა სტადიონი ამდენს არც იტევს) - „რეალთან" და „ვილიარეალთან" მატჩებში, თითქმის 90 ათასი ადამიანი მივიდა ბარსელონური დერბის სანახავადაც. „კამპ ნოუს" გარდა ყველაზე კარგი დასწრება იყო მადრიდულ „კლასიკოზე" - „სანტიაგო ბერნაბეუზე" 80 354 ადამიანი მივიდა (რამდენსაც იტევს ოფიციალურად ეს სტადიონი).

სეზონში ყველაზე მეტი ფეხბურთელი „მალაგამ" გამოიყენა - 34. შემდეგ მოდის „რეალი" და „სევილია" (32-32). ყველაზე ცოტა ფეხბურთელი დასჭირდა „რეალ სოსიედადსა" და „ხეტაფეს" - 23. 19 ლეგიონერი გამოიყენა „სევილიამ", 17 „მალაგამ" და 16 „რეალმა". ჩემპიონი სულ 10 ლეგიონერით დაკმაყოფილდა. ლეგიონერი ტრადიციულად არც ახლა ჰყოლია ბილბაოს „ატლეტიკს". ყველაზე ახალგაზრდული გუნდი პრიმერადივიზიონში „ესპანიოლს" ჰყავდა, ბარსელონელთა საშუალო ასაკი 23,6 წელია. მერე მოდის „რეალი" - 23,9. ვეტერანებით „ოსასუნა" იყო დაკომპლექტებული - 28,1 წელი. ესპანეთის ჩემპიონატის საშუალო ასაკი კი 25,5 წელია.

ლა ლიგის ტოპ-10 კასტროლის მიხედვით

1. მესი	ბარსელონა	1186 ძ.
2. ბენზემა	რეალი	988
3. რონალდო	რეალი	952
4. იგუაინი	რეალი	856
5. აგუერო	ატლეტიკო	830
6. ვილია	ბარსელონა	830
7. პუიოლი	ბარსელონა	823
8. პიკე	ბარსელონა	821
9. დ. ალვეში	ბარსელონა	821
10. სოლდადო	ვალენსია	813

ფურია რობა

მანუ დელ მორალი

მანუმ ოცნება ორჯერ აისრულა

ესპანეთის ნაკრებმა დაიწყო 4 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის შეკრება. **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდს ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი „ბარსელონას" ფეხბურთელები ორი დღის დაგვიანებით შეუერთდებიან, სხვები კი უკვე ბაზაზე იმყოფებიან. ყველაზე დიდი მოულოდნელობა შემადგენლობაში „ხეტაფეს" ან უკვე ყოფილი კაპიტნის, **მანუ დელ მორალის** გამოჩენა იყო. 27 წლის ანდალუსიელი, რომელიც ახალ სეზონს „სევილიაში" დაიწყებს, ეროვნულ გუნდში პირველად გამოიძახეს, თუმცა ის ხშირად ხვდებოდა სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში.

დელ ბოსკემ „ბარსას" თხოვნა გაითვალისწინა და დამღლელი სეზონის შემდეგ ასვენებს **ჩავის**. **სესკ ფაბრეგასი** კვლავ ტრავმირებულია. მოულოდნელი იყო ისიც, რომ „ვალენსიას" ფორვარდი **რობერტო სოლდადო**, რომელიც დიდებულ ფორმაში იყო, დელ ბოსკემ არ გამოიძახა.

მეკარეები: *ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა), პეპე რეინა (ლივერპული), იკერ კასილიასი (რეალი).*

მცველები: *ანდონი ირაოლა (ბილბაო), ჟერარდ პიკე (ბარსელონა), ალვარო არბელოა, რაულ ალბიოლი, სერხიო რამოსი (სამივე - რეალი), ხოან კაპდევილა (ვილიარეალი).*

ნახევარმცველები: *სერხიო ბუსკეტსი, ანდრეს ინიესტა (ორივე - ბარსელონა), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), ჩაბი ალონსო (რეალი), ბორხა ვალერო, სანტი კასორლა (ორივე - ვილიარეალი).*

თავდამსხმელები: *ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), დავიდ ვილია, პედრო (ორივე - ბარსელონა), ფერნანდო ტორესი (ჩელსი), მანუ დელ მორალი (ხეტაფე/სევილია), ალვარო ნეგრედო (სევილია).*

„ჩემთვის ეს დიდი დღეა. ოცნების ასრულების შანსი მომეცა - ეროვნულ გუნდში გამომიძახეს. ამ კვირაში ორმა რამემ გამახარა ძალიან: ძალიან კარგ გუნდში გადავედი და ნაკრებში დამიძახეს. ახლა ეს დაფასება ორივეს, „სევილიასაც" და ნაკრებსაც შრომითა და თავდადებით უნდა გადავუხადო", - დანერა „სევილიას" ვებსაიტზე მანუ დელ მორალმა.

სამწვრთნელო საქმე

ადიოს, მიჩელ!

გუშინოფიციალურად დადასტურდა, რომ „ხეტაფე" გუნდის მთავარ მწვრთნელ **მიჩელს** დაემშვიდობა. მადრიდის „რეალის" ლეგენდას, რომელიც ახლა 48 წლისაა, კონტრაქტი უსრულდება, მას კლუბში უთხრეს, რომ მის გახანგრძლივებას არ აპირებენ და წარმატებას უსურვებენ პირად ცხოვრებაში. მიჩელი „ხეტაფეში" 2009 წლის აპრილში მივიდა, როგორც დროებითი თავკაცი. მაშინ მან გუნდი სეგუნდაში გავარდნისაგან იხსნა. იმავე ზაფხულს მადრიდულმა კლუბმა მიჩელს 2-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა, „ხეტაფე" კი მე-6 ადგილზე გავიდა. წლეულს მიჩელმა შარშანდელი მიღწევა ვერ გაიმეორა, თუმცა კლუბი გავარდნისგან იხსნა.

ამბობენ, მიჩელის შემცვლელად „ხეტაფეს" ექსსევილიელი **გრეგორიო მანსანო** სურსო. კანდიდატებად მოიაზრებიან **ლუის ენრიკე** (თუმცა ის ალბათ უფრო „რომაში" წავა) და „ელვანტეს" მთავარი მწვრთნელი **ლუის გარსიაც**.

სამწვრთნელო თემას გავაგრძელებთ და ვიტყვით, რომ პრიმერადივიზიონიდან გავარდნილი „დეპორტივოს" ახალი თავკაცი **ხოსე ლუის ოლტრა** გახდა, რომელიც გასულ სეზონში „ალმერიას" ედგა სათავეში.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● მანჩესტერ იუნაიტედი

ბერბა ბოვებს

დიმიტარ ბერბატოვი

ბულგარელი თავდამსხმელის, 30 წლის **დიმიტარ ბერბატოვისა** და „მანჩესტერ იუნაიტედის" გზები გაიყარა. ფორვარდს, რომელსაც სერ **ალექს ფერგიუსონი**, გაზაფხულზე, ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშებდა, მან კი ასეთი პირობებშიც მოახერხა პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი გამხდარიყო, მოთმინების ფიალა ჩემპიონთა ლიგის ფინალის დღეს აევსო — ფერგიუსონმა ბერბატოვი სათადარიგოთა სკამზეც კი არ დასვა და მერე თავი იმით იმართლა, აქცენტს უფრო ნახევარმცველებზე ვაკეთებდიო. მაგრამ განა ფერგიუსონს სკამზე სათადარიგო თავდამსხმელი საერთოდ არ ჰყავდა? როგორ არა, ჰყავდა და ის 31 წლის **მაიკლ ოუენი** გახლდათ. ფერგიმ თქვა, შეცვლაზე, უცაბედი ეფექტის მოხდენაში ოუენი უფრო ძლიერიაო...

ზემოთ პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირობა ვახსენეთ. ბულგარელი ბომბარდირთა სიაში დიდხანს შთამბეჭდავად ლიდერობდა, მაგრამ „იუნაიტედის" თავკაცმა იმდენ ხანს აღარ გააკარა მოედანს, რომ ბოლოსწინა ტურში „მანჩესტერ სიტის" არგენტინელი თავდამსხმელი, 27 წლის **კარლოს ტევესი** დაეწია. საბოლოოდ, პრემიერლიგის სეზონს, ნაცვლად აშკარად გამოკვეთილი ერთი ბომბარდირისა, ორი გამოუჩნდა და ამის მერე რა გასაკვირია, რომ ბერბატოვმა, „უემბლიზე", „ბარსელონასთან" უსუსურად დამარცხების შემდეგ გუნდთან ერთად მოედანზე გასვლა და თანაგუნდელებთან ტრიალი აღარ ისურვა.

ინგლისურ გაზეთებში „იუნაიტედის" მწვრთნელის სასარგებლოდ დაინერა, რომ ბერბატოვს ჩემპიონთა ლიგაში თამაში არ ეხერხებოდა. თურმე, ამ შეჯიბრებაში მას გოლი 2008 წლის ოქტომბრის მერე ვეღარ გაჰქონდა. თუმცა, ზემოთ მოგახსენეთ, რომ პრემიერლიგაში სულ სხვა სურათის მოწმენი ვიყავით და ერთი შეხედვით გაუგებარია, რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ბოლო 20 შეხვედრაში ფერგიუსონმა ბერბატოვი მხოლოდ ხუთჯერ დაასახელა „იუნაიტედის" სასტარტო შემადგენლობაში. სავარაუდოდ, ეს **უეინ რუნისა** და **ჩიჩარიტოს** წყვილის ეშხით მოხდა, თუმცა ფინალში, სათადარიგოთა სკამზე ოუენის დასმა ბევრ ეჭვს აღძრავს.

ამგვარად, ბერბატოვი ახალი კლუბის ძიებაშია. მისმა თანაგუნდელმა **ნანიმ** კი სცადა მისთვისაც დაეყვავებინა და მწვრთნელიც გაემართლებინა: *„დიმიტარისთვის ძალიან ძნელი მომენტი დგას, მაგრამ ეს მომენტი მწვრთნელისთვისაც მეტისმეტად რთულია. მას სხვა გზა არ ჰქონდა, გადაწყვეტილება უნდა მიეღო".*

როგორც მოგახსენეთ, ბერბატოვი „უემბლიზე" დამარცხების შემდეგ თანაგუნდელებთან არ ჩასულა. სად იყო? ზოგი გაზეთი წერს, რომ ბულგარელმა ბიჭები პირდაპირ ავტობუსში ნახა და იქ გაამხნევა, აქა-იქ კი ხმა დაირხა, რომ მას თამაშიც კი არ უნახავს, როგორც კი შეიტყო, რომ სათადარიგოთა სკამზეც ვერ მოხვდა, გაბრაზებულმა სტადიონი დატოვა. ფერგიუსონმა მეორე ვერსია უარყო. მწვრთნელი ამტკიცებს, რომ ბერბა მატჩის შემდეგ გასახდელში იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, რომ დიმიტარ ბერბატოვი „მანჩესტერ იუნაიტედში" „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" 2009 წელს გადავიდა. მასში „იუნაიტედმა" 30 მილიონი ფუნტი გადაიხადა. „სფურზამდე" თავდამსხმელი გერმანიაში, კერძოდ, „ლევერკუზენში" გამოდიოდა. „ლევერკუზენის" შემადგენლობაში მან ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა მადრიდის „რეალის" წინააღმდეგ — ის შეხვედრა **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდმა 2:1 ნაადგო. ხოლო კარიერა ბერბატოვმა სოფიის ცსკა-ში დაიწყო.

დიმიტარ ბერბატოვის ნაკრებში 77 შეხვედრაში 48 გოლი აქვს გატანილი.

ალექს ფერგიუსონი

იქნებ წასულიყავი, ფერგი

ალექს ფერგიუსონმა სივრცეში გაიხედა და თქვა, რომ მისი „მანჩესტერ იუნაიტედი" „ბარსელონამ" ძლიერი ჰიპნოზის ქვეშ მოაქცია — ალბათ, იმის თქმა უნდოდა, რომ დათრგუნა და დაჩაგრა. იცით, რა დაწერეს ინგლისელმა ჟურნალისტებმა? სანამ **ლეო მესის** „ბარსელონას" მაისურა აცვია, „მანჩესტერ იუნაიტედს", დიდი-დიდი, მეჯვარეობა ერგოს, სიძე ვერასდროს გახდებაო.

მესი 23 წლისაა, გასულ სეზონში 54 თამაში ჩაატარა, 53 გოლი გაიტანა და დაღლა არ დასტყობია. თუ აკვირდებით, ის თითქმის არასდროს შავდება... ისე ჩანს, რომ კიდევ ათი წელიწადი გადაბმით იქროლებს წინ და უკან. თან, არგენტინელს ნახევარდაცვიდან **ჩავი** და **ინიესტა** უმაგრებენ ზურგს — ფეხბურთიდან წასვლა არც ამ მოთამაშეებს ეჩქარებათ, კიდევ რამდენიმე წელიწადს ისინიც გააგორებენ ბურთს. ჰოდა, იქნებ, ჯობდეს ფერგიუსონმა კარიერა სწორედ აქ დაასრულოს?

სერ ალექსს დიდებული სამწვრთნელო კარიერა ჰქონდა. ბოლო შეხვედრა ძლიერთა შორის უძლიერეს გუნდთან წაადგო, რაც ნამდვილად არ არის სირცხვილი. მესი ფეხბურთის თამაშს თავს რომ დაანებებს, ფერგი 80 წელს გადაცილებული იქნება, მანამდე კი, თუ გაძალიანდა და მწვრთნელად დარჩა, იმედგაცრუებების მთელი კასკადი ელის. გაიხსენეთ, როგორ უკანკალებდა ხელი, როდესაც ფინალის მიწურულს ეკრანზე მსხვილი პლანით გამოაჩინეს.

მოკლედ, იქნებ, დრო... ბოლოს და ბოლოს, მან ხომ უდიდესი ოცნებაც აისრულა და ახლა, უკვე, „მანჩესტერ იუნაიტედი" „ლივერპულზე" მეტჯერ იყო ინგლისის ჩემპიონი. რაღა გინდა?

ეს მოსაზრება ინგლისელმა ჟურნალისტებმა თავად ფერგის გაუზიარეს. უთხრეს, რომ ამიერიდან ევროპაში „ბარსა" იბატონებს და ის მესისა და კომპანიას ტახტიდან ვეღარასოდეს ჩამოაგდებს, რაზეც 69 წლის სპეციალისტმა ასე უპასუხა:

„ადამიანს გამოწვევის არასდროს უნდა გეშინოდეს. მეორე ადგილზე ყოფნა დამაკმაყოფილებელი არ არის. მე ვერ გავიხარებ, თუკი საუკეთესოთა შორის მეორეს დამიძახებენ. შემდეგ სეზონში ამჟამინდელზე გაცილებით ძლიერად უნდა ვითამაშოთ".

ამრიგად, ფერგი „ოლდ ტრეფორდზე" 26-ე წელიწადსაც დარჩება. შეადარეთ ეს „ბარსას" თავიკაცის, **პეპ გვარდიოლას** მდგომარეობას, რომელიც გაისად ამ დროს, ოთხწლიანი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ „კამპ ნოუდან" მიდის — ფეხბურთელებს ერთი და იმავე ადამიანის ერთი და იმავე შენიშვნების მოსმენა მოჰბეზრდათო.

როგორც ჩანს, ძალიან ძნელია შესძახო: *„აბა, ბიჭებო, თქვენ იცით. გადით მოედანზე და ერთხელაც მოიგეთ ჩემპიონთა ლიგა!"*

შაბათს, „უემბლიზე", 10 წუთის განმავლობაში, „მანჩესტერ იუნაიტედმა" ზუსტად ის გააკეთა, რაც „არსენალის" 19 წლის ნახევარმცველმა **ჯეკ უილშირმა** ურჩია: გადით და „ბარსელონა" იქით მიაჭყლიტეთ თავიანთ საჯარიმოს, თავის დაცვაზე და მათ უპირატესობებზე არც კი იფიქროთო. დაახლოებით ასევე დაიწყო 2009 წლის ფინალიც, რომელშიც ასევე „ბარსამ" გაიმარჯვა. დიახ, „იუნაიტემა" ესპანეთის ჩემპიონს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა, ბურთის მოხელთება არ აცალა, აიძულა შეცდომები დაეშვა, მაგრამ თანდათანობით „ბარსელონამ" ვითარება შეცვალა, დამშვიდდა, თამაში მისთვის სასურველ კალაპოტში გადაიყვანა და „იუნაიტედის" ნაწილებად დაშლაც დაიწყო.

ნახევარდაცვის შუაში **რაიან გიგზი** და **მაიკლ ქერიკი** გაცამტვერდნენ. თან, 37 წლის გიგზს გასული კვირა პირად ცხოვრებაშიც კოშმარული ჰქონდა — გამოაშკარავდა, რომ ცნობილი ფეხბურთელი, რომლის შესახებაც მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ ცოლს უღალატა, მაგრამ არ ასახელებდნენ. თუმცა, ვერ გეტყვით, ეს იყო თუ არა მიზეზი, რომ გიგზი ბარსელონელებს მაგრად ვერ დაუდგა. ასეა თუ ისე, კატალონიელებმა გამოაჩინეს, რომ „იუნაიტედს" ძრავაში აქვს პრობლემა და... სავარაუდოდ, სერ ალექსი ამ ნაკლის გამოსასწორებლად „ტოტენჰემისგან" **ლუკა მოდრიჩს** იყიდის. ჩავი მანჩესტერის ნახევარმცველთა შორის წინააღმდეგობის გარეშე დარბოდა და სწორედ მისი პასით გახსნა 27-ე წუთზე **პედრომ** ანგარიში.

ამის ფონზე გასაკვირი იყო, შვიდ წუთში „იუნაიტედმა" ანგარიში რომ გაქვითა, თუმცა გოლი მართლაც დიდებული გამოვიდა. საინტერესო ფაქტი: თამაშის შემდეგ ევროპულ პრესაში ატყდა კამათი, „მანჩესტერ იუნაიტედის" რომელი ფეხბურთელი ჩაჯდებოდა „ბარსელონას" ძირითად შემადგენლობაში. უნდა ითქვას, რომ ბევრი ვარიანტი დაინერა, თუმცა ყველა ვარიანტი მხოლოდ ერთ კაცზე გადაიკვეთა: საყოველთაო აზრით, ერთადერთი მოთამაშე, ვინც დღეს ბარსელონელობას შეძლებდა, **უეინ რუნია**. თუმცა უნდა ითქვას, რომ იმ დღეს, რუნი გაჭირვებული თანაგუნდელების დასახმარებლად ნიადაგ უკან ჩამორბოდა, მაშინ, როდესაც „იუნაიტედს" ის მეტოქის კარის სიახლოვეს უფრო სჭირდებოდა.

თამაშის დეტალებზე ნუღარ შევჩერდებით. ჯობს, 40 წლის ჰოლანდიელი მეკარის **ედვინ ვან დერ სარის** კომენტარს გავეცნოთ:

„ჩვენ რომის ფინალი გავიმეორეთ. „ბარსელონას" გონს მოსაგებად და თამაშში ჩართვისთვის 20 წუთი დასჭირდა. ანგარიში რომ გავათანაბრეთ, იმედი მოგეცა, ვიფიქრე, რომ კვლავ გაგვიჩნდა შანსი, მაგრამ მეორე ტაიმი საშინლად დავიწყეთ. რას იზამ, ფეხბურთში ასეა, ხან იგებ, ხანაც მარცხდები.

„ბარსელონა" დიდებული გუნდია და რამდენიმე შესანიშნავი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ დაუმარცხებელი არ არის. თუ გნებავთ, გაიხსენეთ, როგორ წააგო ამ სეზონში რამდენჯერმე. სამწუხაროდ, ამჯერად ასე არ მოხდა".

ვან დერ საარს კარიერაში ორჯერ მოუგია ჩემპიონთა თასი. პირველად ეს 1995 წელს, „აიაქსის" შემადგენლობაში მოხდა, მეორედ კი 2008 წელს, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედმა" მოსკოვში „ჩელსი" დაამარცხა.

„დიახ, ჩემი კარიერის მწვერვალი 2008 წლის გამარჯვება იყო. მაშინ, პენალტების სერიაში ნიკოლა ანლკას დარტყმა მოვიგერიე და თასიც მოვიპოვეთ. მზად ვიყავი იგივე „ბარსელონასთანაც" გამემეორებინა, მაგრამ პენალტებამდე საქმე არ მივიდა.

ახლა ფეხბურთელის კარიერას ვასრულებ. ინგლისში სამწვრთნელო კურსებზე კი ვიარე, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ საქმეს ბოლომდე მივყვები და დიპლომებსაც გამოვიტან. იქნებ, ცოტა ხნის შემდეგ ჰოლანდიაში ვიარო სხვა კურსებზე. ვფიქრობ, ერთი წელიწადი ფეხბურთიდან საერთოდ უნდა გადავერთო. მინდა შაბათობით გემრიელად ვივახშმო და გოლფი ვითამაშო. ჩემმა მეგობრებმა ფეხბურთს თავი ხუთი-ექვსი წლის წინ დაანებეს. ასე რომ, მე ზედმეტი მომივიდა და ახლა უნდა ავინაზღაურო".

● ამბები ერროვნული ბიბლიოთეკა

დარენ ფერგიუსონი

გაიღიმეთ, ფერგიუსონებო!

ორი დღის განმავლობაში ფერგიუსონების ოჯახმა დიდი იმედგაცრუებაც გადაიტანა და სიხარულიც. ოჯახის უფროსმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** შაბათს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ნააგო, მისმა ვაჟმა **დარენ ფერგიუსონმა** კი „პიტერბორო" ჩემპიონშიპში დააბრუნა. თან, სად ჩატარდა დარენ ფერგიუსონისა და „პიტერბოროსთვის" ასე მნიშვნელოვანი და სასიხარულო მატჩი, არ იკითხავთ? - „ოლდ ტრეფორდზე"!

„პიტერბორომ" 48 ათასზე მეტი მაყურებლის თანდასწრებით 3:0 მოუგო „ჰადერსფილდს". მატჩის შემდეგ, ბედნიერმა „ფერგი უმცროსმა", რომელიც 39 წლისა გახლავთ, თქვა:

„ჩვენმა დღევანდელმა გამარჯვებამ მამაჩემის სახეზე ღიმილი დააბრუნა. პირადად მე კი, როგორც ფეხბურთელსა და როგორც მწვრთნელს, ასეთი ბედნიერი დღე არასდროს მქონია".

უცნაური წელიწადი ჰქონდა უმცროს ფერგიუსონს. „პიტერბოროში" ის მხოლოდ იანვარში გადავიდა. მანამდე „პრესტონ ნორთ ენდში" ჰქონდა ცუდი პერიოდი. საინტერესოა, რომ ფერგიუსონის „პიტერბორომ" რეგულარულ ჩემპიონატში „ჰადერსფილდზე" 8 ქულით ნაკლები მოაგროვა, მაგრამ პლეი ოფის შეხვედრაში, როგორც ხედავთ, მნიშვნელოვნად აჯობა მონინააღმდეგეს.

„მამამ „ბარსელონასთან" რომ წააგო, მთელი ოჯახი ძალიან განვიცდიდით და გვინდოდა მდგომარეობა რამენაირად გამოგვესწორებინა — განაგრძო უმცროსმა ფერგიუსონმა — თამაში დამთავრდა თუ არა, მამას ტელეფონით ველაპარაკე და ვიგრძენი, რომ მას ძალიან გაუხარდა. ის სტადიონზე არ წამოვიდა, რადგან მე ვუთხარი, შენ ჩვენი გუნდისთვის თარსი ხარ-მეთქი — ნახევარფინალში ჩვენი და „დომზის" შეხვედრას დაესწრო და დავმარცხდით. არა, ისე არ გამიგოთ, თითქოს მამას სტადიონზე მოსვლა ავუკრძალეთ, უბრალოდ, თავი დავიზღვიეთ და შინ დარჩა".

ზემოთ ვახსენეთ, რომ უმცროსი ფერგიუსონი იანვრამდე „პრესტონს" ედგა სათავეში. და იცით, „პრესტონს" რა ბედი ეწია? სწორედ იმ ჩემპიონშიპიდან გავარდა, სადაც „პიტერბორო" გადავიდა.

„არა, გულღრძო კაცი არ ვარ და „პრესტონის" გავარდნა არ გამხარებია - განაგრძო დარენ ფერგიუსონმა - თან, ახლა, მხოლოდ ჩვენს გამარჯვებაზე ვფიქრობ. მინდა ეს დღე რაც შეიძლება ცხადად შევინახო მეხსიერებაში".

არშავინი რჩება

30 წლის რუსმა ფეხბურთელმა **ანდრეი არშავინმა** „არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერს** გული გაუკეთა - განაცხადა, რომ „არსენალიდან" არსად მიდის.

„მწვრთნელს ჩემთან თანამშრომლობის გაგრძელება უნდა და მეც საწინააღმდეგო არაფერი მაქვს", — თქვა არშავინმა რუსეთის ეროვნული გუნდის შეკრებაზე სომხეთთან შესარჩევი შეხვედრის წინ.

მოგეხსენებათ, 61 წლის ვენგერი კრიტიკის ქარცეცხლშია. 2005 წლის შემდეგ ფრანგმა ვერა და ვერ მოახერხა „არსენალის" რამე ტიტულთან მიყვანა. ბევრი ფეხბურთელი მისი გუნდიდან გაქცევას ცდილობს - ამბობენ, რომ ვენგერის გამო კარიერაში ჯილდოს გარეშე რჩებიან. ფრანგის გასახარად არშავინმა ასეთი მოთამაშეებს არ მიჰბაძა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მშვილდოსნობა. აზიის თასი

ქართული მშვილდოსნობის აზიური მოგზაურობები

ბანგლადეშის დედაქალაქ დაკაში დასასრულს მიუახლოვდა აზიის თასის რიგით მესამე გათამაშება მშვილდოსნობაში, რომელშიც საქართველოდან ქალთა ნაკრებიც მონაწილეობს. ტურნირი დღეს დასრულდება ფინალური შეხვედრებით, თუმცა მისი მიმდინარეობის შესახებ დეტალურად ვერაფერს გეტყვით, რადგან ინტერნეტში ინფორმაციების მოძიება ლამის შეუძლებელია. სამწუხაროდ, ბანგლადეშის მშვილდოსნობის ფედერაციას საიტი საერთოდ არ გაჩნია, როგორც ცალკეული აზიური ფედერაციების უმეტესობას, ხოლო ვისაც აქვს, ისინიც ძირითად ყურადღებას 6-12 ივნისს ანთალიაში გასამართ მსოფლიოს თასის რიგით მეორე ეტაპს უთმობენ, ამ ტურნირის შესახებ კი არაფერს იუწყებიან. არაფერს წერს არც აზიის მშვილდოსნობის ფედერაცია. ისევ მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა შესარჩევი ეტაპის შედეგები. მათაც მხოლოდ გუშინ დადეს ეს ცნობა - ეტყობა, იქამდე ინფორმაციები არც მათ ჰქონდათ. ინტერნეტში ერთ-ერთი ბანგლადეშურ გაზეთში - DAILY-SUN პატარა წერილსაც გადავაწყდით, რომელიც აზიის თასის დაწყებამდეა გამოქვეყნებული. ეს ჭრელა-ჭრელა (ფერებთან ერთად თემატიკასაც ვგულისხმობთ) 16-გვერდიანი გაზეთი საკმაოდ ვრცლად ეხმიანება მსოფლიოს სპორტის აქტუალურ თემებს, მაგრამ იმ ერთი წერილის შემდეგ სიტყვაც არ უწერიათ მშვილდოსანთა აზიური თასის შესახებ.

თუმცა გარკვეული სურათი ინტერნეტში მოძიებული ამ მწირი ინფორმაციებითაც შეგვექმნა. კერძოდ, გაირკვა, რომ ტურნირი არ გამოდგა ძლიერი - მასში სულ 14 ქვეყანა მონაწილეობდა, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, არ იყვნენ აზიური სკოლის აღიარებული ლიდერები - ჩინეთი და სამხრეთ კორეა. ეტყობა, ისინი საგანგებოდ ემზადებიან ანთალიური შეჯიბრებისთვის. სამაგიეროდ, ტაილანდური გაზეთი DAILY-SUN ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ 14 მონაწილეს შორის მსოფლიოს რეიტინგში მოწინავეთა შორის მყოფი საქართველო, ინდოეთი და ყაზახეთიც არიან. ჩვენ დავამატებთ, რომ მონაწილეთა შორის იყვნენ ტაივანისა და მალაიზიის გუნდებიც, რომლებსაც არ ჰყავთ ცუდი მსროლელები, მათ გარდა კი ერაყის, ბუტანის, ნეპალის, პაკისტანის, სინგაპურის, ჰონგ კონგის, ტაჯიკეთისა და მასპინძელთა ნაკრებებიც გამოდიოდნენ... საქართველოს ნაკრების სათავეში მოსვლის შემდეგ აზიურმა სიომ დაპბერა, თორემ ადრე ჩვენები ამ რანგის გუნდებს არც ეჯიბრებოდნენ. უბრალოდ, არ უწევდათ მათთან პაექრობა, რადგან ჩამოთვლილთა უმრავლესობა საერთოდ თუ ჩამოდიოდა მსოფლიოს თასებზე ან ჩემპიონატებზე, ჩვენებთან კონკურენცია არ უხდებოდათ, რადგან ორივე მხარე დიამეტრულად განსხვავებული მიზნებისთვის ჭიმავდა მშვილდს.

ქალთა ტურნირში 28 მონაწილე გამოდიოდა, ჩვენგან კი საუკეთესო შედეგი **ასმათ დიასამიძემ** აჩვენა - 617 ქულა, რაც მერვე შედეგი აღმოჩნდა. **ქრისტინე ესებუამ** 607 ქულა დააგროვა და მე-13 გავიდა, **ხათუნა ნარიმანიძე** კი 595-ით მე-14 აღმოჩნდა. პლეი ოფების მიმდინარეობის შესახებ დეტალურად ვერაფერს გეტყვით, რადგან არც ჩვენ ვიცით. ნარიმანიძის ოჯახიდან გავიგეთ მხოლოდ ის, რომ სამივე ჩვენებური მეოთხედფინალში გავიდა და იქ დამარცხდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენებს მესამე შედეგი ჰქონიათ, გუშინ კი პლეი ოფები გაიმართებოდა, მაგრამ ახლა ვერც ამის შესახებ გეტყვით ვერაფერს.

მოკლედ, შორეული აზიური გადაფრენა დამთავრდა. ვერ გეტყვით, რა მისცა ამან ნაკრების კორეელ თავკაც **ან-იონ სეუნს**, მაგრამ ახლა ნაკრების წინაშე ბევრად საპასუხისმგებლო შეჯიბრება დგას - ანტალიაში გასამართი მსოფლიოს თასი. ცხადია, ჯერჯერობით ადრეა ლაპარაკი იქ წასაყვან შემადგენლობაზე - ამ საქმეში ყველაფერი კორეელ მწვრთნელზეა დამოკიდებული, თუმცა, სავარაუდოდ, ზემოდასახელებული ქალთა სამეული ნამდვილად გამოვა. ალბათ, კორეელი იქ სხვებსაც წაიყვანს.

ირაკლი თავაძე

● ექსტრემალური სპორტი

სრიალში გამოხატული აგრესია

ასე იწყებოდა

გორგოლაჭების ისტორია

1760 წელს მეტალის გორგოლაჭებიანი ციგურებით პრიმიტიული ილეთები ბელგიელმა **ჯონ ჯოზეფ მერლინმა** შეასრულა, ხოლო მოგვიანებით 1819 წელს პარიზში **პეტიტბლედმა** გორგოლაჭებიანი როლიკების პირველი ნიმუში შექმნა, რომელიც თითქმის დღევანდელს წააგავდა. მასზე ნახტომების შესრულება ურთულესი იყო. ნელ-ნელა გორგოლაჭები იხვენებოდა და 1866 წელს პირველი სახალხო შეჯიბრებაც მოეწყო.

მეოცე საუკუნის მიწურულს სასრიალო ციგურების დიზაინი შეიცვალა, დაემატა ჩასაფენი ნაბადი. შეიქმნა სხვადასხვა დისციპლინა და ევროპის ქვეყნებმა ეროვნული ჩემპიონატების ჩატარება დაიწყეს. ჩამოყალიბდა როლიკებით მოსრიალეთა კლუბები.

დღეს უკვე ციგურების რამდენიმე კატეგორია არსებობს: სისწრაფეში შეჯიბრება, სლალომი, სადაც მოსრიალენი მცირე ზომის კუბიკებს შორის ცდილობენ სწრაფი მოძრაობით ფეხი ოსტატურად გაატარონ. ქუჩის რინდები, რომელიც კიბეებიდან და სხვადასხვა სიმაღლიდან ჰაერში ორ ნახტომს, უკუ ნახტომს და სხვა სირთულის ილეთებს ასრულებენ.

■ ■ ■

ასობით ქართველი ბავშვი სიამოვნებითა და ხალისით ცდილობს ოთხ ბორბალზე მყარად დადგომასა და სრიალს. მოხალისე-მოსრიალეთა შორის რამდენიმე პროფესიონალიცაა. პრობლემების მიუხედავად ახალგაზრდები ყოველდღიურად ცდილობენ ურთულესი ილეთების დახვეწას.

ახლახან სადაზღვევო კომპანია "ალდაგი ბისიაიმ" ექსტრემალური სპორტის მოყვარულთა გასახარად დედაენის ბაღში ტურნირი ჩაატარა. ხაზისშიდა ციგურებით სრიალში სხვადასხვა სირთულის ილეთები და ხტომები შეასრულეს **ილია კონონენკომ, გიგა ლომიძემ** და **გიორგი ბიბამ**. მათ შორის გამარჯვება და განსაკუთრებული მონონება ილია კონონენკომ მოიპოვა.

სახიფათოდ გამორჩეულნი

ილია კონონენკო: "როლიკებით სრიალი 13 წლისამ დავიწყე. მამაჩემის კვალს გავყევი. დედაენის ბაღში ყოველდღე მოვდივარ სავარჯიშოდ და სერიოზული ტრავმა არსოდეს მიმიღია".

გიორგი ბიბა: "თავიდან ყინულის მოედანზე ვსრიალებდი, მაგრამ დაიხურა. გადავწყვიტე როლიკები შემეძინა და სრიალი გამეგრძელებინა. ყველა საჭირო ინვენტარი მეორადებში შევიძინე. დედაენის ბაღში თავიდან მარტო ვსრიალებდი, მაგრამ ნელ-ნელა ბავშვებიც დაინტერესდნენ. ინტერნეტში მოძიებული ილეთების დახვეწაში ერთმანეთს ვეხმარებოდით. ხელისა და ნეკნის დაზიანების მიუხედავად როლიკებით სრიალზე უარი მაინც არ ვთქვი".

ხიფათის აგრესიულობა

აგრესიულ ხაზისშიდა ციგურებით სრიალის შესასრულებელი დისციპლინებია დაბრკოლებები, მოხერხებულად მოძრაობა, მარჯვე ტრიუკები, ზემოდან გადავლება, ბეტონის გორაკებისა და ბორცვების დაძლევა. არსებობს გორგოლაჭებით სრიალის ორი დისციპლინა: ქუჩის, რომელიც თავისუფალი სტილის სრიალითაა ცნობილი და პარკის, სადაც აგებულია ბეტონის ბორცვები და სხვადასხვა წინაღობა.

პრობლემები

როლიკებით ასობით ბავშვი სრიალებს, თუმცა პროფესიულ დონეზე სრიალს ცოტა თუ ბედავს. პროფესიონალ მოსრიალეთა შორისაა გიგა ლომიძეც: *"აუცილებელია, ჩამოყალიბდეს როლიკების ფედერაცია, მოიძებნოს სპონსორი. აიგოს დახურული პარკი. სამწუხაროდ, ერთი პარკი საკმარისი არაა, მით უმეტეს, რომ დედაენის ბაღში სახტომები ცუდაა დაპროექტებული, სივრცე დატოვებულია, თუმცა ამ სივრცეში შეიძლებოდა საჭირო სასრიალო ბარიერების აგებაც. ყველაზე მთავარი პრობლემა არასწორად აგებული ბორცვებია. სტანდარტის მიხედვით ორ დიდ რამპას შორის შედარებით მომცრო ბორცვი უნდა იყოს ჩადგმული. აქ კი ასე არაა. ავდარში ვარჯიში თითქმის შეუძლებელია, რადგან წყალი არ გადადის და ცენტრში გროვდება. კუთხეებში დაგროვებული ნაგავი სრიალისას როლიკებს ჭედავს. ევროპაში სპეციალური დამცავი რბილი საფარი აქვთ, რომლის დახმარებითაც ურთულეს ილეთებს გაბედულად ხვეწენ. ჩვენ პირდაპირ ცემენტ ზე ვვარჯიშობთ. საბედნიეროდ, ჩვენ შორის არიან ბავშვები, რომელთაც აქვთ ნიჭი და უნარი სპორტის ამ სახეობაში წარმატებულნი იყვნენ. დიდი სურვილი გვაქვს მეტი გავაკეთოთ, მაგრამ დაუხმარებლად ეს შეუძლებელია".*

სალომე ხარატიშვილი

გიგა ლომიძე

გიორგი ბიბა

ილია კონონენკო

● კრივი

მარცხნიდან: ვლადიმერ ახალკაცი, გია გალდავა, რამაზ ფალიანი

ევროპისთვის მზად არიან

ქართველმა მოკრივეებმა წლევანდელი სეზონისთვის მზადება ბაკურიანში დაიწყეს. შემდეგ ბულგარეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინასა და ყაზახეთში ერთობლივი საწვრთნელი შეკრებები გაიარეს, 4 საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს და სხვადასხვა სინჯის 11 მედალი მოიხვეჭეს. ამჟამად ეროვნული ნაკრები დუშეთის ოლიმპიურ კომპლექსში ვარჯიშობს, 14 ივნისს კი ევროპის ჩემპიონატში საასპარეზოდ ანკარაში გაემგზავრება. ყოველივე ამის შესახებ გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ჟურნალისტებთან შეხვედრისას კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა** და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რამაზ ფალიანმა** ილაპარაკეს. მოკრივეთა 2011 წლის სეზონის განვლილი პერიოდის პრეზენტაციას სპორტის მინისტრის მოადგილე **გია გალდავა** ესწრებოდა.

ფედერაციის მესვეურთა აზრით, კონტინენტის პირველობა ბაქოს სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის (16 სექტემბერი - 3 ოქტომბერი) მზადების ერთ-ერთი ეტაპი იქნება. აზერბაიჯანის დედაქალაქში კი 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის საგზურები გათამაშდება. ვლადიმერ ახალკაცმა დამსწრეთ აუწყა, რომ ტყავის ხელთათმანის ოსტატებს სახელმწიფოს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისგან სრული მხარდაჭერა აქვთ როგორც მორალური, ისე მატერიალური. დღემდე უკვე დახარჯულია 290 ათასამდე ლარი, რისი ფუფუნებაც უწინ კრივს არასდროს ჰქონია. რაც შეეხება საევროპო ნაკრების შემადგენლობას, თურქეთში ქვეყნის სპორტულ ღირსებას **ავთანდილ ჭუბაბრია** (49 კგ), **გიორგი კილანავა** (52), **ნიკოლოზ იზორია** (56), **კობა ფხაკაძე** (60), **ბაკურ გოგოჭური** (64), **ზაალ კვაჭატაძე** (67), **ჯაბა ხოსიტაშვილი** (75), **იაგო კიზირია** (81), **ლევან გულედანი** (91) და **მიხეილ ბახტიძე** (+91) დაიცანენ.

ვაჟა დანელია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● ჭადრაკი

ლიდერთა ჯგუფში სიმჭიდროვეა

ჩიკაგოს საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე შვიდი ტური გათამაშდა. რუსთაველმა დიდოსტატმა **თამაზ გელაშვილმა** ბოლო ორი ტურის პარტიები ყაიმით დაამთავრა ინდოელ **პარიკრიშნასთან** და ტეხასელ (აშშ) **ალეხანდრო რამირესთან,** მოაგროვა 5,5 ქულა და კიდევ 9 მოჭადრაკესთან ერთად პირველ-მეათე ადგილებს იყოფს. მე-8 ტურში იგი კანადელ **ლეონიდ გერუოის** დაუპირისპირდება. **გიორგი ყაჭეიშვილი** გუშინ ამერიკელ **რობერტ ჰუნგასკისთან** დამარცხდა და 4,5 ქულით მე-19 ადგილზეა. მე-8 ტურში ინდოელ **ვიშნუვარდ არიუნს** შეხვდება.

■ ■ ■

გუშინ იდოეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე **მიხეილ მჭედლიშვილმა** მასპინძელი **კარდიკეინი** დაამარცხა და 4 ტურში 3,5 ქულას მოუყარა თავი. ჩვენებურს ნახევარ-ნახევარი ქულით **ენამულ ჰოსაინი** (ბანგლადეში), **პრასად არუნი, შადრან პანჩანადანი** და **სთეინი** (სამივე-ინდოეთი) უსწრებენ.

ვაჟა დანელია

ტურნირები მთიებში

გორში ჭადრაკის კლუბი „მთიები" გაყიდვას გადაურჩა და მისი დამფუძნებელისა და დირექტორის **გურამ მუკნიაშვილის** ხელმძღვანელობით ფუნქციონირებას ძველებურად განაგრძობს. ვფიქრობთ, კლუბის აუქციონის სიიდან ამოღება ამას წინათ შიდა ქართლის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად რეგიონის გუბერნატორის, **ზურაბ არსოშვილის** არჩევამაც განაპირობა. ახლა უკვე იმის იმედიც აქვთ, რომ ახალი პრეზიდენტი ქალაქის ჭადრაკის მეორე კერის, ცენტრალური სასპორტო სკოლის შენობაში განთავსებული სექციის გაფართოების პირობასაც შეასრულებს. რაც შეეხება „მთიებს", აქ ბოლო ერთი თვის განმავლობაში სამი შეჯიბრება ჩატარდა დიდებში.

გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს:

საგაზაფხულო - სააღდგომო ტურნირი: 1. სოსო ეგნატაშვილი, 2. ლექსო ხახუტაშვილი, 3. ოთარ ხარატიშვილი;

9 მაისისადმი მიძღვნილი ტურნირი: 1. გიორგი დაღელაშვილი, 2. ლექსო ხახუტაშვილი, 3. ოთარ ხარატიშვილი;

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი): 1. გიორგი დაღელაშვილი, 2. ლექსო ხახუტაშვილი, 3. ჯემალ ინჯია; სამივე შეჯიბრებაზე მხოლოდ გორელი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ.

როგორც ხედავთ, გიორგი დაღელაშვილი ორჯერ საუკეთესო იყო, თუმცა საინტერესოა, რომ მას საგაზაფხულო ტურნირზე არ უასპარეზია, თორემ სავარაუდოდ იქაც ვიხილავდით ფავორიტთა შორის. აღსანიშნავია ლექსო ხახუტაშვილის ერთგვარი უიღბლობაც, რომელსაც სამივე შეჯიბრებაზე ერთი ნაბიჯი დააკლდა საბოლოო გამარჯვებამდე.

1 ივნისიდან „მთიები" ქალაქის პირველობას უკვე შაშში უმასპინძლებს.

ვასილ ბალახაძე

გორიდან

ცურვა

გიორგი აბზიანიძე აჯილდოებს რუსთავის გოგონათა გუნდს

დათვალიერება დილიდან დაიწყო

2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის თბილისმა აქტიური მზადება დაიწყო. ეს მხოლოდ საშეჯიბრებო ბაზებისა და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას როდი გულისხმობს. განსაკუთრებული ყურადღება, ცხადია, სპორტსმენთა შერჩევა-მომზადებას ექცევა. დასტურად დილმის აუზში გამართულ ნორჩ მოცურავეთა შეჯიბრებაც გამოდგება.

საასპარეზოდ თავი მოიყარეს 1999-2000 წლებში დაბადებულმა ბიჭებმა და 9-10 წლის გოგონებმა (2015 წელს სწორედ ამ ასაკის მოცურავეები გამოვლენ თბილისში ფესტივალის ცისფერ ბილიკებზე). საპრიზო ადგილებისთვის დედაქალაქის, რუსთავის, გორისა და საჩხერის 117 წარმომადგენელი იბრძოდა.

- ფესტივალისთვის მზადების ოთხწლიანი პროგრამის შესაბამისად პირველი სასელექციო შეჯიბრება ჩავატარეთ, - გვითხრა საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი აბზიანიძემ**. - მართალია, ნორჩების მომზადების დონეზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მონაწილეთა სიმრავლე მახარებს, ბევრ მათგანში პერსპექტივაც დავინახეთ, მაგრამ დასკვნების გამოტანას არ ვიჩქარებთ. ნოემბერში კიდევ ერთ სასელექციო დათვალიერებას მოვაწყობთ. დარწმუნებული ვარ, მაშინ მონაწილეთა რაოდენობაც გაიზრდება და მომზადების ხარისხიც უფრო მაღალი იქნება. ამ პირველობაში ქუთაისელებსა და ბათუმელებს არ უასპარეზიათ აუზებთან დაკავშირებული პრობლემების გამო. რიონისპირა ქალაქში უკვე მუშაობს ერთი აუზი, ბათუმში კი მალე ჩადგება მწყობრში საწყლოსნო კომპლექსი და შემოდგომით ორივე ქალაქის წარმომადგენლებიც შემოგვიერთდებიან. გაისად დაფინანსებაც გაიზრდება. ყოველივე ეს კი იმის საწინდარია, რომ 2015 წლის ოლიმპიურ ფესტივალზე კონკურენტუნარიანი გუნდით წარვდგებით. დიღმის აუზში პირველობის გამართვა, სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და კომპანია „ეკოფუდის“ მხარდაჭერა და დახმარება რომ არა, ძალიან გაგვიჭირდებოდა.

ზურაბ ხომასურიძე, ოლიმპიური თამაშების მონაწილე: ერთი შეჯიბრებით ვერ განვსაზღვრავთ სპორტსმენის ბედ-იღბალს, მით უმეტეს - ამ ასაკში. როგორც ასპარეზობის სამმა დღემ გვიჩვენა, არიან პერსპექტიული მოზარდები, ოღონდ აუცილებელია, მათთვის ხშირად გაიმართოს შეჯიბრებები - იქნება ეს „მხიარული სტარტები“, საქართველოს პირველობები თუ საერთაშორისო ტურნირები. მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე გავაანალიზებთ ამ შეჯიბრების შედეგებს და სათანადო დასკვნებსაც გამოვიტანთ, რაც სამომავლოდ გამოგვადგება.

მანანა აბზიანიძე, „ლაგუნა ვერეს“ მწვრთნელი: უწინ შეჯიბრებას უპირობოდ დედაქალაქელი მოცურავეები იგებდნენ. ამ პირველობაზე კი პერიფერიების წარმომადგენლებმა იძალეს, რაც ძალიან მახარებს. თუმცა აქვე ხმამაღლა მინდა ვთქვა - თბილისი უნდა ჩაფიქრდეს.

თეიმურაზ კვესაძე, საჩხერის საცურაო აუზის დირექტორი: შარშან დეკემბერში გაიხსნა ჩვენთან 25-მეტრიანი სტანდარტული აუზი 6 ბილიკით, ევროპული დონის, სადაც არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის რეგიონის პირველობების ჩატარებაც შეიძლება. ამ აუზში, რომელიც საჩხერის მუნიციპალიტეტის განკარგულებაშია, უკვე 50-მდე მოზარდი ვარჯიშობს. ახლო ურთიერთობა დავამყარეთ მუნიციპალიტეტის ყველა სკოლასთან, რესურსცენტრთან, დარწმუნებული ვარ, შემოდგომისთვის მომეცადინეთა რიცხვი გაიზრდება. რაც შეეხება ჭორვილას სკოლის ოთხბილიკიან აუზს, იქ ნაყოფიერად მუშაობენ მწვრთნელები - ლეილა კაპანაძე და ვალერი ცხადაძე. ამ შეჯიბრებაზე მათ გოგონათა გუნდი ჩამოიყვანეს. პირობებიც გვაქვს და რაიონის ხელმძღვანელთა მხარდაჭერაც, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ საქართველოს ნაკრებს ღირსეული ცვლა მოვუმზადოთ.

კვარცხლბეკი

თავისუფალი ყაიდა. 50 მ. გოგონები. 1. მერი მუმლაძე („ტონუსი“, თბილისი), 2. ელენე ბერაია („ოლიმპიკი“, თბილისი), 3. ანა ცაციაშვილი (გორი). **ვაჟები.** 1. ნიკა შუშიაშვილი (სპორტის სამინისტრო), 2. საბა მდივანი („ტონუსი“), 3. ოთარ ივანაშვილი (საჩხერე). **100 მ. გოგონები.** 1. მერი მუმლაძე („ტონუსი“), 2. ელენე ბერაია („ოლიმპიკი“), 3. ნანა დემეტრაშვილი („ჭორვილა“). **ვაჟები.** 1. ნიკა შუშიაშვილი (სპ. სამინისტრო), გივი დუდაშვილი (გორი), 3. ოთარ ივანაშვილი (საჩხერე). **გულაღმა ცურვა. 50 მ. გოგონები.** 1. ნათია მაჭავარიანი („ჭორვილა“), 2. ანა თოიძე („დიღომი“, თბილისი), 3. ლიზი ჯაფარიძე (რუსთავი). **ვაჟები.** 1. გიორგი ხვედელიძე („ტონუსი“), 2. გია მაჭავარიანი (საჩხერე), 3. ალექსანდრე კრავცოვი („ლაგუნა-ვერე“). **100 მ. გოგონები.** 1 ნათია მაჭავარიანი („ჭორვილა“), 2. ლიზი ჯაფარიძე (რუსთავი), 3. ლიკა ჭიხორია (რუსთავი). **ვაჟები.** 1. გიორგი ხვედელიძე („ტონუსი“), 2. გია მაჭავარიანი (საჩხერე), 3. ბადრი ხატიძე („ნეპტუნი“, თბილისი). **ბრასი. 50 მ. გოგონები.** 1. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი), 2. ბარბარე ტოგონიძე („ლაგუნა-ვერე“), 3. ანა სტვილია (სპ. სამინისტრო). **ვაჟები.** 1. ილია პაპაიძე („ლაგუნა-ვერე“), 2. ლევან ბახტურიძე (საჩხერე), 3. რატი კობახიძე („დიღომი“). **100 მ. გოგონები.** 1. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი), 2. ანა სტვილია (სპ. სამინისტრო), 3. ბარბარე ტოგონიძე („ლაგუნა-ვერე“). **ვაჟები.** 1. ილია პაპაიძე („ლაგუნა-ვერე“), 2. ლევან ბახტურიძე (საჩხერე), 3. ნიკა ცაგარელი („ტონუსი“). **ბატერფლაი. 50 მ. გოგონები.** 1. ანა ბუხრიკიძე (გორი), 2. ნათია იაგანაშვილი (რუსთავი). **ვაჟები.** ირაკლი კვარაცხელია („ტონუსი“), 2. ვლადიმერ ტერლეცკი (გორი), 3. გიორგი წულუკიანი („ოლიმპი“). **100 მ. გოგონები.** 1. ანა ბუხრიკიძე (გორი), 2. ნათია იაგანაშვილი (რუსთავი). **ვაჟები.** 1. ირაკლი კვარაცხელია („ტონუსი“), 2. ვლადიმერ ტერლეცკი (გორი), 3. გიგი წულუკიანი („ოლიმპი“). **კომპლექსი. 100 მ. გოგონები.** 1. მერი მუმლაძე („ტონუსი“), 2. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი), 3. ანა სტვილია (სპ. სამინისტრო). **ვაჟები.** 1. ილია პაპაიძე („ლაგუნა-ვერე“), 2. ნიკა შუშიაშვილი (სპ. სამინისტრო), 3. ირაკლი კვარაცხელია („ტონუსი“). გუნდურ ჩათვლაში რუსთაველებმა გაიმარჯვეს

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

ჩოგბურთი

12+14+16=84

ლელა მესხის ჩოგბურთის აკადემიისა და კლუბ „სითი სპორტის“ კორტებზე დამთავრდა 12, 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 84 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ყველაზე მეტი მოასპარეზე 12-წლიან გოგონებში იყო. აქ მედლებისთვის 21 სპორტსმენი იბრძოდა. ფინალში **ნინო მემიშიში** და **ანა მუჯირი** დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველი სეტი ანამ მოიგო (6:4), მაგრამ მომდევნო ორში ნინომ იმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე **ანა შანიძე** გავიდა. ბიჭებში გადამწყვეტ პაექრობამდე **გიორგი ფშავლიშვილი** და **ნიკოლოზ დავლიანიძე** მივიდნენ შეუფერხებლად. ფინალში კი დავლიანიძემ იმარჯვა დამაჯერებლად - 6:3, 6:1. მესამე იყო **ბასილი იაკობაშვილი.**

შეჯიბრების ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ნახევარფინალში გასულმა გოგონათა კვარტეტმა მედლების მფლობელები წრიული სისტემით გამოავლინა. 14-წლიანებში **მარიამ ბოლქვაძემ, ანა ახალკაცმა** და **თამარ კუტუბიძემ** ორ-ორი შეხვედრა მოიგეს და ერთნაირი ქულები მოაგროვეს. დამატებითი მაჩვენებლებით, საპრიზო ადგილები ზემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობით განაწილდა. აი, 16-წლიანებში კი **ბარბარე ერისთავმა** სამივე შეხვედრა მოიგო: ჯერ **ესთერ სარქისიანს** სძლია - 6:1, 6:0, შემდეგ - **ანი გოგვაძესა** (7:6, 3:6, 7:5) და **მარიამ გოგელაშვილს** (6:3, 6:4), სარქისიანმა ყველა პაექრობა დათმო, გოგვაძემ გოგელაშვილს აჯობა (3:6, 6:3, 6:3) და მეორე ადგილი დაიკავა, ბრინჯაო გოგელაშვილს ერგო.

14-წლიან ვაჟებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა **გიორგი დათაშვილი,** რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში სეხნია - **გიორგი ბუზალაძე** ფინალისთვის შეუფერებელი მშრალი ანგარიშით (6:0, 6:0) დაამარცხა. მესამე ადგილზე **ირაკლი მეტრეველი** გავიდა. 16-წლიან ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განანილდა: 1. **გიორგი ჯავახიშვილი,** 2. **ალექსანდრე დავლიანიძე,** 3. **ლევან ფაშიაშვილი.**

ვაჟა დანელია

ბაბიშვილი ბალახის სეზონს იწყებს

ანა ტატიშვილი

21 წლის **ანა ტატიშვილი** (106) ბალახის კორტების სეზონს ნოტინგემში იწყებს. ინგლისის ამ ქალაქში იმართება „აეგონ ტროფი“, საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათას ამერიკულ დოლარზე მეტია. ჩვენებური ძირითად ბადეშია, სადაც მე-7 ნომრად არის განთესილი. ანას პირველი მეტოქე 28 წლის ბერძენი **ელენი დანილიდუა** (153), ერთ დროს მსოფლიოს მე-14 ჩოგანი. ტატიშვილი და დანილიდუ ერთმანეთს მესამედ ხვდებიან, აქამდე ძალთა თანაფარდობაა - 1:1. ეს მატჩი გუშინ უნდა გამართულიყო, მაგრამ წვიმამ კორექტივები შეიტანა გრაფიკში და ძირითადი ბადის პირველი წრის ყველა თამაში დღეისთვის გადაიდო. თუკი ანა დანილიდუს დაამარცხებს, რეიტინგში 16 ქულას დაიბევებს, წაგების შემთხვევაში კი მხოლოდ 1 ქულას დასჯერდება და მოწინავე ასეულს დაშორდება (დაახლოებით 120-ე ადგილამდე დაეშვება რეიტინგ-ლისტში). წყვილთა თანრიგში ანას მეწყვილე ამერიკელი **მელანი ოუდინია** (88). ნილისყრამ ქართველსა და ამერიკელს არ გაუმართლა - პირველივე წრეში პირველ ნომრად განთესილებს, **რაქელ კოპს-ჯონსს** (55 წყვილებში) და **ებიგეილ სპირს** (56 წყვილებში) ხვდებიან. აღსანიშნავია, რომ ორივე მეტოქე ასევე ამერიკელია.

რომის საერთაშორისო ტურნირ „ტირო ა ვოლოში“ (50 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ვერ გააღწია **სოფიო შაფათავამ** (283). მე-4 ნომრად განთესილმა ქართველმა მეორე საკვალიფიკაციო წრე წააგო ესპანელ **შეილა სოლსონა-კარკასონასთან** (903) - 3:6, 5:7. ძირითად ბადეში **მაკა ჩახნაშვილი** (234) ითამაშებს. საქართველოს ყოფილი პირველი ჩოგანი პირველ წრეში საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ ავსტრალიელ **იზაბელა ჰოლანდს** (235) შეხვდება. მეტოქეები რეიტინგში ერთად არიან, მაკა 10 წლით უმცროს ავსტრალიელს პირველად ეთამაშება. წყვილთა ბადეში ჩვენებურთაგან მხოლოდ შაფათავაა, ვინც რუს **მარინა შამაიკოსთან** (438) ერთად მე-4 ნომრად განთესეს. მეოთხედფინალში მათი მეტოქეები ესპანელები იქნებიან: **ბეატრის გარსია-ვიდაგანი** (174) და **ლეტიცია კოსტას-მორეირა** (223).

საფრანგეთის ღია პირველობის ახალგაზრდულ ტურნირში ველოდით 17 წლის **ალექსანდრე მეტრეველს** (98), თუმცა ბოლო მომენტში მან უარი თქვა „დიდი სლემის“ ახალგაზრდულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებაზე. მიზეზი ჩვენთვის უცნობია. შეგახსენებთ, რომ მეტრეველი-უმცროსი წლის დასაწყისში მსოფლიოს 67-ე ჩოგანი იყო ახალგაზრდებში. მას „დევისის თასზე“ საქართველოს ნაკრებში წარუმატებელი დებიუტის შემდეგ არსად უთამაშია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი მოჭიდავის, თბილისის ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარის

გივი ყვარელაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში მსოფლიოს თასის მფლობელი, სსრკ ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისის ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე, პოლიციის გენერალ-მაიორი, ღირსების, ვახტანგ გორგასლის მეორე და მესამე ხარისხის ორდენების კავალერი

გივი ყვარელაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა დვალი

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 59 წლისა გარდაიცვალა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძალოსნობაში **ელგუჯა დვალი.**

საჩხერელ ყმანვილს ცნობილმა მწვრთნელმა ანდრო თურმანიძემ ადრეულ ასაკში შეამჩნია კარგი ფიზიკური მონაცემები და ძალოსნობის დარბაზში მიინვია. სკოლის შემდეგ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი დაამთავრა. სნავლას და სპორტს წარმატებით უთავსებდა. როგორც ნაკრების წევრი დიდხანს ღირსეულად იცავდა საქართველოს სახელს. ინსტიტუტის შემდეგ მშობლიურ საჩხერეს დაუბრუნდა. როგორც სპორტსმენმა და მწვრთნელმა სპორტის ამაგდარის, ბატონი თამაზ ლაშხის თანადგომით ჩამოაყალიბა ძალოსნობის სექცია, ფართი კი საკონსერვო ქარხანაში დირექტორმა, დიდებულმა პიროვნებამ, ბატონმა იუზა ჩხეიძემ გამოუყო. ვარჯიშობდა და ავარჯიშებდა, აფრთიანებდა მომავალ თაობას. მის მიერ გაკვალული გზიდან გავიდნენ დიდ სარბიელზე მსოფლიო სპორტის ლეგენდა გიორგი ასანიძე, საქართველოს ჩემპიონები, რეკორდსმენები, საკავშირო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები და გამარჯვებულები - კობა ტალახაძე, გიორგი თოდაძე, გიორგი ჩუბინიძე, გიორგი გაბრიჭიძე, პაატა კვიუნაძე და სხვები. ერთად ასპარეზობდნენ მასწავლებელი და შეგირდი უნიჭიერესი ძალოსანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მრავალი საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებული ამირან ჭიტაძე. ბატონ ელგუჯას 28 წლის ასაკში მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება, რაც მისი ტალანტის აღიარება იყო.

ორ ათეულ წელზე მეტი იმსახურა შსს-ს უწყებაში, გახდა ვიცე-პოლკოვნიკი, იბრძოდა სამაჩაბლოშიც. რამოდენიმე წელი ქუვეითში იმუშავა მწვრთნელად, მაგრამ სამშობლო ენატრებოდა, პოეზიაც უზომოდ უყვარდა, ლექსების მშვენიერი კრებულიც დაგვიტოვა, რომელსაც „მონატრება“ დაარქვა, სადაც სამშობლოს, კაცობას და მეგობრობას ეფერება.

სიცოცხლის ბოლო წლებში თბილისში მუშაობდა მწვრთნელად და ერთ-ერთ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად. საოცრად შრომისმოყვარე და დისციპლინირებული გამუდმებით ძიებაში იყო, მოზარდებისათვის შეიმუშავა საწვრთნელი პროცესის თანამედროვე სისტემა. მისი ხელი აშკარად დაეტყო თბილისის ძალოსანთა ნაკრებს.

სამწუხაროდ, დღეიდან ელგუჯა დვალი წარსულ დროში უნდა გავიხსენოთ. წავიდა ჩვენგან ღირსეული, ვალმოხდილი კაცი, შესანიშნავი მეუღლე, მამა, ბაბუა, უღალატო მეგობარი. მის ხსოვნას დავიწყება არ უნერია. ძალოსნობის ფედერაცია ყოველწლიურ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში შეიტანს ელგუჯა დვალის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს, რომელიც ტრადიციად დამკვიდრდება. მის გავალულ გზაზე ძალოსანთა თაობები აღიზრდებიან.

საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია

ჟანდათბურთი

● ქართველი NBA-ში

ზაზას ხუთი...

YAHOO-ზე გამოქვეყნდა საინტერესო მასალა, რომელიც მთლიანად **ზაზა ფაჩულიას** ეძღვნება. პუბლიკაციის ავტორია **პატრიკ დევისი.** აი, რას წერს ბატონი პატრიკი.

„გასულ სეზონში „ატლანტა ჰოქსის“ ცენტრი ზაზა ფაჩულია გუნდს კარგად დაეხმარა. 28 წლის, 212 სმ სიმაღლის „როკი ბალბოა“ NBA-ს ძლიერ კლუბებს არაფერს უთმობდა. შესაძლოა, იგი დუაით ჰოვარდს ვერ აღემატება, ან ტაისონ ჩენდლერს ფიზიკურად ვერ სჯობს, მაგრამ მოედანზე ძალიან სასარგებლოა. ქართველი ცენტრი თითოეული ბურთისთვის ბოლომდე იბრძვის და თანაგუნდელებს თუნდაც წამით მოდუნების საშუალებას არ აძლევს.

ყველა გუნდს ჰყავს შავი სამუშაოს შემსრულებელი ერთი-ორი კალათბურთელი. ასეთი ფუნქცია აკისრია ზაზას „ატლანტაში“. „ჰოქსის“ ნებისმიერ გულშემატკივარს კარგად ახსოვს 2008 წელს პლეი ოფში ფაჩულიასა და კევინ გარნეტის შეტაკების ამბავი, რამაც ქართველს ატლანტაში დიდი პოპულარობა მოუტანა. გარნეტი ყოველთვის ცდილობს ფსიქოლოგიურად დათრგუნოს მეტოქე, მაგრამ 2008-ში პლეი ოფის პირველი რაუნდის მეექვსე მატჩში ზაზას წინააღმდეგობას გადაეყარა, რის შედეგადაც კევინი გააძევეს და „ატლანტამ“ გაიმარჯვა. თუმცა გადამწყვეტი შეხვედრა გარნეტის „ბოსტონის“ სასარგებლოდ დასრულდა და იმ სეზონში „კელტები“ ჩემპიონებიც გახდნენ.

ზაზა ფაჩულიას ძალისმიერმა თამაშმა წლეულს „ორლანდოს“ კალათბურთელებზეც იმოქმედა - ჯეისონ რიჩარდსონი თანაგუნდელ ჰოვარდს გამოექომაგა და ფაჩულიას მიეჭრა, შედეგად ატლანტელმა თავი ჩაარტყა და ორივე გააძევეს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ზაზა სათამაშო დროს არათანაბრად იღებდა. დებიუტანტმა მწვრთნელმა ლარი დრიუმ გუნდში გარკვეული გადაადგილებები განახორციელა და ზაზასაც დრო გაეზარდა. მწვრთნელმა ელ ჰორფორდი ცენტრის პოზიციიდან მძიმე ფორვარდად გადაიყვანა, ხოლო ჯოშ სმიტი - მსუბუქ ფორვარდად. ცენტრის პოზიციაზე სასტარტო ხუთეულში ჯეისონ კოლინზი თამაშობდა, ზაზა ფაჩულია კი პირველი სათადარიგო იყო - კოლინზს ცვლიდა.

■ ■ ■

ახლა უკან გადავიხედოთ. ფაჩულია „ჰოქსს“ 2005 წელს შეუერთდა. მწვრთნელის, მაიკ ვუდსონის ხელმძღვანელობით იგი სასტარტო ცენტრად იქცა. პირველ სეზონში ქართველი საშუალოდ 12 ქულასა და 8 მოხსნას აგროვებდა, თუმცა მას მერე მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ ფაჩულია უფრო სასარგებლო სათადარიგოთა სკამიდან იქნებოდა, რასაც სათამაშო დროის შემცირება მოჰყვა. ზაზა 28 წლისაა და შესაძლოა მისი როლი კვლავ შეიცვალოს.

■ ■ ■

ბოლოს გთავაზობთ 2010-11 წლების სეზონში ფაჩულიასთან დაკავშირებულ ხუთ მნიშვნელოვან მოვლენას.

1. 1 აპრილი. სიმართლე რომ ვთქვათ, ზაზას გარეშე „ჰოქსი“ საშინაო მატჩში „ბოსტონს“ ვერ დაამარცხებდა. მეორე ტაიმში ფაჩულიამ (15 ქულა, 10 მოხსნა) მოედანზე დიდი ენერგია შეიტანა, თანაგუნდელები გამოაფხიზლა და „ბოსტონის“ თავკაც დოკ რივერსს ათქმევინა: ზაზა დღეს მოედანზე საუკეთესო იყო. „ატლანტამ“ 88:83 იმარჯვა.

2. 10 მაისი. აღმოსავლეთის კონფერენციის ნახევარფინალში სერიის მეხუთე მატჩში ქართველმა მეფარემ მშვენივრად ითამაშა, ჩიკაგოელებს სამწამიან ზონას არ აკარებდა, ბურთებსაც ხსნიდა და სროლის სიზუსტითაც გამოირჩეოდა. საბოლოოდ 13 ქულა მოუგროვდა. ასევე კარგად გაისარჯა ჯეფ ტიგი, მაგრამ მათი შრომა წყალში ჩაიყარა, რადგან მეოთხე პერიოდში „ჩიკაგომ“ დიდებულად ითამაშა, „ატლანტას“ უკანახაზელებს კი თამაში არ ნაუვიდათ და შორი დისტანციიდან ერთიც ვერ ჩააგდეს.



3. 20 მარტი. „დეტროიტთან“ მატჩში ფაჩულიამ 10-დან 9 საჯარიმო გამოიყენა. „ჰოქსი“ NBA-ში საჯარიმოების რეალიზების მიხედვით ერთ-ერთი აუტსაიდერია. თუმცა, ცენტრ ფაჩულიას თავისუფალი ტყორცნები არ დაენუნება. „დეტროიტთან“ მატჩში მან 10-დან 9 საჯარიმო გამოიყენა და „ატლანტას“ გაამარჯვებინა, რითაც წინა საღამოს „მაიამისთან“ სამარცხვინო წაგების გამო გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაცია მოახდინა.

4. 16 მარტი. „დენვერთან“ შეხვედრაში ზაზა გუნდის ბომბარდირი გახდა, თუმცა მისი შედეგიანი გარჯა მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა - დენვერელებმა კარგად „დაკეტეს“ „ჰოქსის“ მთავარი მექულეები.

5. 27 ოქტომბერი. ამ დღეს „ატლანტამ“ სეზონის სადებიუტო მატჩი ჩაატარა, „მემფის გრიზლისს“ დაუპირისპირდა. ზაზა ფაჩულიამ სეზონი ორმაგი დუბლით გახსნა - 19 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა.“

● ქართველი იტალიელი ჩემპიონატი

აი, ჯუნდი!

მანუს პირველი ნაბიჯი ფინალისკენ

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო - ძალიან გვინდა ეს სიტყვები იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალში გამართლდეს. სერიის პირველ მატჩში **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ“ მილანის „არმანის“ უმასპინძლა და 62:48 დაამარცხა.

ვიდრე უშუალოდ შეხვედრის მსვლელობაზე ვიტყოდეთ, შეგახსენებთ, რომ „არმანი“ იტალიის შარშანდელი ჩემპიონატის ფინალისტი, ევროლიგის მონაწილეა და მასში გაცილებით მეტი ვარსკვლავია შეკრებილი, ვიდრე „კანტუში“. თუმცა, გუშინ მილანელებმა 48 ქულა ჩააგდეს, რაც ფინალისტობაზე მეოცნებე გუნდისთვის მეტისმეტად ცოტაა. მაგრამ რა უნდა ექნათ „არმანის“ კალათბურთელებს, როცა მათ წინაშე შვეიცარიული საათივით კარგად დაზეთილი მექანიზმი თამაშობდა. ვინც მატჩი პირდაპირ ეთერში იხილა, დაგვეთანხმება, რომ პირველი ტაიმის შემდეგ არ გაჩენილა მცირე შიშიც კი, რომ გუშინ მილანელები „კანტუს“ მოუგებდნენ. თამაშის რიტმსაც და სადავეებსაც მასპინძლები ფლობდნენ და მათი გამარჯვება მხოლოდ დროის საქმე იყო - ჩამოჰკრა მეორმოცე წუთმაც და „კანტუმ“ სერიის პირველი შეხვედრაც მოიგო.

მასპინძლები დაცვაში მწყობრად იდგნენ და ნამატჩევს სტუმართა მწვრთნელი **დენ პეტერსონი** გაოცებული დატოვეს: აბა, როგორ უნდა მოგვეგო, როცა ჩვენმა მთავარმა მექულეებმა ვერაფერი გააკეთესო. **იბრაჰიმ ჯაბერმა** ქულა ვერ ჩააგდო, **სტეფანო მანჩინელიმ** 6 ქულა მოაგროვა, ხოლო **მეისონ როკამ** - 2.

თავის მხრივ, „კანტუს“ მხრიდან **ნიკოლა მაძარინო** სამქულიანებს ისე ისროდა, თითქოს ვარჯიშზე ყოფილიყოს. მან 6-დან 4 სამიანი ჩააგდო და 16 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. მარკოიშვილმა 15 წუთში 7 ქულა, 4 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. მანუმ 3-დან 2 ორქულიანი და 6-დან 1 სამიანი გამოიყენა. არის შეხვედრები, როცა ქართველი უკანახაზელი პერიმეტრიდან ტყორცნებს უკეთესი პროცენტული სიზუსტით ესვრის, მაგრამ გუშინ ერთი საინტერესო ფაქტის მომსწრენი გავხდით: „კანტუს“ მწვრთნელის **ანდრეა ტრინჩიერის** ტაქტიკაში მანუჩარს ერთგვარი მხსნელის როლი აკისრია - თუ შეტევის 24 წუთი ისე მიილევა, რომ გუნდი მეტოქის კალათის მიმართულებით ვერ ისვრის, ბოლო წამებზე ბურთს მარკოიშვილს აძლევენ და ისიც თამამად ისვრის. ასეთ დროს ბურთის ჩაგდება გაცილებით რთულია. შეიძლება, გუშინ ამიტომაც ვერ ისროლა სამქულიანები მაღალი შედეგიანობით. მანუს რეგულარულ ჩემპიონატში 79-დან 32 სამქულიანი აქვს ჩაგდებული (40.5 პროცენტი).

სერიის (სამ მოგებამდეა) მეორე მატჩი ისევ კანტუში პირველ ივნისს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ევრობასკეტი 2011 — დარჩა 92 დღე

კირილენკო ითამაშებს, ჰოლდენი ფიქრობს

მარცხნიდან: ნახბარი, გასოლი, იარიჩი, კირილენკო, ცქიტიშვილი, პარკერი

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრებმა ახალგაზრდული შემადგენლობით ითამაშა, არც **ანდრეი კირილენკო** დახმარებია და არც რომელიმე ნატურალიზებული ამერიკელი. სწორედ ამიტომ, ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, რუსეთის გარშემო აქტუალურია კითხვები: დაბრუნდება კირილენკო ნაკრებში, იქნება ნატურალიზებული, გამოჯანმრთელდება **ხრიაპა?**

■ ■ ■

ვიდრე კალათბურთელებზე ვიტყოდეთ, ერთ საინტერესო დეტალზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას. რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **დევიდ ბლატი,** ისრაელის „მაკაბისთან“ ერთად ისრაელის ჩემპიონი რომ გახდა, მეორე დღესვე რუსეთში გაიქცა, სადაც ჩემპიონატის პლეი ოფებს ესწრება. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვიც** ასე უნდა მოქცეულიყო - „ფინიქსი“ NBA-ს რეგულარული ეტაპიდან რომ გამოვარდა, სწორედ მაშინ დაიწყო საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფები...

თვით **მაიკ ფრატელო,** რომელიც უკრაინის ნაკრებს წვრთნის, მაისში კიევში გამოცხადდა, საიდანაც მოსკოვში ჩავიდა და 29 მაისს დევიდ ბლატთან ერთად დაესწრო „წითელ მოედანზე“ გამართულ მინი-კალათბურთის ტურნირს.

■ ■ ■

რუსებისთვის მთავარი კითხვა ასე ჟღერს: დაბრუნდება ანდრეი კირილენკო ნაკრებში? პასუხი თავად კალათბურთელმა გასცა:

- წლეულს რუსეთის ნაკრებში აუცილებლად ვითამაშებ.

ამ ამბავს მწვრთნელი დევიდ ბლატიც გამოეხმაურა:

- ბოლო ორ სეზონში ახალგაზრდული გუნდით გამოვდიოდით. ევრობასკეტი-2011-ზე შედარებით გამოცდილი და მრავალფეროვანი შემადგენლობა გვეყოლება, რაც უმთავრესად კირილენკოს დაბრუნებით იქნება გამოწვეული. ანდრეი ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. იგი რუსეთის ნაკრების კოზირი უნდა გახდეს.

■ ■ ■

მეორე საკითხი ნატურალიზებულს ეხება. **ჯეი არ ჰოლდენმა** რუსებს 2007 წელს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა. მან შუა სეზონში თქვა: ევროპის ჩემპიონატზე სიამოვნებით ვითამაშებო, მაგრამ როცა დევიდ ბლატი მოსკოვში ჩავიდა და ჰოლდენს ნაკრებში დაბრუნების შესახებ ჰკითხა, პასუხად მიიღო: მოვიფიქრებო.

- ჰოლდენს ყოველი სეზონის ბოლოს ვეკითხებით, ითამაშებს თუ არა რუსეთის ნაკრების მაისურით. ყოველთვის ერთგვარ პასუხს ვიღებთ: დავფიქრდებიო. ასე მოხდა ამჯერადაც. თუ იგი ნაკრებში თამაშს მოიფიქრებს, ხომ კარგი, თუ არა - ნატურალიზებულის გარეშე ვითამაშებთ, - განაცხადა ბლატმა.

■ ■ ■

NBA-ს რეგულარულ ჩემპიონატში ფეხის ტრავმა მიიღო „დენვერის“ ცენტრმა **ტიმოფეი მოზგოვმა,** თუმცა იგი აგვისტომდე მომჯობინდება და ალბათ, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც ითამაშებს.

- ევრობასკეტი 2011-ს დიდ იმედებს ვუკავშირებ. ეს შეჯიბრება გამოცდილებას შემმატებს. ვიმედოვნებ, ჩვენს ნაკრებში ანდრეი კირილენკოც ითამაშებს, რომლისგან ბევრის სწავლა შეიძლება. მას შეუძლია ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწიოს, - ამბობს მოზგოვი.

31 აგვისტომდე ტრავმის მოშუშების იმედი აქვს NBA-მოვლილ ვიქტორ ხრიაპას:

- დაივიწყეთ ჩემი ტრავმის ამბავი და მელოდეთ ევრობასკეტზე.

■ ■ ■

ასე და ამგვარად, ბუნდოვნად ერთადერთი საკითხი რჩება - ითამაშებს თუ არა ჰოლდენი. თუ მანაც თანხმობა განაცხადა, ლიტვაში ბოლო წლებში საუკეთესო რუსეთის ნაკრებს ვიხილავთ. ასეთ გუნდთან კი ღირს „ხელჩართული ბრძოლის“ გაჩაღება. მეტოქის მწვრთნელ დევიდ ბლატს პირველ ჯგუფურ ეტაპზე წარმატების იმედი აქვს:

- რუსეთის ნაკრები 2006 წელს ჩავიბარე. მას მერე წილისყრის შედეგებით ყველაზე კმაყოფილი სწორედ ახლა ვარ. ეს ოპტიმიზმს მმატებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

მონპელიე ფინალში, ქუბრიაშვილი ბარბაროსებში

მამუკა გორგოძის ნლის ნახტომი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის დასასრულს უახლოვდება. ელიტური, პირველი დივიზიონის გათამაშებაში, ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. ქართველ მორაგებთა ორი გუნდიდან ფინალში მხოლოდ ერთმა, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჩხაიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ" გააღწია.

მონპელიელები ნახევარფინალში, ნეიტრალურ მოედანზე, მარსელის „ველოდრომზე" დაუპირისპირდნენ საფრანგეთის უძველეს და დიდი ტრადიციების მქონე პარიზულ „მეტრო რასინგს". ჩვენებურთა გუნდმა დაცვაში დიდი ყურადღებით ითამაშა, მეტოქეს რამდენჯერმე თერნოვერიდან შეუტია და 51-ე წუთივის საკმაოდ სოლიდური სხვაობით 23:6-ს იგებდა.

სავარაუდოდ, „მონპელიემ" გამარჯვება ნაადრევად ირწმუნა. სხვანაირად ძნელი ასახსნელია, როგორ მოახერხა „მეტრო რასინგმა" ანგარიშში დაწინაურება. თამაშის დასრულებას წუთნახევარი აკლდა, პარიზელები უკვე 25:23-ს იგებდნენ. მონპელიელთა მორიგი შეტევა მეტოქემ წესის დრღვევით შეაჩერა და გარემარბმა **მარტინ ბუსტოს მოიანომ** საჯარიმოთი „ქართულ გუნდს" მინიმალური სხვაობით გაამარჯვებინა - 26:25.

მამუკა გორგოძემ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო, სრულად ითამაშა, გიორგი ჟღენტი 71- ე წუთზე შეცვალეს, შველიძე, ჩხაიძე და ნარიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

„მონპელიე" ფინალში „სტედ დე ფრანსზე" შაბათს საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონ „ტულუზს" დაუპირისპირდება. ტულუზელებმა გათამაშებას შარშანდელი ჩემპიონი **დავით ზირაქაშვილი** გამოთიშეს - 29:6. „ვულკანებმა" მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუნიეს. რაც ანგარიშშიც ლოგიკურად აისახა.

ზირაქაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 43-ე წუთიდან ჩერთო.

I დივიზიონი

ნახევარფინალი

ტულუზი-კლერმონი	29:6
მეტრო რასინგი-მონპელიე	25:26

ფინალი

ტულუზი-მონპელიე

ფედერალ 1 დივიზიონში ელიტური, მეორე დივიზიონის ორი საგზურისთვის სამი ქართული გუნდი იბრძვის. მეოთხედფინალური ეტაპი გადალახეს და ელიტამდე ნაბიჯიღა დარჩათ „მასის", „პერიგოს" და „ბეზიეს".

შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, სანდრო ესაკიას და არჩილ კობაურის „მასმა" მეოთხედფინალის განმეორებით შეხვედრაში შინ დაამარცხა „ლიმოჟი" - 31:20. პირველი შეხვედრა პარიზელებს მინიმალური სხვაობით ჰქონდათ წაგებული და პირველ ტაიმშიც ძალიან გაუჭირდათ. შესვენებზე გუნდები ისე წავიდნენ, რომ უპირატესობა ვერავინ მოიპოვა - 14:14. მეორე ნახევარში მასელები ბევრად უკეთ გაისარჯნენ და უკვე ზედიზედ მესამედ გააღწიე პლეი ოფის ნახევარფინალში.

სუთიაშვილმა, რომელმაც სრულად ითამაშა ლელო მატჩის პირველივე წუთზე გაიტანა, აშვეთია 73-ე წუთზეშეცვალეს, ესაკია და კობაური განაცხადში არ იყვნენ.

„მასი" ნახევარფინალში **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგოს" დაუპირისპირდება, რომელმაც მეოთხედფინალის განმეორებით მატჩში შინ დაამარცხა „ბობინი" - 34:13. ამ გუნდების პირველი შეხვედრა პარიზის გარეუბანში ფერედ 22:22 დამთავრდა.

პერიგოელებმა გადამწყვეტი უპირატესობა პირველი ტაიმის ბოლოს მოიპოვეს, რომელიც 14:6 მოიგეს. ჩვენებურთა გუნდმა შესვენების შემდეგ მეტოქის წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხეს.

მარგველაშვილი, რომელიც არბიტრმა 26-ე წუთზე გაასინბინა, 51-ზე შეცვალეს, ექვსი წუთის შემდეგ დადუნაშვილი ნინიძემ შეცვალა, ზიბზიბაძემ კი 64 წუთი ითამაშა.

„პერიგო" და „ბეზიე" ორ შეხვედრას გამართავენ, შინ და გარეთ. გამარჯვებული ფინალში გააღწევს და ელიტური, მეორე დივიზიონის საგზურს მიიღებს.

დავით ქუბრიაშვილი ბარბაროსების კვართით

ლაშა მალაღურაძისა და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემ" შინ მოუგო „ბურგ ან ბრესს" - 35:19. ლანგედოკელებს პირველი შეხვედრა სტმრად 14 ქულის სხვაობით ჰქონდათ წაგებული - 9:23 და ამ შეხვედრაშიც, მართალია, ანგარიში მუდამ მიჰყვდათ, ძალიან გაუჭირდათ. ბეზიელებმა თამაშის დასკვნით ათ წუთში ყველაფერი იღონეს წარმატების მისაღწევად. გუნდში ყველაზე შედეგიანი ახალზელანდიელი მგეზავი **ენდრიუ მერთენსი** იყო, რომელმაც შვიდი საჯარიმო და ორი გარდასახვა გაიტანა (25 ქულა).

მალაღურაძემ შუამარბის პოზიციაზე სრულად ითამაშა, მჭედლიშვილი განაცხადში არ იყო. „ბეზიეს" მეტოქე ნეხევარფინალში „ტროსი" იქნება, რომელმაც „ვანს" ორივე შეხვედრაში აჯობა.

ფედერალ 1

მეოთხლფინალი

მასი-ლიმოჟი 31:20 (18:19), პერიგო-ბობინი 34:13 (22:22), ბეზიე-ბურგ ან ბრესი 35:19 (9:23), ვანი-ტროსი 31:16, (12:9)

ნახევარფინალი

მასი-პერიგო, ბეზიე-ტროსი

ლონდონში, „თვიქნემზე", ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქე, ინგლისის ეროვნული გუნდი „ბარბაროსებს" დაუპირისპირდა და 32:38 წააგო.

აღსანიშნავია, რომ „ბარბაროსების" შემადგენლბაში, რომელიც ფაქტობრივად მსოფლიოს ნაკრებია, საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ტულონის" შერკინების ბურჯმა **დავით ქუბრიაშვილმა** ერთი ტაიმი ითამაშა. ქუბრიაშვილი პირველი ქართველი მორაგბეა, ვინაც „ბარბაროსების" კვართის მოირგო.

დუდუმ, ისეთი დიდი მორაგბეების მხარდამხარ ითამაშა, მატიო ბასტარო, ფრედერიკ მიშალაკი, რუან პინარი, სერჯო პარისე, გორგ სმითი, ჯი ფან ნიკერკიმ, სალვატორე პერუჯინი მარტინ ვილიამსი რომ არიან.

ინგლისი-ბარბაროსები 32:38

ბარბაროსები: **15. ნიკოლას ჟანჟანი, 14. პოლ სასკი, 13. ბენუა ბაბი, 12. მატიო ბასტარო, 11. ტიმ ვიზერი, 10. ფრედერიკ მიშალაკი, 9. რუან პინარი.** 1. სალვატორე პერუჯინი, 2. ლეონარდო ჯილარდინი, 3. **დავით ქუბრიაშვილი, 4. ერიკ ლანდი, 5. პოლ ტიტო, 6. ჯო ფან ნიკერკი, 7. ჯორჯ სმითი, 8. სერჯო პარისე.**

16. სებასტიან ბრუნო, 17. კარლ ჰეიმანი, 18. ქუენტინ გელდენჰაუზი, 19. მარტინ ვილიამსი, 20. სებასტიან ტილუს-ბორდე, 21. ვილი მესონი, 22. სერუ რაბენი

ნლ: ბაბი, მიშალაკი, სმითი, ფან ნიკერკი, ვიზერი (2). 4გ: მიშალაკი (3), პინარი.

რეგბი

ვილი გენია დენ კარტერს გაექცა

რედსი პლეი ოფშია, ბლუზი რიგშია

ზე რაგბის გათამაშების მე-15 ტურში ყველა ლიდერმა მოიგო. ტურის ცენტრალური შეხვედრა ბრისბენში გაიმართა, სადაც A ჯგუფის ლიდერმა „რედსმა" ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვან გუნდს, B ჯგუფის მეორეადგილოსან ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს" უმასპინძლა და მინიმალური სხვაობით -17:16 მოიგო.

პირველ ტაიმში „ჯვაროსნებმა" უკეთესად ითამაშეს და 10:7 მოიგეს. შესვენების შემდეგ თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა, ხან ერთი ახერხებდა ანგარიშში დაწინაურებას ხან მეორე. გადამწყვეტი, გამარჯვების მომტანი საჯარიმო „წითლების" მგეზავმა **ქუადე კუპერმა** მატჩის ბოლო წუთზე გაიტანა.

ამ გამარჯვებეით ბრისბენელებმა A ჯგუფში პოზიცია კიდევ უფრო განიმტკიცეს, ისინი მეორეადგილოსან სიდნეის „ვორათაზს" 12 ქულით უსწრებენ.

ვორათაზელები თავის მხრივ, სტუმრად დამარცხდნენ ჩ ჯგუფის მეორეადგილოსან დურბანის „ნატალ შარქსთან" - 21:26. არადა ავსტრალიელები 51-ე წუთისთვის 21:13-ს იგებდნენ. შესანიშნავად ითამაშა მასპინძელთა მგეზავმა, მსოფლიოს ამომავალმა ვარსკვლავმა **პატრიკ ლამბიემ**, რომელმაც ერთი ლელო, ორი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო გაიტანა (21 ქულა).

C ჯგუფის ლიდერი კეიპთაუნის „სტორმერზი," სტუმრად A ჯგუფის მეოთხეადგილოსან კანბერის „ბრამბიზს" ეთამაშა, რომელიც აბსოლუტურად უმოტივაციოდაა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტოქეს უპრობლემოდ სძლია - 16:3.

ბრამბიზელებმა ანგარიში საჯარიმოთი მე-10 წუთზე გახსნეს და მას შემდეგ მონაგარს ვეღარაფერი შემატეს. „სტორმერზმა" მეთოდურად, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე 16 ქულა მოაგროვა და მორიგი, მეცამეტე გამარჯვება მიითვალა.

ბოლო ტურებში საკუთარ თამაშს მიაგნო შარშანდელმა ჩემპიონმა პრეტორიის „ბლუ ბულზმა", რომელმაც მე-15 ტურში შინ დაამარცხა ბლუმფონტეინის „ჩიტაზი" - 32:21. „ლურჯმა ხარებმა" პირველი ნახევარი მშრალი ანგარიშით - 11:0 მოიგეს. შესვენების შემდეგ მათი უპირატესობა კიდევ უფრო თვალსჩინო გახდა.

პრეტორიელებმა სტუმრებს ოთხი ლელო გაუტანეს, აქედან ორი მეორეხაზელი **დენი როსუს** ანგარიშზეა, რომელიც თამაშში 48-ე წუთიდან ჩაერთო. მგეზავმა მორნი სტეინმა სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანა - 12 ქულა.

„ბლუ ბულზი" 45 ქულით ჩ ჯგუფში მესამე ადგილზეა და მომდევნო ტურში A ჯგუფის მეორეადგილოსან სიდნეის „ვორათაზს" უმასპინძლებს. ამ მატჩს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, გამარჯვების შემთხვევაში, პრეტორიელები სიდნეელებს საერთო ჩათვლაში გაუსწრებენ.

რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტურით ადრე პლეი ოფში თამაშის უფლება, ფაქტობრივად, ერთ გუნდს, ბრისბენის „რედსს" აქვს განაღდებული. „წითლები" მომდევნო ტურში შინ ეთამაშებიან სრულიად უმოტივაციო „ბრამბიზს" და, სავარაუდოდ, ქულათა მონაგარს გაზრდიან.

„რედსს" კვალში მიჰყვება ოქლენდის „ბლუზი", რომელიც B ჯგუფში 54 ქულით ლიდერობს. ოქლენდელები მე-15 ტურში ისვენებდნენ. მომდევნო ტურში კი შინ მიიღებენ ამავე ჯგუფის მეოთხეადგილოსან ჰემილთონის „ჩიფსს". გამარჯვების შემთხვევაში „ბლუზი" პლეი ოფში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

მესამე, ვინც ასევე ახლოსაა პლეი ოფთან, კეიპთაუნის „სტორმერზია". ეს სამხრეთაფრიკული გუნდი მომდევნო ტურში სტუმრად ითამაშებს დებიუტანტ „მელბურნ რებლზთან".

XV ტური

A ჯგუფი

ბრამბიზი-სტორმერზი 3:16, რედსი-კრუსეიდერზი 17:16

საბურნირო მდგომარეობა

1. რედსი - 58 ქულა, 2. ვორათაზი - 46, 3. ფორსი - 28, 4. ბრამბიზი - 24, 5. მელბურნ რებლზი - 23.

XVI ტური

მელბურნ რებლზი-სტორმერზი, რედსი-ბრამბიზი

B ჯგუფი

ჰარიკენზი-ფორსი 34:28, ჰაილენდერზი-ლაიონზი 22:26,

საბურნირო მდგომარეობა

1. ბლუზი - 54 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 48, 3. ჰაილენდერზი - 44, 4. ჩიფსი - 34, 5. ჰარიკენზი - 34.

XVI ტური

ჰაილენდრზი-ფორსი, ჰარიკენზი-ლაიონზი, ბლუზი-ჩიფსი

C ჯგუფი

ნატალ შარქსი-ვორათაზი 26:21, ბლუ ბულზი-ჩიტაზი 32:21

საბურნირო მდგომარეობა

1. სტორმერზი - 52 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 47, 3. ბლუ ბულზი - 45, 4. ჩიტაზი - 34, 5. ლაიონზი - 23.

საბურნირო მდგომარეობა

ბლუ ბულზი-ვორათაზი, ჩიტაზი-ნატალ შარქსი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy-gov-ge

● ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა



გაელ მონფილსი

ჯოკოვიჩი უკვე ნახევარფინალშია

გუშინ, როლან გაროსზე მერვედფინალური ეტაპი სრულდებოდა. მამაკაცებს შორის უნდა გამართულიყო ბადის ზედა ნაწილში დაგეგმილი ოთხი შეხვედრა და ამასთან, დასამთავრებელი იყო წინადღეს გადადებული მატჩი **გაელ მონფილსსა** და **დავიდ ფერერს** შორის.

თუმცა გუშინვე მოულოდნელად ერთი ნახევარფინალისტის ვინაობაც შეიტყვეთ. **ნოვაკ ჯოკოვიჩი** თავისი ფენომენარული თამაშით ისედაც უპრობლემოდ მიიწევს წინ, ახლა კი მას იღბალიც დაეხმარა. კერძოდ, მეოთხედფინალში მისმა მეტოქემ **ფაბიო ფონინიმ** ორგანიზატორებს აცნობა, რომ მეოთხე წრეში ესპანელ **ალბერტ მონტანიესთან** მატჩში ბარძაყის ტრავმა მიიღო და ექიმების რჩევით ვადაზე ადრე გამოეთხოვა როლან გაროსს. ჯოკოვიჩისა და ფონინის მეოთხედფინალი დღეს უნდა გამართულიყო. ასე უბრძოლველად გავიდა სერბი საუკეთესო ოთხეულში და ამით ზედმეტი დასვენების დღე მიიღო, რაც ნამდვილად არ აწყენს.

ძალიან დრამატული ფინალი ჰქონდა წინადღეს სიბნელის გამო გადადებულ შეხვედრას ფრანგ მონფილსსა და ესპანელ ფერერს შორის. მატჩი მაშინ შეწყდა, როცა გაელი სეტებში 2:1-ს იგებდა, მაგრამ მეოთხე პარტიაში 0:2 იყო ჩამორჩენილი. ეს სეტი ესპანელმა იოლად - 6:1 მოიგო და დაინიშნა გადამწყვეტი მეხუთე პარტია.

წინა სეტში ჩავარდნას ფრანგზე არ უმოქმედია. ის მეცხრე გეიმამდე ბრეიკით იგებდა და მატჩზე ჩაწოდების უფლებაც მიიღო, მაგრამ აქ ფერერმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და დაკარგული მოწოდება დაიბრუნა. გადამწყვეტი აღმოჩნდა მე-14 გეიმი დავიდის მოწოდებაზე, როცა მონფილსმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო და პირველივე ცდიდან წერტილი დაუსვა შეხვედრას.

თამაში 4 საათსა და 7 წუთს გაგრძელდა. ესპანელმა ათიდან რვა ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, იმ დროს, როცა ფრანგმა 22 შანსიდან მხოლოდ შვიდჯერ იხეირა. აღსანიშნავია, რომ მონფილსს სამიდან სამი მოგება აქვს ფერერის წინააღმდეგ. მეოთხედფინალში გაელის მეტოქე ტურნირის მესამე ნომერი **როჯერ ფედერერი** იქნება, რომელსაც ჯერ სეტი არა აქვს წაგებული.

მამაკაცთა ბადეს შემორჩენილი ერთადერთი არაევროპელია არგენტინელი **ხუან-იგნასიო ჩელა**, რომელმაც გუშინ ასევე ხუთსეტიან მარათონში მოუგო თანაკონტინენტელ **ალეხანდრო ფალას**. თითქმის ოთხსაათიან მატჩში კოლუმბიელი ახლოს იყო გამარჯვებასთან. ფალა სეტებში 2:1-ს იგებდა და მეოთხე სეტში ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა საქმე, მაგრამ იქ მინიმალური უპირატესობა ჩელას ჰქონდა - 7:5 შემოკლებულ გეიმში. ამის შემდეგ კოლუმბიელის თამაში მოიშალა და არგენტინელს ბოლო სეტში პრობლემა აღარ შეჰქმნია - 6:2. ჩელამ გაიმეორა „დიდი სლემის" ტურნირებზე თავისი საუკეთესო შედეგი - 2004 წელს როლან გაროსზე და 2007 წელს აშშ-ის ღია პირველობაზე მან ასევე მეოთხედფინალში ითამაშა.

როლან გაროსზე თავისი 43-ე შეხვედრა ჩაატარა და 42-ე გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა**. მართალია, ესპანელმა სამ სეტში მოუგო ხორვატ **ივან ლუბიჩიჩს**, მაგრამ იოლი გასეირნება ნამდვილად არ ჰქონია. შეხვედრა ორსაათ-ნახევარს გაგრძელდა და ვეტერანი ლუბიჩიჩი მთელ რიგ ეპიზოდებში დიდ წინააღმდეგობას უწევდა „გრუნტის მეფეს".

პირველ წრეში **ჯონ ისნერთან** ხუთსეტიანი მატჩში შემდეგ ნადალმა სამი შეხვედრა ისე ჩაატარა, რომ სეტი არ წაუგია. მეოთხედფინალში მას სწორედ იმ ჩოგბურთელთან ელის შეხვედრა, ვისთანაც როლან გაროსზე ერთადერთი შეხვედრა აქვს წაგებული. ეს არის შვედი **რობინ სიოდერლინგი**.

სკანდინავიელი ნადალზე არანაკლებ კარგ ფორმაში იმყოფება. გუშინ მან მოულოდნელად ძალიან იოლად დაამარცხა მასპინძელი **ჟილ სიმონი**. ბოლო ორ როლან გაროსის ფინალისტს მხოლოდ ბოლო სეტში შეექმნა მცირე პრობლემა, როცა ბრეიკით იგებდა პარტიას, მაგრამ საბოლოოდ ტაი-ბრეიკზე მოუწია მეოთხედფინალის საგზურის გაფორმებამ.

■ ■ ■

გუშინ ქალებს შორის პირველ შეხვედრაში ჩინელი **ნა ლი** ჩეხ **პეტრა კვიტოვას** ხვდებოდა და ბეწვზე გადაურჩა დამარცხებას. პირველ სეტში ევროპელმა მხოლოდ ორი გეიმი დათმო. თავის მხრივ, ჩინელმა მეორე პარტიაში ერთადერთი გეიმი წააგო. მესამე სეტში ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ კვიტოვას იოლად უნდა გაეფორმებინა გამარჯვება, მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა 3:0-ით დანინაურების შემდეგ თამაშს უკლო, რითაც კარგად ისარგებლა ლიმ - მან ზედიზედ ექვსი გეიმი აიღო და თითქმის წაგებული შეხვედრა გადაარჩინა.

ნა ლის მეტოქე მეოთხედფინალში **ვიქტორია აზარენკა** იქნება. როგორც მოსალოდნელი იყო, ბელარუსს პრობლემა არ ჰქონია რუს **ეკატერინა მაკაროვასთან** დაპირისპირებაში.

ქაცები

1/8 ფინალი

რაფაელ ნადალი (1)-ივან ლუბიჩიჩი (ხორ) 7:5, 6:3, 6:3; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5)**-ჟილ სიმონი (საფ, 18) 6:2, 6:3, 7:6; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 4:6, 6:2, 1:6, 7:6, 6:2; **გაელ მონფილსი (საფ, 9)**-დავიდ ფერერი (ესპ, 7) 6:4, 2:6, 7:5, 1:6, 8:6; ენდი მიურეი (ბრიტ, 4)-ვიქტორ ტროიკი (სერ, 15) 4:6, 4:6, 6:3, 6:2 (შეწყდა).

ქალები

1/8 ფინალი

ნა ლი (ჩინ, 6)-პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 9) 2:6, 6:1, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბელრ, 4)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:2, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 7)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12) 7:6, 7:5; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 15)**-მარია კირილენკო (რუს, 25) 6:2, 2:6, 6:4.

● ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

ასეთი კონტადორი არ გვინახავს



ალბერტო კონტადორი

როგორც მოსალოდნელი იყო, რიგით 94-ე ჯირო დ'იტალია თანამედროვეობის საუკეთესო ველომრბოლის **ალბერტო კონტადორის** ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ესპანელმა კარიერაში მეექვსე გრანდ-ტური მოიგო. სხვათა შორის ალბერტო 2007 წლის შემდეგ არ მარცხდება არც ერთი პრესტიჟულ ველორბოლაში, რომელშიც მონაწილეობა მიუღია.

ჯიროს დაწყების წინ კონტადორი არც ისე სახარბიელო სიტუაციაში იმყოფებოდა - დოპინგსკანდალი, ურთულესი სამთო მარშრუტი და არც ისე დამაჯერებელი გამარჯვება ბოლო ტურ დე ფრანსზე. ეს ნაწილია იმ მიზეზებისა, რის გამოც ეჭვი ეპარებოდათ ესპანელის ფავორიტობაში.

შარშანდელი დოპინგსკანდალი რომ არა, შესაძლოა, ვერ გვეხილა ამ ჯიროზე ესპანელის ასეთი ფანტასტიკური გამოსვლა. როგორც ჩანს, ალბერტო ძალიან გაუბრაზდა ველოსპორტის სამყაროს და გადაწყვიტა მაქსიმალურად ეფექტურად დაემტკიცებინა თავისი პირველობა ტრასაზე. ბოლოს გრანდ-ტურის გენერალურ კლასიფიკაციაში ექვსწუთიანი უპირატესობა **ივან ბასმ** დააფიქსირა 2006 წლის ჯიროზე. სწორედ იმ წელს დაიწყო შედეგიანი ბრძოლა ერითროპოეტინის მასიური მოხმარების წინააღმდეგ.

ბოლო დროს გრანდ-ტურებზე მოდაშია ფრთხილი ტაქტიკა, როცა ფავორიტები არ ცდილობენ ყოველ ეტაპზე შეტევას, ერთმანეთის შეტევებს სდარაჯობენ და გენერალური კლასიფიკაციის ძვირფას წამებს ითვლიან. ამის მაგალითი გახდა 2010 წლის ტურ დე ფრანსი, როცა კონტადორი და ლუქსემბურგელი **ანდი შლეკი** მთელი ველომარათონი გვერდიგვერდ მიდიოდნენ და საბოლოოდ მათ შორის სხვაობამ წუთზე ნაკლები შეადგინა - ზუსტად იმდენი, რამდენიც შლეკმა ერთ-ერთ ეტაპზე ველოსიპედის მწყობრიდან გამოსვლის გამო დაკარგა.

წლევანდელ ჯიროზე ბოლო წლებში ერთ-ერთი უძლიერესი შემადგენლობა შეიკრიბა და სწორედ აქ ვიხილეთ ის კონტადორი, რომელმაც ორი წლის წინ დაამსხვრია ლეგენდარული **ლენს არმსტრონგის** უძლეველობის მითი. შესაძლოა, წლევანდელი კონტადორი მაშინდელზე უკეთესიც იყო. ესპანელმა მორიგი ტრიუმფისკენ სვლა არასამთო ეტაპზე მოულოდნელი და გაუგებარი შეტევით დაიწყო და ვულკან ეტნაზე დამცინავ სტილში გამარჯვებით გააგრძელა. გუნდის მხრიდან არც ისე ძლიერი მხარდაჭერის მიუხედავად, ის ყოველი ეტაპის მსვლელობას აკონტროლებდა, ტემპს უმატებდა ისეთ სიტუაციებშიც, როცა მეტოქეები ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარზე იყვნენ. ალბერტო კეთილშობილურ ჟესტებსაც მიმართავდა. მაგალითად, მასთან ერთად გაქცეულ **ხოსე რუხანოს** მოაგებინა ეტაპი გროსგლოკნერზე, მე-19 ეტაპზე კი დიდი ხნის ოცნება აასრულებინა ძველ მეგობარ **პაოლო ტირალონგოს**. ბოლო ეტაპზეც კი (დროზე ინდივიდუალური რბოლა) ესპანელმა ყველა კონკურენტი დაამარცხა, არადა ფინიშამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო გამარჯვების აღნიშვნა და ნახევარი ძალით მოძრაობდა.

კონტადორის ბრწყინვალე ფონზე დაიკარგა ჯიროს კიდევ ერთი გმირი **მიკელე სკარპონი**, ერთადერთი ადამიანი პელოტონში, რომელმაც მთებში ბრძოლა გამოუცხადა ესპანელს. მართალია, ამ კონტრშეტევამ იტალიელს ცუდი სამსახური გაუწია, მან მაინც მიაღწია კარიერაში საუკეთესო შედეგს, როცა გენერალური კლასიფიკაციის მეორე პოზიციაზე აღმოჩნდა. სკარპონისგან განსხვავებით, **ვინჩენცო ნიბალიმ** ვერ გაამართლა იმედები და ისევე როგორც შარშან, ჯირო მესამე ადგილზე დაასრულა. არადა, იტალიელი წელს პირველად მოგვევლინა გუნდის ლიდერად. შარშანდელი ჯიროსგან განსხვავება ის იყო, რომ მაშინ ვინჩენცო პრეტენზიას არ აცხადებდა პოდიუმზე და ივან ბასოს დამხმარე იყო, ახლა კი ბოლო კვირამდე გამარჯვების იმედი ჰქონდა.

ნამდვილ სენსაციად უნდა მოინათლოს **ჯონ გარდეს** მეოთხე ადგილი. ფრანგმა საკმაოდ გვიან, 25 წლის ასაკში მიიღო პროფესიული მრბოლელის სტატუსი და ბოლო წლებში ახლოსაც არ ყოფილა ფავორიტებთან, ამჯერად კი თითქმის სამი კვირის განმავლობაში ტოლსწორად ებრძოლა ლიდერებს. უნდა აღვნიშნოთ ვენესუელელი ხოსე რუხანო - მან ეტაპი მოიგო და მთებში რამდენიმე ბრწყინვალე შეტევა განახორციელა, რომელსაც გაჭირვებით უძლებდა კონტადორი.

წლევანდელ ჯიროზე ბევრ ბრწყინვალე მომენტს ხაზი გადაუსვა 9 მაისს მომხდარმა ტრაგედიამ, როცა დაშვებისას დაილუპა ლუქსემბურგული „ლეოპარდის" ბელგიელი წევრი **ვოუტერ ვეილანდტი**. ეს ტრაგედია სიგნალი იყო რბოლის ორგანიზატორებისთვის, რომლებიც სანახაობრივი მხარის ამაღლების გამო, ხშირად ყოველგვარ საღ აზრს უგულებელყოფენ. საბედნიეროდ, მე-14 ეტაპზე გააუქმეს მთა კროსტისიდან მეტად სახიფათო დაშვება, ხოლო დაღუპული ვეილანდტის 108-ე ნომერი სამუდამოდ ამოიღეს ხმარებიდან.

XXI ეტაპი

1. **მილარი** (ბრიტ, Garmin) - 30,13; 2. **რასმუსენი** (დან, Saxo Bank) - +0,07; 3. კონტადორი (ესპ, Saxo Bank) - +0,36; 4. პორტი (ავსტრა, Saxo Bank) - +0,43; 5. პოპოვიჩი (უკრ, RadioShack) - +0,55; 6. **ვან ემდენი** (ჰოლ, Rabobank) - +1,02...

საერთო ჩათვლა

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, „საქსობანკი") - 84:05.14; 2. **მიკელე სკარპონი** (იტა, „ლამპრე") - +6.10; 3. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, „ლიკვიგასი") - +6.56; 4. **ჯონ გარდე** (საფ, „აჟე2ვ) - +10.04; 5. **ხოაკინ როდრიგესი** (ესპ, „კატუშა") - +11.05; 6. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, „ასტანა") - +11.28...

● მძლეოსნობა

ოსკარი არ ნებდება

ოსკარ პისტორიუსი

კვლავ მოექცა ყურადღების ცენტრში ცნობილი პარალიმპიელი ათლეტი, სამხრეთაფრიკელი **ოსკარ პისტორიუსი**. 400 მეტრზე მორბენალმა, რომელსაც ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს, მანჩესტერში პარალიმპიური მსოფლიოს თასის ეტაპზე მიიღო მონაწილეობა და ტურნირის რეკორდი დაამყარა.

ოსკარმა 400 მეტრი 47,27 წამში დაფარა. როგორც ვთქვით, ეს ტურნირის რეკორდია, მაგრამ ამ შედეგით პისტორიუსი ვერ მოხვდება ჯანმრთელი ათლეტების მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც წელს ტეგუში გაიმართება.

ამ სეზონში სამხრეთაფრიკელმა უკვე შეასრულა B ნორმატივი. მან სამშობლოში 400 მეტრი 45,61 წამში გაირბინა, რაც პისტორიუსს „ბრილიანტის ლიგის" ეტაპებზე გამოსვლის უფლებას აძლევს. მაგრამ ოსკარის მთავარი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატია, ამისთვის კი მას A ნორმატივი აქვს ჩასაბარებელი. კერძოდ, საყვარელი დისტანცია 45,25 წამში უნდა დაფაროს. ამ შედეგის დასაფიქსირებლად პისტორიუსს კიდევ სამი სტარტი რჩება - ოსტრავა, პორტლენდი და ნიუ-იორკი.

„ეს წელი გადამწყვეტია ჩემთვის. აუცილებლად უნდა შევასრულო A ნორმატივი იმისთვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება მივიღო. მომდევნო სამი სტარტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია", - განაცხადა ოსკარმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ოთხთა ფინალი

ბარსა ხელბურთშიც პირველია

ბარსელონას ტრიუმფი

საფეხბურთო ჩემპიონთა ლიგის ფინალიდან ერთი დღისთავზე ხელბურთში ანალოგიური ტურნირი ასევე „ბარსელონას“ გამარჯვებით დასრულდა. გერმანიის ქალაქ კიოლნში გამართული „ოთხთა ფინალის“ გადამწყვეტ მატჩში ესპანური დერბი შედგა - „ბარსელონა“ „სიუდად რეალის“ წინააღმდეგ.

წელს კატალონიელებმა შეწყვიტეს „სიუდადის“ ოთხწლიანი ჰეგემონია და ესპანეთის ჩემპიონატი მოიგეს. თუმცა „სამეფო კლუბს“ ამ მარცხისთვის ჩემპიონთა ლიგაზე შეეძლო რევანშის აღება. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ „სიუდადმა“ ბოლო ორი კვირის განმავლობაში მეორე ფინალი ნააგო: მანამდე მან მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი დათმო „კილთან“.

ფინალის სტარტი ძალიან საინტერესო და დამაინტრიგებელი გამოვიდა. „ბარსელონა“ წინ გაიჭრა (2:0), მაგრამ **ჩემა როდრიგესზე** უხეშობისთვის მოედნიდან მიაბრძანეს **ნადი**. ორი წუთი რიცხობრივი უპირატესობა „სიუდადმა“ სრულად გამოიყენა და პირველად დაწინაურდა - 3:2. გუნდებმა გოლები გაცვალეს, შემდეგ იყო **სერგეი რუტენკოს** ორი ბრწყინვალე პასი და 5:4 „ბარსელონას“ სასარგებლოდ.

ბურთი-ბურთზე თამაში მე-16 წუთამდე მიდიოდა. რუტენკომ ისევ წინ გაიყვანა კატალონიელები, ბელარუსს ხბარი აუბა **სარიჩმა**, როცა საპასუხო შეტევაში **ლაზაროვის** შვიდმეტრიანი მოიგერია. „ბარსამ“ იქვე გაიტანა - 9:7. **ტალანტ დუიშებაევის** გუნდმა მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, თუმცა 24 წუთისთვის „ბარსელონას“ უპირატესობა ისევ ორ ბურთამდე გაიზარდა. ეს გაქცევა კატალონიელთა მეკარის სარიჩის დამსახურება იყო, რომელმაც თავის ვიზავის **ომბრადოსს** გაუტანა. ამ უკანასკნელს შორეულ 1994 წელს აქვს მოგებული ჩემპიონთა ლიგა, თანაც თავის ამჟამინდელ მწვრთნელთან ერთად - ომბრადოსი და დუიშებაევი „სანტანდერში“ თამაშობდნენ.

„სიუდადის“ მეკარე (სხვათა შორის, არაძირითადი, რადგან პირველი ნომერი, მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშემ **არპად შრებიკმა** ნახევარფინალში მიიღო ტრავმა) შემდეგ შეტევაში ერთი-ერთზე გასვლას გაუმკლავდა, მაგრამ **იგროპულოს** ნასროლი აუღებელთა კატეგორიიდან იყო - 13:10. სარიჩის ორი სეივი **პარონდოს** ორი დარტყმის (ერთ პენალტი) შემდეგ და ანგარიში „რეალისთვის“ საგანგაშო გახდა - 10:14. დუიშებაევს ბოლო წუთზე ტაიმაუტის აღებამ მოუწია. აღსანიშნავია, რომ ბოსნიელმა სარიჩმა პირველ ტაიმში 21-დან 11 დარტყმა მოიგერია.

მეორე ტაიმში ანგარიში „ბარსელონამ“ გახსნა, მისი გოლკიპერი კი აგრძელებდა სასწაულებს. ამას დაემატა „სიუდადის“ არჩათვლილი გოლი, რამაც დუიშებაევის აქტიური პროტესტი გამოიწვია. „რეალს“ ვერც იგროპულოს გაძევებამ უშველა. რიცხობრივმა უპირატესობამ „სამეფო კლუბს“ ბევრი ვერაფერი მისცა და როგორც კი შემადგენლობები გათანაბრდა, ლამაზი გოლი გაიტანა რუტენკომ - 16:12. საპასუხო შეტევა და მსაჯებმა ისევ გააუქმეს „სიუდადის“ გოლი.

მე-40 წუთზე, როცა **აბალომ** ბოლოს და ბოლოს წესების დაცვით გაიტანა, „ბარსელონამ“ ზედიზედ ხუთი გოლით უპასუხა - 19:13. 45-ე წუთისთვის კატალონიელთა თამაში ნამდვილ ბენეფისად იქცა. „ბარსას“ მარჯვენა გარემარბის **როკას კომასის** გოლმა, რომელიც ულამაზესი „მარაოს“ გათამაშების შემდეგ გავიდა, ესპანეთის ჩემპიონის შვიდბურთიანი უპირატესობა დააფიქსირა. იყო მომენტი 48-ე წუთზე, როცა ლაზაროვის გოლის შემდეგ „სიუდადს“ თამაშის გადარჩენის შანსი გაუჩნდა, მაგრამ როგორც კი მოედნიდან გააძევეს **დინარტი**, **ნოდესბომ** მაშინვე გაუტანა ომბრადოსს.

ბოლოს „სიუდადის“ მოთამაშეები ჩქარობდნენ, მთლიანად ინდივიდუალურ მოქმედებაზე გადავიდნენ, მათი მეტოქე კი აგრძელებდა ფანტასტიკური კომბინაციების გათამაშებას. გასაკვირი არ არის, რომ 53-ე წუთისთვის ინტრიგა უკვე აღარ არსებობდა - 26:19. ხანდახან „ბარსას“ ხელბურთელები თავს მოდუნების უფლებას აძლევდნენ და ამ დროს სარიჩი ერთვებოდა თამაშში. როგორც კი 56-ე წუთზე **იურკევიჩმა** ანგარიში შეამცირა (26:21), იქვე კატალონიელთა გოლკიპერმა იმავე პოლონელის დარტყმული მორიგი უბრწყინვალესი სეივით გააუვნება.

საბოლოო სამბურთიანმა სხვაობამ არ უნდა დაგაბნიოთ. უბრალოდ, „ბარსელონამ“ მოედანზევე ნაადრევად დაინყო გამარჯვების აღნიშვნა.

ფინალი

ბარსელონა-სიუდად რეალი 27:24

ბარსელონა: სერიჩი (1); გარსია (3), რუტენკო (3), ტომაში (3), ენტრერიოსი (3), ნოდესბო (8), როკას კომასი (2), ნადი (1), უგალდე გარსია (1), სორხაინდო (1), სარმიენტო (1), იგროპულო (1).

სიუდადი: ომბრადოსი - კალმანი (1), აგუინაგალდე (1), პარონდო (1), აბალო (3), ენტრერიოს როდრიგესი (4), კანელასი (2), იურკევიჩი (5), ჩემა როდრიგესი (2), ლაზაროვი (5).

■ ■ ■

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშება ჩააგდეს გერმანულმა კლუბებმა. შარშანდელმა ჩემპიონმა „კილმა“ მეოთხედფინალში ნააგო „ბარსელონასთან“. თითქოს ამ გუნდის ადგილი „ჰამბურგს“ უნდა დაეკავებინა. წელს სწორედ ჰამბურგელებმა შეწყვიტეს „კილის“ ექვსწლიანი ბატონობა ბუნდესლიგაში. მაგრამ გერმანიის ჩემპიონს მხოლოდ მე-3 ადგილისთვის მატჩში მოუწია თამაშმა ბუნდესლიგის მეოთხე კლუბ „რაინ-ნეკართან“. „ჰამბურგი“ მთელი შეხვედრა წინ იყო და ორი ბურთის სხვაობით გაიმარჯვა.

მე-3 ადგილისთვის

ჰამბურგი-რაინ ნეკარი 33:31

ჰამბურგი: კრაუსი (2), შრიოდერი (5), დუვნიაკი (2), იანსენი (3), ვორი (5), ჟილი (6), კ. ლიევსი (4), მ. ლიევსკი (1), ჰენსი (3).

რაინ ნეკარი: გენშეიმერი (3), ბელეტკი (2), კუპიჩი (2), სტეფანსონი (7), სესუმი (5), მირჰოლი (5), გროეტკი (1), მიულერი (1), ტკაჩუკი (3), სიგურდსონი (2).

■ ■ ■

ამიერიდან ესპანურ კლუბებს 14 გამარჯვება აქვთ ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირზე. გერმანელებზე 12 ტრიუმფი მოდის, მესამე ადგილზე კი 4 ტიტულით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაა, რომელმაც 20 წლის წინ შეწყვიტა არსებობა. სამ-სამჯერ აქვთ მოგებული თასი ხორვატიის, რუმინეთის, ჩეხეთისა და ბელარუსის კლუბებს. თუმცა მინსკის სკა-ს ტრიუმფი უფრო სსრკ-ს უნდა მივაკუთვნოთ.

ჩემპიონთა თასის ყველაზე ტიტულოვანი კლუბების სია ასე გამოიყურება:

ბარსელონა (ესპანეთი) - 8 ტიტული (1991, 1996, 1997, 1998, 1999, 2000, 2005, 2011);

გუმერსბახი (გერმანია) - 5 (1967, 1970, 1971, 1974, 1983);

სიუდადი რეალი (ესპანეთი) - 3 (2006, 2008, 2009);

სკა მინსკი (სსრკ) - 3 (1987, 1989, 1990);

მაგდებურგი (გერმანია) - 3 (1978, 1981, 2002).

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მაჯრი

Under 21

ისრაელი-უზბეკეთი	0:2
ჰოლანდია-ალბანეთი	5:0

ინგლისი

ჩემპიონშიფი

რიდინგი-სუონსი	2:4

ნორვეგია

ოდ გრენლანდი-რუსენბორგი	3:3

შვედეთი

II დივიზიონი

იონჩოპინგი-ლანდსკრონა	0:2
კვიდინგი-ბრაგე	1:2

ფინეთი

ჰაკა-როვანიემი	2:0
კუოპიო-ჰონკა	0:2
ტურკუ-მიუპა	2:1

II დივიზიონი

პოპა-ლაჰტი	1:4

ირლანდია

დერი-გალვეი	6:0
დროგედა-ბრეი	0:1
სლიგო-დარდალკი	1:0
უნივერსიტეტ-ეტ-პატრიკი	1:3
შემროკი-ბოჰემიანსი	1:0

II დივიზიონი

ეთლონი-სოლტჰილი	2:0
ლიმერიკი-კორკი	0:0
მერვუ-ლონგფორდი	2:1
მონეგანი-ფინ ჰარპსი	1:0
უეტსფორდი-შელბურნი	0:1

ისლანდია

ფილკირი-კეფლავიკი	2:1
ჰაფნარი-სტიარნანი	3:0
გრინდავიკი-ტორი	4:1

რუსეთი

ამკარი-ვოლგა	1:0

II დივიზიონი

ალანია-ხიმკი	1:1

არგენტინა

ლანუსი-ურაკანი	3:0

კალათბურთი

იტალია

კანტუ-მილანი	62:48

თურქეთი

გალათასარაი-ბანვითი	73:61

● TV პროგრამა

31 მაისი. სამშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. ოლიმპო-რივერ პლეიტი.
12:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. კრუზეირო-პალმეირასი.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-პსჟ.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-რენი.
19:00 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
20:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-სანტოსი.
22:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპის ლიგის პლეი ოფი. ფინალი. გრონინგენი-დენ ჰააგი. საპასუხო მატჩი.

GMG-სპორტი

10:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. V მატჩი.
12:20 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. მიმოხილვა.
13:10 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. X დღე. პარიზი (LIVE).
23:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. V მატჩი.
05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. პირველი მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

18:45 კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ცსკა-ლოკომოტივი. პირველი მატჩი (LIVE).
05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. პირველი მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

18:55 კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. უნიქსი-ხიმკი. პირველი მატჩი (LIVE).

EUROSPORT

16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. 1/4 ფინალი. პარიზი (LIVE).

EUROSPORT-2

16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. 1/4 ფინალი. პარიზი (LIVE).

● ჰოკეი

კროსბი ისევ შერყეულია


სიდნი კროსბი

კანადური ჰოკეის მთავარი ვარსკვლავის, „პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტნის **სიდნი კროსბის** პრობლემები გრძელდება. ამ ფორვარდს ტვინის შერყევის გამო იანვრის დასაწყისიდან არ უთამაშია. უახლოეს დღეებში კროსბიმ მორიგი სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს და საბოლოოდ გაარკვიოს, როდის შეძლებს ახალი სეზონისთვის მზადების დაწყებას. სიდნის დღემდე არ მიუღია ექიმებისგან ყინულზე გასვლის ნებართვა. ამ დროს განმავლობაში მან მხოლოდ ერთი მსუბუქი ვარჯიში ჩაატარა და ისევ ცუდად იგრძნო თავი.

ამასობაში, „პიტსბურგის“ ბანაკიდან კიდევ ერთი ამბავი ვრცელდება: დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ თავდამსხმელები - **მაიკ კომრი** და **ალექსეი კოვალიოვი** ამ ზაფხულს დატოვებენ კლუბს. „პინგვინზის“ ხელმძღვანელობამ 38 წლის კოვალიოვი სწორედ კროსბის შესაცვლელად დაიმატა სეზონის მსვლელობისას, მაგრამ 20 ჩატარებულ შეხვედრაში ვეტერანმა ფორვარდმა მხოლოდ 7 ქულა (2+5) დააგროვა.


ბილ როიკროფტი

ლეგენდა გარდაიცვალა

ავსტრალიაში 96 წლის ასაკში გარდაიცვალა უნიკალური სპორტსმენი, რომის 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **ბილ როიკროფტი**. სიკვდილის მომენტში ის ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური ჩემპიონი იყო მათგან, ვინც ავსტრალიაში ცხოვრობდა.

რომის თამაშების ოქრო როიკროფტმა 46 წლის ასაკში საცხენოსნო სპორტში მოიპოვა, თანაც იმ მედალზე დღემდე ლეგენდები დადის. საქმე ისაა, რომ შეჯიბრების დროის როიკროფტმა სერიოზული ტრავმები მიიღო, მაგრამ მაინც გავიდა ტრასაზე, დისტანცია ბოლომდე სუფთად გაიარა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

როიკროფტი ავსტრალიაში უნიკალური მიღწევის მფლობელია - ის ზედიზედ ხუთ ოლიმპიადაზე გამოდიოდა. ლეგენდარული ცხენოსანი კიდევ იმით არის ცნობილი, რომ ორჯერ მოიპოვა ზაფხულის თამაშების ბრინჯაოს მედალი (1968 და 1976 წლებში) კონკურის გუნდურ ტურნირში. ამ შედეგის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ბილ როიკროფტი თავის სამ ვაჟთან - **ბარისთან, უეინთან** და **კლარკთან** ერთად გამოდიოდა.

2000 წელს სიდნეის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე როიკროფტმა შვიდ სხვა ლეგენდარულ ავსტრალიელ სპორტსმენთან ერთად არენაზე გამოიტანა ოლიმპიური დროშა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ავტოსპორტი. ფორმულა 1

რა ვუყოთ, რომ შავი ვარ

მონაკოს გრან-პრის შემდეგ ტელეკომპანია BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში „მაკლარენის“ პილოტმა ლუის ჰემილტონმა კომენტარი გაუკეთა იმ ავარიებს, რომელიც მისი პროვოცირებული იყო. ბრიტანელის აგრესიული სტილის მსხვერპლნი გახდნენ ფელიპე მასა და პასტორ მალდონადო, რომლებმაც ფინიშამდე მისვლა ვერ შეძლეს. თუმცა თავად ჰემილტონი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს და რბოლის სტიუარდებს აკრიტიკებს...

- ლუის, ძალიან დატვირთული და წარუმატებელი დღე გამოვიდა. ისევ გამოგიძახეს სტიუარდებთან...

- ექვს რბოლაში ხუთჯერ დამიბარეს სტიუარდებთან. ეს რაღაც ხუმრობაა, სრულიად იდიოტური ხუმრობა.

- შეგიძლიათ კომენტარი გაუკეთოთ მასასა და მალდონადოს ავარიებს?

- მონაკოში გასწრება ძალიან რთულია, აქ იშვიათად იღებ შეტევის საშუალებას. მასაზე გაცილებით სწრაფი ვიყავი და მოსახვევში შიდა რადიუსით შევედი, მან კი ადრე დაიწყო მოხვევა. შევეცადე არ შევხებოდი მის მანქანას, თითქმის ტრასის მიღმა გადავედი, მაგრამ კონტაქტი მაინც მოხდა. როგორც ყოველთვის, ჯარიმა მე მივიღე. ის მაყოვნებდა კვალიფიკაციაში - მე დავისაჯე, გზა გადამილობა - სასჯელი ისევ მე გამომიწერეს.

რაც შეეხება მალდონადოს, მოსახვევის შიგნით ვიყავი. გამეორებაზე შეგიძლიათ ნახოთ, რომ მან ერთი კორპუსით ადრე დაიწყო მოხვევა, რათა ჩემთვის გასწრების საშუალება არ მოეცა. საბოლოოდ, ის დამეჯახა. სულელური ინციდენტი იყო.

- თქვენ თვლით, რომ სტიუარდები ძალიან ხშირად ამახვილებენ თქვენზე ყურადღებას. რატომ აკეთებენ ამას?

- იქნებ იმიტომ, რომ შავი ვარ (იცინის). არ ვიცი მიზეზი.

- ასეთი ეპიზოდები ამცირებს თქვენს თავდაჯერებას?

- არა, ამას ჩემს თავდაჯერებაზე არანაირი გავლენა არა აქვს. ეს სპორტია. ხალხს ბრძოლის ნახვა სურს, უფრო მეტი გასწრების ხილვა. და შენც ცდილობ გასწრებას, შოუს შექმნას. როცა ვგრძნობ, რომ შევცდი და ბრძოლაში ზედმეტად შევტოპე, პატიოსნად ვაღიარებ ამას, მაგრამ ამჯერად ასეთი რამ არ ყოფილა.

- რას მოიმოქმედებთ? იქნებ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან განიხილოთ სიტუაცია?

- აღბათ, ხმას არ ამოვიღებ და სიამოვნებას მივიღებ სეზონის დარჩენილი ნაწილით, რომელიც საინტერესო უნდა გამოვიდეს.

- არ მიგაჩნიათ, რომ ტიტულის მოპოვების შანსები თითქმის აღარ გაქვთ?

- არ ვიცი... ბრძოლა არასოდეს არის დაგვიანებული. რა თქმა უნდა, წამგებიან სიტუაციაში ვარ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ. მადლობა გუნდს - მან შესანიშნავად იმუშავა და ბოლო წრეების წინ მანქანა შეაკეთა. მინდა ბოდიში მოვუხადო გულშემატკივრებს ასეთი დაბალი შედეგის გამო. მომავალ რბოლაში მაქსიმუმს გავიღებ.

- თქვენი პიტსტოპის დროს რა მოხდა? თითქოს გუნდი მზად არ იყო თქვენს მისაღებად...

- მათ მითხრეს, რომ ბოქსებში უნდა შევსულიყავი და ამით ერთ კონკურენტს ჩამოვიცილებდი. შევედი, მაგრამ ყველაფერი სხვანაირად გამოვიდა.

- მოკლედ, არ იყო საუკეთესო უქმეები „მაკლარენისთვის“...

- ვფიქრობ, ასეთი უქმეები ჩვენს ხასიათს ამონმებს. ასეთი ეტაპებიც არსებობს. ეს სპორტია... უნდა დავივიწყოთ ეს უქმეები, დავმშვიდდეთ და მომავალში თავიდან ავიცილოთ პრობლემები.

P.S. მოგვიანებით, ამ ინტერვიუში საკუთარი კანის ფერის მოხსენიებისთვის ლუისს ბოდიშის მოხდამ მოუნია. „მაკლარენის“ პილოტმა განაცხადა, რომ აზრადაც არ მოსვლია მონაკოს გრან-პრის სტიუარდების რასიზმში დადანაშაულება, უბრალოდ ეს ცუდი ხუმრობა იყო.



ლუის ჰემილტონი

ავტოსპორტი. ინდი 500

ჰილდებრანდის დამტვრეული მანქანა

დებიუტანტის ტრაგედია

გასულ უქმეებზე ფორმულა 1-ის სამყარო და ამ სერიის გულშემატკივრები მონაკოს გრან-პრით ცხოვრობდნენ, ოკეანის გაღმა კი მონტე-კარლოს ქუჩებში გამართული ბატალიებისთვის არ ეცალათ - ინდიანაპოლისში მეასედ გაიმართა სახელგანთქმული რბოლა - „ინდი 500“.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ მოვყვებით 200-წრიანი რბოლის პერიპეტიების აღწერას და მხოლოდ დებიუტანტ **ჯეი-არ ჰილდებრანდის** ტრაგედიაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

თითქმის მთელი რბოლის განმავლობაში ლიდერის პოზიციაზე ერთმანეთს ცვლიდნენ **დონ უელდონი**, „ინდი 500“-ის შარშანდელი გამარჯვებული **დარიო ფრანკიტი, სკოტ დიქსონი** და პოულის მფლობელი **ალექს ტალიანი.**

ამ ოთხეულიდან პირველი ბრძოლას ტალიანი გამოეთიშა, რომელმაც კედელთან შეჯახება ვერ აიცილა თავიდან. შემდეგი იყო ფრანკიტი - მან გარისკა და ნაადრევად შევიდა ბოლო პიტსტოპზე საწვავის შესავსებად. მისი გუნდის - „გენასის“ მექანიკოსების გათვლით, საწვავი ფინიშამდე საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ გათვალეს და შოტლანდიელი ბრძოლას ჩამოცილდა.

ამ მხრივ ყველაზე სწორი გათვლა გააკეთა ჰილდებრანდმა. მას შემდეგ, რაც ყველა ლიდერმა დაგეგმილი პიტსტოპი შეასრულა, 23 წლის ამერიკელი სათავეში მოექცა რბოლას და წესით უპრობლემოდ უნდა მიეღწია გამარჯვებისთვის. მაგრამ აქ სასწაული მოხდა. ბოლო მოსახვევიდან გამოსვლისას ჰილდებრანდი მთელი ძალით შეასკდა კედელს. დამსხვრეულმა ბოლიდმა ინერციით განაგრძო სვლა ფინიშის ხაზისკენ, მაგრამ ბოლო ათ მეტრში მას „სალ-სალამათი“ უელდონი წამოეწია და გაიმარჯვა საიუბილეო რბოლაში. ჰილდებრანდმა კი მანქანიდან ამოსვლის შემდეგ ცრემლები ვერ შეიკავა...

რბოლის შედეგი

1. **დონ უელდონი** (Bryan Herta Autosport) - 200 წრე
2. **ჯეი-არ ჰილდებრანდი** (Panther Racing) - +2.1086
3. **მარკო რეპეტილი** (Chip Ganassi Racing) - +5.5949
4. **ტონი კანაანი** (KV Racing Technology) - +7.4870
5. **ორიოლ სერვია** (Newman/Haas Racing) - +8.8757
6. **სკოტ დიქსონი** (Chip Ganassi Racing) - +9.5434

ავტოსპორტი. რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

მორიგი საჩუქარი ლოებს

რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი ძალიან დრამატული ფინალით აღინიშნა. პირველობის რამდენიმე მონაწილემ ისევ გაუმართა ბრძოლა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ **სებასტიან ლოებს**, მაგრამ საერთო ჩათვლის ლიდერმა კვლავ პოდიუმის უმაღლესი საფეხური დაიკავა.

ბოლო დღის წინ პირველ პოზიციაზე „სიტროენის“ წევრი **სებასტიან ოჟიე** იმყოფებოდა. მას საკმაოდ კომფორტული ჰანდიკაპი ჰქონდა და თუ დარჩენილ კილომეტრებს უშეცდომოდ გაივლიდა, შეინარჩუნებდა თანაგუნდელ ლოებზე და „ფორდის“ პილოტ **მიკო ჰირვონენზე** უპირატესობას. არ გამოუვიდა.

პირველივე სპეცმონაკვეთზე ახალგაზრდა ფრანგი ძალიან ფართოდ შევიდა მოსახვევში და მისი ავტომობილი გადაბრუნდა. ლოებმა ეს სპეცმონაკვეთი უპრობლემოდ გაიარა, ჰირვონენს კი გამსკდარი საბურავის გამოცვლამ მოუწია. მაგრამ ეს მცირე ტექნიკური შეფერხება არაფერია ოჟიეს პრობლემებთან. რალის ბოლო დღეს სერვისპარკი არ მუშაობდა, ამიტომაც ფრანგმა თავისი ძალებით როგორღაც შეაკეთა „სიტროენი“ და ბრძოლა გააგრძელა.

შემდეგ ოთხკილომეტრიან სპეცმონაკვეთზე ლოებმა და ჰირვონენმა ლიდერს რვა წამი მოუგეს. ოჟიე ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პირველობას, მაგრამ მის მანქანას ტემპი თითქმის არ ჰქონდა და საბოლოოდ, ბოლო სპეცმონაკვეთზე ის უკვე მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა. თავის მხრივ, ლოებმა ჰირვონენს აჯობა და ამ სეზონში მესამე ეტაპის მოგება მოახერხა. სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინაში 2005 წლიდან არ მარცხდება.

ტრასაზე დაშვებული შეცდომის მიუხედავად, ოჟიე მხოლოდ ქულას იმსახურებს. სერიოზულად დაზიანებული მანქანის მიუხედავად, მან ლოებთან მხოლოდ 7.3 წამი წააგო, რაც მთავარია გაუძლო **პეტერ სოლბერგის** შეტევებს და მესამე პოზიცია შეინარჩუნა.

ამ ეტაპის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა ბრძოლა საერთო ჩათვლაში, სადაც 13-ქულიანი უპირატესობით ლოები ლიდერობს. ჰირვონენს, ოჟიესა და **იარი-მატი ლატვალას** არ დაუკარგავთ ჩემპიონობის შანსი. მათგან რომელი გაუმართავს ბრძოლას ლოებს, ამას უკვე 17 ივნისს შევიტყობთ, როცა ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპი - საბერძნეთის რალი აიღებს სტარტს.

სებასტიან ლოები არგენტინის რალიზე

VI ეტაპი. არგენტინის რალი

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 4:03.56,9; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - +2,4; 3. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - +7,3; 4. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - +32,6; 5. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - +5.16,8; 6. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი“) - +6.48,5; 7. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - +11.34,5; 8. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი“) - +13.32,7...

საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 126 ქულა; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 113; 3. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 96; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 74; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - 61; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტი“) - 48; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი“) - 28; 8. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი“) - 20; 9. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) - 18; 10. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - 10...

ავტოსპორტი. ნასკარი

კიმის ახალი მანქანა

კიმის მორიგი დებიუტი

ამერიკულ სარბოლო სერიებში მოგზაურობას აგრძელებს ფორმულა 1-ის ყოფილი ჩემპიონი **კიმი რაიკონენი.** ამჯერად ფინელს დებიუტი ჰქონდა ნასკარის სერიის „მეორე ლიგაში“ - Nationwide-ის სერიაში. მანამდე კიმიმ ძალები მოსინჯა პიკაპების რბოლაში და მიღებული გამოცდილებით აღფრთოვანებული დარჩა. Nationwide უფრო სერიოზული რბოლაა და შარლოტში გამართულ შეჯიბრებაში სკანდინავიელმა 27-ე ადგილი დაიკავა.

რაიკონენმა კვალიფიკაციაში 45 მონაწილიდან 22-ე შედეგი აჩვენა. უშუალოდ რბოლის დროს მან ერთხელ მე-15 პოზიციაზე გადაინაცვლა, მაგრამ სიჩქარის გადაჭარბების გამო ბოქსებში შესვლით დაისაჯა. გარდა ამისა, ფინელმა დამატებითი პიტსტოპი შეასრულა იმისთვის, რომ Toyota Camry-ის ძირიდან მოეშორებინათ ავარიის შემდეგ ტრასაზე დარჩენილი სხვა მანქანების ნამსხვრევები.

„თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, გასწრებას ვახერხებდი და მანქანითაც კმაყოფილი ვიყავი, - ამბობს რაიკონენი. - მაგრამ შემდეგ საჭესთან დაკავშირებული პრობლემები შეიქმნა და ერთხელ კინალამ მოვსრიალდი ტრასაზე“.

ექსპერტთა შეფასებით, კიმის ბოქსებში დაუგეგმავი ვიზიტები რომ არ ჰქონოდა, შეძლებდა პირველ 15 პილოტს შორის მოხვედრას.

ახლა რაიკონენი ევროპაში დაბრუნდება და რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგ ეტაპში მიიღებს მონაწილეობას - 17-19 ივნისს საბერძნეთის რალი გაიმართება. ივლისში კი შესაძლებელია რაიკონენის დებიუტი Sprint Cup-ზე, რომელიც ნასკარის მთავარი პირველობა გახლავთ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა